ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№050 (12 120)
2 მარტი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი



**რამოსი ბენჩზე გადარჩა**

ორი სანტიმეტრით მარჯვნივ და... 10



**ჩვენი მიზანია მუნდიალი 2010**

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან 3



**დღეს საქართველოს ჩემპიონატი იწყება**

ჭადრაკი 11

# სატურნ 77

## საშველი დაადგა! გოგიტა გოგუა ახალ კლუბში მოეწყო



გუშინ საღამოს რუსული პრემიერლიგის გუნდის, "სატურნის" ოფიციალურმა ვებგვერდმა ასეთი ინფორმაცია გაავრცელა: - **მიღწეულია შეთანხმება რამენსკოეში საქართველოს ნაკრების 23 წლის ნახევარმცველის, გოგიტა გოგუას ჩარიცხვის თაობაზე. ფეხბურთელი "სპორტ-ექსპრესის" შეფასებით, გასულ სეზონში პრემიერლიგის საუკეთესო დებიუტანტად დასახელდა.**

შემდეგ უკვე გოგუას სიტყვებია: **- "სატურნს" დიდი ამბიციები გააჩნია, გუნდში მშვენიერი ფეხბურთელები თამაშობენ და მუშაობისთვის საუცხოო პირობებია. ამასთანავე, მწვრთნელი ვლადიმირ ვაისი შემტევი ფეხბურთის მოყვარულია, რაც მე ძალიან მომწონს. ვფიქრობ, გუნდს ხუთეულში მოხვედრა შეუძლია.**

როგორც იქნა! გუშინ, მოსკოვის დროით საღამოს შვიდ საათზე, "სატურნის" ხელმძღვანელობამ, ფეხბურთელმა და მისმა წარმომადგენელმა **ანდრეი ჩერვიჩენკომ** მოსკოვში ხელშეკრულება გააფორმეს. როგორც ფეხბურთელმა გვითხრა, მან "სატურნთან" სამწლიან შეთანხმებას მოაწერა ხელი. კლუბმა გამოისყიდა ფეხბურთელის კონტრაქტი ჩერვიჩენკოსგან. "სატურნში" გოგუა 77 ნომრით ითამაშებს.

გოგიტა გოგუა ოთხი თვე უგუნდოდ იყო. ნალჩიკის "სპარტაკიდან" წამოსვლის შემდეგ, შოტლანდიურ "ჰართსში", ფაქტობრივად, შემდგარი ტრანსფერი ბრიტანეთის შრომის დეპარტამენტმა ჩაშალა. ქართველი ფეხბურთელი იძულებული გახდა, ციმბირულ "ტომში" გაეგრძელებინა ვარჯიში, მაგრამ მისი იქ თამაში მალე გამოირიცხა. ბოლოს გოგუა რამენსკოეს (მოსკოვის ოლქი) "სატურნში" მიიწვიეს. გოგიტას გარდა, ახალი სეზონიდან გუნდში ითამაშებენ რუსეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები - ლისაბონის "ბენფიკის" ყოფილი ნახევარმცველი **ანდრეი კარიაკა** და "მოსკვას" ყოფილი თავდამსხმელი **დმიტრი კირიჩენკო.**

**მერაბ მამულაშვილი**



**საქართველოს ჩემპიონატი**

უმაღლესი ლიგა. XV ტური

დღეს 15:00

**სიონი-ვიტ ჯორჯია**
**კახეთი-ოლიმპი**
**ამერი-ბათუმი**
**ზესტაფონი-მერანი**
**დილა-დინამო**
**ტორპედო-ჩიხურა**
**ლოკომოტივი-ბორჯომი**

ტურის წინათქმა 2

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XVIII ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. XV ტური. წინათქმა

# ვერცხლის სტუმარი, ოქროს მასპინძელი: ვიცე-ჩემპიონი ჩემპიონთან

**სულ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 14 | 11 | 2 | 1 | 35-5 | 35 |
| 2. ამერი | 14 | 10 | 3 | 1 | 30-8 | 33 |
| 3. ზესტაფონი | 14 | 10 | 3 | 1 | 26-4 | 33 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 14 | 9 | 4 | 1 | 30-16 | 31 |
| 5. დინამო | 14 | 10 | 0 | 4 | 26-11 | 30 |
| 6. ტორპედო | 14 | 7 | 4 | 3 | 16-8 | 25 |
| 7. სიონი | 14 | 7 | 2 | 5 | 19-13 | 23 |
| 8. ლოკომოტივი | 14 | 4 | 2 | 8 | 11-21 | 14 |
| 9. მერანი | 14 | 4 | 2 | 8 | 12-27 | 14 |
| 10. ბათუმი | 14 | 3 | 3 | 8 | 12-15 | 12 |
| 11. ბორჯომი | 14 | 3 | 3 | 8 | 15-27 | 12 |
| 12. ჩიხურა | 14 | 2 | 4 | 8 | 10-24 | 10 |
| 13. დილა | 14 | 0 | 3 | 11 | 7-40 | 3 |
| 14. კახეთი | 14 | 0 | 1 | 13 | 10-40 | 1 |

**შინ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 8 | 7 | 1 | 0 | 19-2 | 22 |
| 2. ოლიმპი | 7 | 7 | 0 | 0 | 23-2 | 21 |
| 3. დინამო | 7 | 6 | 0 | 1 | 16-4 | 18 |
| 4. ზესტაფონი | 7 | 5 | 2 | 0 | 12-0 | 17 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 7 | 5 | 2 | 0 | 15-8 | 17 |
| 6. ტორპედო | 7 | 4 | 2 | 1 | 9-4 | 14 |
| 7. სიონი | 7 | 4 | 1 | 2 | 11-3 | 13 |
| 8. ლოკომოტივი | 7 | 4 | 0 | 3 | 9-11 | 12 |
| 9. ჩიხურა | 7 | 2 | 3 | 2 | 6-9 | 9 |
| 10. ბათუმი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-8 | 7 |
| 11. ბორჯომი | 7 | 1 | 3 | 3 | 9-14 | 6 |
| 12. მერანი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-11 | 4 |
| 13. კახეთი | 7 | 0 | 1 | 6 | 7-16 | 1 |
| 14. დილა | 7 | 0 | 1 | 6 | 1-19 | 1 |

**სტუმრად**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 7 | 5 | 1 | 1 | 14-4 | 16 |
| 2. ოლიმპი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-3 | 14 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 2 | 1 | 15-8 | 14 |
| 4. დინამო | 7 | 4 | 0 | 3 | 10-7 | 12 |
| 5. ამერი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-6 | 11 |
| 6. ტორპედო | 7 | 3 | 2 | 2 | 7-4 | 11 |
| 7. სიონი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-10 | 10 |
| 8. მერანი | 8 | 3 | 1 | 4 | 8-16 | 10 |
| 9. ბორჯომი | 7 | 2 | 0 | 5 | 6-13 | 6 |
| 10. ბათუმი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-7 | 5 |
| 11. ლოკომოტივი | 7 | 0 | 2 | 5 | 2-10 | 2 |
| 12. დილა | 7 | 0 | 2 | 5 | 6-21 | 2 |
| 13. ჩიხურა | 7 | 0 | 1 | 6 | 4-15 | 1 |
| 14. კახეთი | 7 | 0 | 0 | 7 | 3-24 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 8 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 7 |
| ფიფია (ზესტაფონი) | 7 |
| გ.დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| დოლიძე (ამერი) | 7 |
| იაშვილი (დინამო) | 6 |
| დვალიშვილი (ოლიმპი) | 6 |
| წინამძღვრიშვილი (ამერი) | 5 |
| ა.ალავიძე (სიონი) | 5 |
| ჩასემი (სიონი) | 5 |
| ბოზოხიძე (დინამო) | 5 |
| ხუციშვილი (დინამო) | 4 |
| ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 4 |
| სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 4 |
| საჯაია (ზესტაფონი) | 4 |
| გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 4 |
| გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 4 |
| ვ.კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი) | 4 |
| გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 4 |
| კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯ.) | 4 |
| ქებაძე (ოლიმპი) | 4 |
| კახელიშვილი (ოლიმპი) | 4 |
| შ.ლონლაძე (ზესტაფონი) | 3 |
| ს.დავითაშვილი (ამერი) | 3 |
| გენაძე (ოლიმპი) | 3 |
| ევოჩე (სიონი) | 3 |
| კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 3 |
| კრასოვსკი (ტორპედო) | 3 |
| მუმკუდიანი (ტორპედო) | 3 |
| დვალი (დინამო/ჩიხურა) | 3 |
| მუჯირი (ბათუმი) | 3 |
| სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| გაგუა (მერანი) | 3 |

**ტურში** ერთი ცენტრალური ორთაბრძოლაა გამოკვეთილი. წინა სეზონში "სიონისა" და "ვიტ ჯორჯიის" ჭიდილმა ჩემპიონის ბედი გადაწყვიტა. დღეს მათ შერკინებას ამხელა ფასი აღარ ადევს, მაგრამ ლიდერთა შორის ძალთა გადანაწილებაში ბოლნისური მატჩი მაინც ითამაშებს თავის როლს. უკანდასახევი გზა მოჭრილია – ჩემპიონსაც და ვიცე-ჩემპიონსაც მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება სჭირდება.

მათი შეხვედრა დანარჩენებს კი ულაპარაკოდ ჩრდილავს, მაგრამ ხალხი არც სხვა სტადიონებზე მოიწყენს. ყველა უმაღლესლიგელს თავისი საზრუნავი აქვს და თავისი წილი ქომაგიც ყველას ეყოლება.

### სიონი–ვიტ ჯორჯია

2 მარტი. ბოლნისი. თ. სტეფანია. 15:00
პირველ წრეში: 2:3
**სავარაუდო შემადგენლობები**
სიონი: მამალაძე, ექონია, ბოიომო, ლ. ჭელიძე, კობაური, კორლალიძე, ბაბუნაშვილი, სანიკიძე, ა. ალავიძე, ევოჩე, ჩასემი
ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ლომაია, ა. კვახაძე, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კვალინიძე, გ. მელქაძე, გელაშვილი, სახოკია
არბიტრი: ბუიშვილი
ასისტენტები: ჯვარიძე, მ. ურუშაძე

შარშან ჩემპიონობისთვის მთავარი ბრძოლა სწორედ ამ ორ გუნდს შორის ნარიმართა. გადამწყვეტი ბოლნისური დაპირისპირება გამოდგა, სადაც მასპინძლებმა ვეტერინარებს მინიმალურად სძლიეს და დარჩენილ ტურებში მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ.

"სიონი"-"ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონატის საკვანძო წყვილი აღარ ეთქმის, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ძველი მეტოქეების მატჩი ნაკლებად მიმზიდველი იქნება. რუსთავში განცდილი მარცხის შემდეგ, "სიონმა" ჩემპიონობის თეორიული შანსილა შეინარჩუნა, "ტორპედოსთან" დაკარგული ქულებით საქმე ძალიან გაიფუჭა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფმა "ჯორჯიამაც". ფრე სტუმრისთვისაც და მასპინძლისთვისაც არასახარბიელო შედეგი იქნება, რაც, წესით, გახსნილი და ლაღი თამაშის საწინდარი უნდა გახდეს.

**ნესტორ მუმლაძის** გუნდის სასტარტო შემადგენლობაში დიდი ცვლილებები არაა მოსალოდნელი, ქვემოქართლელთა რიგებში კი დღეს შეიძლება, **ვიტალი დარასელიამ** და **ლევან სილაგაძემ** ჩაატარონ პირველი საჩემპიონატო მატჩი.

### კახეთი–ოლიმპი

2 მარტი. თელავი. გ. ჩოხელი. 15:00
პირველ წრეში: 0:7
**სავარაუდო შემადგენლობები**
კახეთი: გ. იაშვილი, კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი, გ. ხიდაშელი, კვირკველია, მურველაშვილი, კობაიძე, ბიძინაშვილი, გერგიშვილი, ამირანიძე, ნ. დავითაშვილი
ოლიმპი: მერლანი, ძამსაშვილი, გ. ონიანი, მახვილაძე, ნავალოვსკი, სეთურიძე, ქებაძე, აფციაური, გენაძე, დვალიშვილი, რ. გოცირიძე
არბიტრი: ელისაბედაშვილი
ასისტენტები: ყრუაშვილი, ბერულავა

"ოლიმპის" პირველი ოფიციალური მატჩი თელაველებს მწარედ ახსოვთ – პირველ წრეში ისინი რუსთაველებმა 7:0 გაანადგურეს. ძალთა თანაფარდობა ისეთია, "კახეთს" რევანშის შანსი, ფაქტობრივად, არ გააჩნია, მასპინძლებისთვის ისიც კარგი შედეგი იქნება, ლიდერთან დიდი ანგარიშით თუ არ დამარცხდებიან. თუმცა, ცხადია, **ძოძუაშვილის** შეგირდებს სამ ქულას ლანგრით არავინ მიართმევს და ვნახოთ, ოლიმპელები ერთი ამოსუნთქვით გაიმარჯვებენ თუ კახელებისგან მედგარ წინაალმდეგობას წააწყდებიან.

### ამერი–ბათუმი

2 მარტი. თბილისი. ამერი. 15:10
პირველ წრეში: 1:0
**სავარაუდო შემადგენლობები**
ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, ჯელაძე, მესხი, დობროვოლსკი, გაბისკირია, დავითაშვილი, ჩიმაკაძე
*დისკვალიფიკაცია: მჭედლიშვილი, ბოლქვაძე, დოლიძე, წინამძღვრიშვილი*
ბათუმი: სომხიშვილი, ხოხონიშვილი, ლობჟანიძე, დუმბაძე, თედორაძე, თურმანიძე, შალამბერიძე, კერესელიძე, ნერგაძე, დარჩიძე, ვ. კვარაცხელია
არბიტრი: კრიჭაშვილი
ასისტენტები: ქუხილავა, სანოძე

"დინამოსთან" გასამართ უპრინციპულეს სათასო დაპირისპირებას "ამერი" ოპტიმალური შემადგენლობით კი შეხვდება (თუ დღეს არავინ გაუძევს), სამაგიეროდ, "ბათუმს" ლამის განახევრებული გუნდით დაუხვდება. გლდანელთა წარმატებული თამაში ხომ დიდწილად **ბოლქვაძე-დოლიძის** ტანდემზეა დამოკიდებული. თასის მფლობელთათვის მცირე ძალას არც **წინამძღვრიშვილი** და **მჭედლიშვილი** წარმოადგენენ. მართალია, **გიორგი ჩიხრაძის** განკარგულებაში მოზრდილი სათადარიგოთა სკამია, მაგრამ საკითხავია, მოხერხდება თუ არა დისკვალიფიცირებულთა სრულფასოვანი შეცვლა. ამ ოთხკაციან დანაკლისს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ **დეკანოსიძე** და **ტატანაშვილი** სულ ახლახან გამოჯანმრთელდნენ და წესით, ოპტიმალური ფორმისგან შორს უნდა იყვნენ.

ყველაფრის მიუხედავად, "ამერი" შეხვედრის ფავორიტად რჩება, მაგრამ არც ის იქნება დიდი მოულოდნელობა, შემადგენლობაგაძლიერებული ბათუმელები შინ ხელცარიელნი რომ არ დაბრუნდნენ.

**მატჩის პირდაპირ ტელეტრანსლაციას საზოგადოებრივი მაუწყებელი აწარმოებს.**

### ზესტაფონი–მერანი

2 მარტი. ზესტაფონი. ცენტრალური. 15:00
პირველ წრეში: 3:0
**სავარაუდო შემადგენლობები**
ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, ხიდეშელი, ლონლაძე, კ. ჩხეტიანი, გ. ჭელიძე, რ. ონიანი, ვიეირა, სანტოსი, ფიფია, იონანიძე
*დისკვალიფიკაცია: ს. თოდუა*
მერანი: სეფიაშვილი, ოსიტაშვილი, თურქია, დეისაძე, ბესარაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, კობერიძე, სახვაძე, დათუნაშვილი, ფურცელაძე, ქემაშვილი
*დისკვალიფიკაცია: ჯანგიძე, ა. ნოზაძე*
არბიტრი: სანაია
ასისტენტები: ნაკაიძე, გუდურაშვილი

რამდენიმეწუთიან ჩავარდნას (რომელმაც **გრიგოლ ჭანტურიას** რეკორდი შეიწირა) თუ არ მივილებთ მხედველობაში, წინა ტურში, "ლოკომოტივთან", "ზესტაფონს" ყველაფერი რიგზე ჰქონდა. ვერც იმის მიზეზს ვხედავთ, რომ იმერლებს დღევანდელ მატჩში გამარჯვება გაუჭირდეთ. დისკვალიფიცირებული **თოდუას** გარდა, "მერანთან" თამაშში მასპინძლებს არავინ დააკლდებათ. შესაძლოა, "ზესტაფონის" რიგებში დღეს პირველი ოფიციალური შეხვედრა გამართონ ახალმა ბრაზილიელებმა, **ჟონატასმა** და **ლეანდრომ**.

### დილა–დინამო

2 მარტი. თბილისი. შევარდენი. 15:00
პირველ წრეში: 1:6
**სავარაუდო შემადგენლობები**
დილა: თევდორაძე, ბალაშვილი, დ. ხანიშვილი, ყველაშვილი, ლომაშვილი, ბურნაძე, კ. ხანიშვილი, ნ. ნოზაძე, ვარდოსანიძე, კობახიძე, გონჩაროვი
*დისკვალიფიკაცია: ბ. ჩიტაია*
დინამო: ლორია, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, ფეიქრიშვილი, მერებაშვილი, დილმელაშვილი, ხმალაძე, კობახიძე, იაშვილი
არბიტრი: კიკაჩეიშვილი
ასისტენტები: ტეფნაძე, გ. დოგრაშვილი

გორის სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო, "დილა" "დინამოს" თბილისში "უმასპინძლებს". დისკვალიფიკაციის შემდეგ, **დუშან უჰრინის** გუნდს **იაშვილი** და **მერებაშვილი** უბრუნდებიან. ჩეხს სრული არჩევანი აქვს, შესაძლოა, მან კვლავ ერთი ფორვარდით არჩიოს თამაში, არც ისაა გამორიცხული, იაშვილს ბორჯომში თავგამოჩენილი **სპასოევიჩი** შეუწყვილოს. ისიც მოსალოდნელია, რომ "ამერთან" მოახლოებული ორი გადამწყვეტი ჯახის წინ, მწვრთნელმა რამდენიმე დინამოელი დაასვენოს. "დილას" კი დასაკარგი არაფერი აქვს და "შევარდენზე" ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე იბრძოლებს.

### ტორპედო–ჩიხურა

2 მარტი. ქუთაისი. ცენტრალური. 15:00
პირველ წრეში: 0:0
**სავარაუდო შემადგენლობები**
ტორპედო: ქვილითაია, კილასონია, ფარულავა, რ. ბარაბაძე, ზივზივაძე, კირკიტაძე, კვეტენაძე, გურული, ჭედია, ლალაძე, იმედაძე
ჩიხურა: სტურუა, თავბერიძე, ქემოკლიძე, ლ. ვაშაკიძე, ბარამიძე, ქუხილავა, ქუცურუა, სტეფნაშვილი, ბუცხრიკიძე, მიქაძე, დვალი
*დისკვალიფიკაცია: მახარაძე*
არბიტრი: სილაგავა
ასისტენტები: კურტანიძე, ხუჭუა

"ვიტ ჯორჯია"-"ტორპედომ" დაგვარწმუნა, რომ ქუთაისს კვლავ ამბიციური და ბრძოლისუნარიანი გუნდი ჰყავს. შემადგენლობიდან გამომდინარე, ხელწამოსაკრავი არც "ჩიხურა" იქნება, საჩხერელებს პირველ წრის ფორმაციაზე შემადგენლობა ნამდვილად არ ჰყავთ, ერთი ეგაა, გუნდი ზედ მეორე წრის წინ შეიკრიბა და შეთამაშებისთვის დრო კიდევ დასჭირდება. იმერულ დერბის, მაყურებელი, ალბათ, არ მოაკლდება, მატჩი არცთუ იოლად პროგნოზირებადი ჩანს.

### ლოკომოტივი–ბორჯომი

2 მარტი. თბილისი. მ. მესხი. 15:00
პირველ წრეში: 1:1
**სავარაუდო შემადგენლობები**
ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე, გულორდავა, გუშარაშვილი, ებრალიძე, კუპრეიშვილი, ბარბაქაძე, მალიჩავა, სამხარაძე, ყენია, ჩომახიძე
*დისკვალიფიკაცია: გ. კვახაძე, დ. ფოფხაძე*
ბორჯომი: კოდალაევი, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ქარქუზაშვილი, ნადირაშვილი, გოგიჩაიშვილი, კვერნაძე, თ. ლონლაძე, ავალიანი, კოშკაძე, შ. ჯიქია
არბიტრი: ნონიკაშვილი
ასისტენტები: ჭიჭინაძე, კვეტენაძე

რკინიგზელებსა და სამცხელებს წინა ტურში რანგით ძლიერ მეტოქეებთან შესაძლებლობების წარმოჩენის შესაძლებლობა არ მისცემიათ, ცხრილის ქვედა ნაწილის ბინადართა სადღეისო მზადყოფნას მათი ურთიერთშეხვედრა უფრო ნათლად დაგვანახებს. ერთი კი უნდა აღინიშნოს, რომ "ზესტაფონთან" თამაში ორივემ მოასწრო და "ბორჯომმა" მხოლოდ მინიმალური სხვაობით წააგო...

**ლევან ჯანეზაშვილი**



წინა ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი: ექსჯორჯიელი იმედაშვილი და ექსსიონელი ხუციშვილი

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან

# მთავარი მიზანი: მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობა

**ნოდარ ახალკაცთან სასაუბროდ არაერთი თემა დაგროვდა. ფედერაციის პრეზიდენტთან შეხვედრა ადრეც გვსურდა, მაგრამ აქამდე ვერ მოხერხდა. და აი, გუშინ ნოდარ ახალკაცს ფედერაციაში ვესტუმრეთ. საუბარი მიშელ პლატინის მოახლოებული ვიზიტით დავიწყეთ და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საინტერესოთი გავაგრძელეთ...**

- დიუსელდორფის კონგრესზე უეფას 53-ე წევრად ჩერნოგორია დაემატა და სასიამოვნოა, რომ ამ 53 ქვეყნიდან პლატინის პირველი სამუშაო ვიზიტი სწორედ საქართველოში ექნება. ეს ჩემთვის, არა მხოლოდ როგორც ფედერაციის პრეზიდენტისთვის, არამედ, როგორც რიგითი ქომაგისთვის განსაკუთრებული მოვლენაა. ამას წინ უძღოდა ჩვენი ფედერაციის გაბედული ნაბიჯი, როცა პირველებმა ღიად და საჯაროდ განვაცხადეთ, რომ უეფას საპრეზიდენტო არჩევნებში სწორედ პლატინის ვუჭერდით მხარს. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ ვუთხარი პლატინის – დარწმუნებული ვარ, თქვენ გაიმარჯვებთ და ასეთ შემთხვევაში პირველი ვიზიტით საქართველოში გვეწვიეთ-თქო. გაიცინა და დამთანხმდა. სხვათა შორის "კიკერმა" დაწერა კიდეც – ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფედერაციათა თავკაცების შეხვედრამ, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ იყო ორგანიზებული, უეფას საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშაო... უცხოურ პრესაში ისიც კი ეწერა, პლატინიმ მოიგო და ახლა თავისი დანაპირები და პატარა ქვეყნები აღარ გაახსენდებაო. თუმცა ის სიტყვას ასრულებს და პირველი სამუშაო ვიზიტით საქართველოს ეწვევა. ვფიქრობ ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია.

გვინდოდა პლატინი მიხეილ სააკაშვილს კიდევ ერთხელ შეხვედროდა, მაგრამ იმ დროისათვის ქვეყნის პრეზიდენტი უცხოეთში იქნება ვიზიტით. თუმცა მას პრემიერ-მინისტრი შეხვდება. ეს უეფას ახალი პრეზიდენტის პირველი ვიზიტი იქნება საქართველოში და თავად ამ ფაქტის ხელიდან გაშვება არ გვინდოდა. მომავალში გვინდა უფრო კოორდინირებულად მოხდეს უეფას პრეზიდენტის ჩამოსვლა და მჯერა იქნება ამისი შესაძლებლობა არაერთხელ გვექნება.

**- შოტლანდიასთან მატჩი ახლოვდება. ზოგი მიიჩნევს, რომ გლაზგოში მატჩი ფრედ დასრულდება. ამას კი იმით ხსნის, რომ შოტლანდია მოგების შემთხვევაში "სახიფათოდ მიუახლოვდება" ფინალურ ეტაპს. შესაბამისად, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლების შვეიცარიისა და ავსტრიის მეზობლები საფრანგეთი ან იტალია ჯგუფიდან ვერ გავა. ეს კი ევრო 2008-ისთვის ფინანსურად წამგებიანი იქნება...**

- მართალი გითხრათ, ამ მოსაზრებას დეტალურად არ გავცნობივარ და ვერ გეტყვით, ამაში რაა ნაგულისხმები. იმას კი გეტყვით ჩვენ რას ვაპირებთ. ყველა მატჩში ჩვენი მიზანი გამარჯვებაა და იმავე მიზნით გავა ჩვენი ნაკრები სათამაშოდ გლაზგოშიც. კარგად ვიცით, რომ 24 მარტს რთული მატჩი გველის. შოტლანდია ფიფას რეიტინგში ამჟამად მე-20 ადგილზეა. საქართველო ორი წლის წინათ, როცა ფედერაციის სათავეში მოვედი 105-ე ადგილზე იყო, ახლა 86-ე საფეხურზე ვართ. ბუნებრივია ჩვენსა და მეტოქე შორის სხვაობა ძალზე დიდია. თუმცა ჩვენ გვაქვს რეიტინგში ჩვენზე გაცილებით წინ მდგომი გუნდების დამარცხების გამოცდილება. შეიძლება, ზოგი თვლიდეს, რომ ურუგვაისთან და თურქეთთან მატჩები არაა სათვალავში მისაღები იმის გამო, რომ ისინი ამხანაგური იყო. მაშინ გავიხსენოთ თურქეთის ნაკრები თბილისში მარცხს თუ რამდენად "იოლად" შეეგუა.

გლაზგოური მატჩისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა კონტინგენტი გვეყოლება. შოტლანდიელი ქომაგი იმითაა გამორჩეული, რომ 90 წუთის განმავლობაში არ ცხრება და ერთგულად ამხნევებს საყვარელ გუნდს. ამით კი მეტოქეს ერთგვარი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ აქცევს.

**- ახლა ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზეც ვთქვათ. საინტერესოა, რა პროცედურით წარიმართება არჩევნები, როდის დაინიშნება და როდემდე გასტანს კანდიდატთა რეგისტრაცია...**

- ჩვენი წესდება შესაბამისობაშია ფიფასა და უეფას წესდებებთან. ასე რომ პროცედურა ამჯერადაც იგივე იქნება, როგორც ადრე იყო. წლის პირველი 6 თვის განმავლობაში აღმასკომის სხდომა დაინიშნება, რომელიც ფედერაციის ყრილობისა და არჩევნების თარიღს განსაზღვრავს. მანამდე კი ერთი რამ შემიძლია განვაცხადო, ყველა პროცედურული ნორმა დაცული იქნება.

**- საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო და თქვენი მომავალ კონკურენტების ვინაობაც ნელ-ნელა იკვეთება...**

- ჯერ არ გამოცხადებულა არჩევნებისა და კანდიდატთა რეგისტრაციის თარიღები. მანამდე ვერ ჩავთვლი, რომ საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო. უფრო მეტიც, სანამ ოფიციალურად არ დაიწყება კანდიდატთა რეგისტრაცია, მანამდე ვერც მე და ვერც სხვა, კანდიდატად ვერ ჩავითვლებით.

**- კი, მაგრამ საარჩევნო კამპანია არაოფიციალურად უკვე დაწყებულია. ვფიქრობთ, მამუკა კვარაცხელიას გარდა, ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე, არაერთი კონკურენტი გეყოლებათ...**

- დღეს 1 მარტია და ჩვენი უახლოესი გეგმები და ამოცანები უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის ვიზიტს, ეროვნული ნაკრების მოახლოებულ მატჩებს, 17, 19 და 21 წლამდელთა ნაკრებების სათანადოდ მომზადებას უკავშირდება.

**- ზოგი თვლის, რომ ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში ხელისუფლება არ ჩაერევა. ზოგი კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს და ვარაუდობს, რომ ვისაც ხელისუფლება მოისურვებს, ის გახდება პრეზიდენტიო...**

- ყველამ კარგად იცის ფიფასა და უეფადან თუ რა რეაგირება და სანქციები შეიძლება მოჰყვეს ასეთ ჩარევას საფეხბურთო საქმეებში. ეს ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც კარგად იციან. ერთი რამ მინდა ვთქვა: ხელისუფლება არც 2005 წლის არჩევნებში ჩარეულა. მაშინ ყველაფერი წინასწარ რომ ყოფილიყო გარკვეული, მთელ საქართველოს არ შემოვივლიდი და ყველა სუბიექტს არ შევხვდებოდი. მჯერა, მომავალი არჩევნებიც დემოკრატიული და სამართლიანი იქნება და ის გაიმარჯვებს, რომელსაც უკეთესი ხედვა და პროგრამა ექნება ქართული ფეხბურთისთვის.

**- ბოლო დროს არაერთი პრეტენზია გამოითქვა მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის ხელმძღვანელის ამირან კაჭახიძის მისამართით. რამდენად ობიექტურად მიიჩნევთ ამ პრეტენზიებს. ზოგი ამას ზეწოლის მცდელობადაც კი აღიქვამს...**

- ზეწოლას ვერავინ განახორციელებს და თუ ვინმეს ამისი ილუზია აქვს, ძალიან ცდება. მსაჯობა ის თემაა, რომელიც ყოველთვის აქტუალურია. ფეხბურთს ორი გუნდი თამაშობს და მსაჯთა მიმართ ყოველთვისაა პრეტენზია. ორი გუნდიდან მსაჯობით კმაყოფილი ერთ-ერთი მაინცაა, თუნდაც ფრის შემთხვევაში. უეფას საკლუბო ტურნირებსა თუ ევროპის ეროვნულ ჩემპიონატებში ხშირია არბიტრის შეცდომები. თუნდაც "არსენალისა" და "ვიგანის" მატჩი ავიღოთ, როცა აშკარად ჩანდა, რომ პენალტი იყო, მაგრამ მსაჯმა არ დანიშნა და ის თამაში "არსენალმა" მოიგო. "ვიგანის" წარმომადგენელთაგან არავინ გამოსულა და არ უთქვამს, კარგად ვიცი, რომ ამის გამო ვთქვათ 10 ათასი ფუნტით დავისჯები, მაგრამ რა ვქნა, თავს ვერ ვიკავებ და მსაჯთა მიმართ პრეტენზიები უნდა გამოვხატოო. ამ დროს ფედერაციაში ამ მატჩის ანალიზი ხდება და თუკი არბიტრმა შეცდომა დაუშვა, დაისჯება კიდეც. ვფიქრობ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მსაჯთა, ასე ვთქვათ გამათრახება. ისინი უნდა დავიცვათ და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ვიზრუნოთ. მსაჯებზე ჯოხის გადატეხვა სწორი მიდგომა არ უნდა იყოს. თუმცა რაღა თქმა უნდა, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ მსაჯობის დონის ამაღლებას, მაგრამ ეს ერთი ხელის დაკვრით არ ხდება. კლუბები შესაძლოა მსაჯობით უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ ყველა გუნდის მიზანი ერთია, ეროვნულ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში მსაჯობის დონე ამაღლდეს.

**- ისევ ეროვნულ ნაკრებს დავუბრუნდეთ. ხშირად ისმის პრეტენზია, ნაკრების თავკაცი და სამწვრთნელო შტაბი საქართველოში ძალზე მცირე დროს ატარებს და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს არ ესწრებიანო. ამაზე რას იტყოდით?**

- ეროვნული ნაკრების ძირითადი ბირთვი შუა ევროპაში თამაშობს და მწვრთნელები მათ აკვირდებიან. ამას გარდა, მათი მხრიდან სხვა ლეგიონერებზეც ინტენსიური დაკვირვება რომ არ მომხდარიყო, მაშინ ბურდული და სირაძე, გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელები ნაკრებში ვერ მოხვდებოდნენ. თუმცა ისეც ნურავინ გაიგებს, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს ნაკრებში მოხვედრის შანსი არ აქვთ. ნუ დაგვავიწყედება, რომ 21 წლამდელთა ნაკრების თავკაცი პეტარ სეგრტი საქართველოში ცხოვრობს, ისევე როგორც ჰერბერტ ცანკერი და ისინი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც აკვირდებიან...

ერთსაც აღვნიშნავდი, თავის დროზე კლაუს და ჰაინც ტოპმიოლერები და რალფ მინგე საქართველოში მხოლოდ ეროვნულ გუნდში სამუშაოდ ჩამოვიდნენ. თუმცა კონტრაქტის პირობების მიუხედავად ისინი 21,19 და 17-წლამდე ნაკრებშიც მუშაობენ. მუშაობენ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. კლაუს ტოპმიოლერი, ხეტაფეში, 21-წლამდელთა ნაკრების თამაშზე იმყოფებოდა, ასევე 19-წლამდელთა მალტის შეკრებასა და პირველ საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფურ რაუნდის მატჩებზე. ახლა კი 19-წლამდელებთან ერთადაა პორტუგალიაში. სწორედ ტოპმიოლერისა და მისი შტაბის გარჯის დასტურია ის, რომ ეროვნულის წევრ-კანდიდატთა რიცხვი გაიზარდა, კონკურენციამ იმატა. ამისი შედეგია ის, რომ ურუგვაისა და თურქეთთან არაერთი წამყვანი ფეხბურთელი არყოფნის კომპენსირება სხვებით მოვახერხეთ. 30-40 ფეხბურთელია, რომელიც ეროვნული ნაკრების ირგვლივ ტრიალებს. მათ გარდა კლაუსს სრული ინფორმაცია აქვს, თუ ვინაა გამორჩეული ეროვნულ ჩემპიონატში. ასე რომ, ნაკრების მწვრთნელთა გარჯის შედეგი სახეზეა და ვერ დავეთანხმები სხვებს, რომ იმ დღეების რაოდენობა, რომელიც კლაუს ტოპმიოლერს საქართველოში აქვს გატარებული, არასაკმარისია.

**- ხომ არ ფიქრობთ ან ხომ არ გისაუბრიათ კლაუს ტოპმიოლერთან და მის შტაბთან კონტრაქტის გაგრძელებაზე?**

- ვფიქრობ, ამაზე ჯერ ნაადრევია საუბარი. თუმცა იმისი თქმა კი შემიძლია, რომ ჩვენ იგივე განწყობა გვაქვს, რომელიც ამ მწვრთნელებთან კონტრაქტის გაფორმებისას გვქონდა. ყველას კარგად გვახსოვს, თუ რომელ ადგილზე ამთავრებდა წინა შესარჩევ ციკლებში ასპარეზობას ჩვენი ნაკრები. ერთი "საინტერესო" ფრაზაც კი გავიგე – რა აზრი ჰქონდა კლაუს ტოპმიოლერის ჩამოყვანას ნაკრების თავკაცად, როცა ცხადი იყო, რომ ამ ჯგუფიდან ვერ გავიდოდითო. ჯერ ერთი, კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტის გაფორმება 9 იანვარს მოხდა ხოლო ევრო 2008-ის წილისყრა იანვრის ბოლოს. მეორეც, ჩვენ თავიდანვე ვთქვით, რომ ძნელია დანგრეული გუნდით ევროპის ჩემპიონატზე გასვლა. ჩვენ ეს შესარჩევი ციკლი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ძლიერი გუნდის ჩამოსაყალიბებლად და უმთავრესი მიზანი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლა უნდა იყოს. მოხარული ვარ, რომ პროგრესი იმდენად სწრაფად მოხდა, რომ ამას არც მე და ალბათ არც კლაუსი არ ველოდით. გადავხედოთ თურქეთისა და საქართველოს ინფრასტრუქტურას, კლუბების ბიუჯეტს, ფედერაციათა შესაძლებლობებს, ფიფას რეიტინგს, ამ ორი ქვეყნის ეკონომიკას.

ერთსაც დავამატებდი, 2005 წლის მარტში თურქეთმა შინ 5:2 მოგვიგო. კარგად გახსოვთ თუ რა მოხდა იმ მატჩის მსვლელობისას. დაძაბული მომენტები იყო ახლახანს გამართულ მატჩშიც. იმისი საშიშროებაც იყო, რომ ტრიბუნაზე მყოფ ქომაგს თავი ვერ მოეთოკა. ბედნიერი და მადლიერი ვარ ჩვენი ქომაგების... თუკი 2 წლის წინ თურქებთან წაგებისას, ტრიბუნიდან გინება და სხვადასხვა ნივთების სროლა ვიხილეთ, ამჯერად გულშემატკივრებმა ყველაზე დაძაბულ მომენტში "საქართველო, საქართველოს!" სკანდირება დაიწყეს. ასევე აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. ჩვენი ნაკრების ფეხბურთელები ევროპულ კლუბებში მიჩვეულნი არიან მატჩის შემდეგ ქომაგებისთვის მისასალმებელ ჟესტს. თუმცა ჩვენი გუნდი ადრე სულ აგებდა და ფეხბურთელებს ერთი სული ჰქონდათ, რაც შეიძლება მალე დაეტოვებინათ მოედანი და გასახდელში შევარდნილიყვნენ. გულშემატკივარი კი მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ტოვებდა ტრიბუნას. ამჯერად ჩვენს ნაკრებს დამარცხებულის მენტალიტეტი აღარ აქვს და ბიჭებს სპეციალურად ვუთხარი გულშემატკივრისთვის მოგება მიელოცათ. ყველამ ნახეთ თუ რა მოხდა თურქეთთან მატჩის შემდეგ. ჩვენი ნაკრები ხელიხელჩაკიდებული ტრიბუნას მიუახლოვდა და გულშემატკივრებს ჟესტით გამარჯვება მიულოცა. ეს პრაქტიკა საქართველოში არ არსებობდა და კარგია, რომ დაინერგა.

**დავით ცაბაძე**



გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

17 და 19-წლამდელთა ნაკრები. წილისყრა

# ქართველი ჭაბუკების მეტოქეები გაირკვა

გუშინ, ბარსელონაში 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებს შორის ევროპის 2008 წლის ჩემპიონატების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა. ამ პროცედურას საქართველოდან **რალფ მინგე** დაესწრო. წილისყრის შედეგად **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდს ჯგუფის მეტოქეებად ჰოლანდია, ნორვეგია და ლატვია ერგო. 52 მონაწილე (მათ შორის ჩერნოგორიაც, რომელიც იანვარში გახდა უეფას ასოცირებული წევრი) 13 ჯგუფში ასე გადანაწილდა.

I ჯგუფი: **ირლანდია, პორტუგალია, ბელარუსი, ანდორა.**
II ჯგუფი: **შვეიცარია, უნგრეთი, უელსი, ყაზახეთი.**
III ჯგუფი: **ბელგია, ინგლისი, რუმინეთი, ისლანდია.**
IV ჯგუფი: **სლოვენია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, საბერძნეთი.**
V ჯგუფი: **ესპანეთი, სერბეთი, ალბანეთი, ლიხტენშტაინი.**
VI ჯგუფი: **შვედეთი, ისრაელი, ფინეთი, მაკედონია.**
VII ჯგუფი: **სომხეთი, პოლონეთი, ლიტვა, სან მარინო.**
VIII ჯგუფი: **ჰოლანდია, ნორვეგია, საქართველო, ლატვია.**
IX ჯგუფი: **თურქეთი, დანია, ფარერები, ბულგარეთი.**
X ჯგუფი: **ავსტრია, სლოვაკეთი, ჩრდ. ირლანდია, კვიპროსი.**
XI ჯგუფი: **უკრაინა, შოტლანდია, აზერბაიჯანი, მოლდოვა.**
XII ჯგუფი: **გერმანია, რუსეთი, ბოსნია, ესტონეთი.**
XIII ჯგუფი: **ხორვატია, იტალია, მალტა, ჩერნოგორია.**

რაც შეეხება, 17-წლამდელთა ნაკრებს, ჰერბერტ ცანკერის კრებულს, ჯგუფის მეტოქეებად ხორვატია, უნგრეთი და ბულგარეთი არგუნა ფორტუნამ. ამ ასაკში მონაწილეები ასევე13 ჯგუფში ასე გადანაწილდნენ:

I ჯგუფი: **საბერძნეთი, შვეიცარია, ლუქსემბურგი, ყაზახეთი.**
II ჯგუფი: **ავსტრია, პოლონეთი, ნორვეგია, მაკედონია.**
III ჯგუფი: **ბელარუსი, შოტლანდია, ლიხტენშტაინი, სლოვაკეთი.**
IV ჯგუფი: **ესპანეთი, უელსი, სან მარინო, ანდორა.**
V ჯგუფი: **დანია, უკრაინა, სლოვენია, ირლანდია.**
VI ჯგუფი: **გერმანია, რუმინეთი, ფარერები, შვედეთი.**
VII ჯგუფი: **სერბეთი, ისრაელი, ისლანდია, ლიტვა.**
VIII ჯგუფი: **ხორვატია, უნგრეთი, საქართველო, ბულგარეთი.**
IX ჯგუფი: **ფინეთი, რუსეთი, ბოსნია, აზერბაიჯანი.**
X ჯგუფი: **საფრანგეთი, ჰოლანდია, ლატვია, ალბანეთი.**
XI ჯგუფი: **ინგლისი, პორტუგალია, მალტა, ესტონეთი.**
XII ჯგუფი: **ბელგია, ჩრდ. ირლანდია, ჩერნოგორია, მოლდოვა.**
XIII ჯგუფი: **იტალია, ჩეხეთი, სომხეთი, კვიპროსი.**

რაც შეეხება ტურნირის ფორმატს, ის 17 და 19-წლამდელთა ასაკის ნაკრებებში ერთნაირია. ჯგუფური ეტაპის მატჩები წლეულს შემოდგომაზე დაიწყება. 13 ჯგუფიდან მომდევნო რაუნდში ორ-ორი საუკეთესო გავა. ამ 26 ნაკრებს ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი დაემატება და 28 გუნდს მომდევნო წილისყრა ელიტრაუნდის 7 ჯგუფში გადაანაწილებს. მომდევნო ჯგუფური ეტაპიდან, რომელიც გაისად გაზაფხულზე გაიმართება, ფინალურ რაუნდში მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული 7 გუნდი გადის, რომელსაც მასპინძელი ქვეყნის ნაკრები დაემატება. გაისად ზაფხულში 19-წლამდელთა ნაკრებებს შორის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს ჩეხეთი უმასპინძლებს, 17-წლამდელთა შორის იმავე ფორუმის მასპინძელი კი თურქეთია.

დაბოლოს, რაც შეეხება ჩვენი ნაკრებების ჯგუფებსა და მასპინძელ ქვეყანას. 19-წლამდელთა ნაკრებებს შორის ჩვენი ჯგუფის მატჩებს (ჰოლანდია, ნორვეგია, ლატვია) საქართველო უმასპინძლებს. 17-წლამდელთა ნაკრები კი ჯგუფიდან გამსვლელი საგზურისთვის ბულგარეთში იბრძოლებენ.



ჰაინც ტოპმიოლერი

# მარცხი წითელ-ყვითელ ფონზე

| საქართველო-ირლანდია | 1:3 |
|---|---|

0:1 ქერი (20),1:1 ჩარგეიშვილი (52. ყენიას პასით), 1:2 ქერი (64), 1:3 კეჰილენი (88).
საქართველო: რ. კვასხვაძე, ბენაშვილი (კაპ.) (68. სოფრომაძე), ხუმარაშვილი, ქვრივიშვილი, სანაია, დაუშვილი, ჩარგეიშვილი, თარგამაძე (79. ჯანელიძე), მჭედლიძე, ყენია, ფანცხავა (65. წულაძე).
გაძევება: ქერი (88), წულაძე (89)

გუშინ პორტუგალიაში ჭაბუკთა შორის საერთაშორისო ტურნირმა აილო სტარტი. პირველ მატჩში **ჰაინც ტოპმიოლერის** ახალ გუნდს (რომელიც შემოდგომაზე 19-წლამდელთა შორის ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებს) ირლანდიასთან მოუწია დაპირისპირება. სამწუხაროდ ჩვენი ჭაბუკები 1:3 დამარცხდნენ.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მატჩი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. ირლანდიელებმა მე-20 წუთზე შეძლეს ანგარიშის გახსნა - **ქერის** შორეული დარტყმისას მეკარე **როინ კვასხვაძე** უძლური აღმოჩნდა. მიღებულმა გოლმა ქართველები გაახელა და ანგარიშის გათანაბრებაზე იწყეს ზრუნვა და საამისოდ შანსიც არაერთი ჰქონდათ, მაგრამ შესვენებამდე ანგარიში აღარ შეცვლილა. მეორე ნახევარი ჩვენმა ჭაბუკებმა აქტიურად დაიწყეს და წონასწორობა მალევე აღადგინეს - 52-ე წუთზე **ლევან ყენია** სამი მეტოქე ოსტატურად ჩამოიშორა, საჯარიმოში შეიჭრა და კარგ პოზიციაზე მყოფი **თამაზ ჩარგეიშვილი** მონახა. "ჩიხურას" ნახევარმცველმაც ყენიას გარჯა დაუფასა და1:1. ამის მერე უპირატესობას ქართველები დაეუფლნენ და დაწინაურების შესაძლებლობაც მიეცათ. თუმცა ჩვენი გუნდის კაპიტან **ალექსი ბენაშვილს** ირლანდიელთა მეკარემ რთული ბურთი აუღო, **ვახტანგ ფანცხავამ** და ყენიამ კი ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს. საბოლოოდ გოლები აქეთ მივიღეთ. 64-ე წუთზე ქერიმ მორიგი შორეული დარტყმით თავისი გუნდი ხელახლა დააწინაურა. 88-ე წუთზე კი კეჰილენმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ირლანდიელები ძალზედ უხეშობდნენ და მატჩის მთავარმა არბიტრმა მათ 9-ჯერ უჩვენა ყვითელი ბარათი. 88-ე წუთზე კი დუბლის ავტორი ქერი გაძევებასაც ვერ გადაურჩა. თუმცა მალევე ჩვენი გუნდიც კაცნაკლული დარჩა, ქართველთაგან **რევაზ წულაძე** გააძევეს. წულაძის გარდა, მომდევნო შეხვედრას კაპიტანი ბენაშვილიც გამოტოვებს, რომელიც ტრავმის გამო 68-ე წუთზე შეცვალეს.

*"შემოდგომაზე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ახალი გუნდით უნდა ვიასპარეზოთ. ეს ახალი გუნდი კი სწორედ ამ კონტინგენტიდან უნდა შევკრა. შესაბამისად, ახლა ჩემთვის მთავარია კარგად გავეცნო ფეხბურთელთა შესაძლებლობებს. მოსამზადებელ ეტაპზე ამხანაგურ შეხვედრებშიც დაფიქსირებულ შედეგებსაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, მაგრამ მთავარი მაინც ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებაა. ამ ეტაპზე ჩვენი გუნდის მთავარი ნაკლი შეუთამაშებლობა და საგოლე მომენტების გამოუყენებლობაა. ასე რომ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია"*, - მატჩის შემდეგ განაცხადა ჰაინც ტოპმიოლერმა.

გაცნობებთ იმასაც, რომ ჩვენი გუნდის თამაშის პარალელურად გაიმართა მეორე მატჩიც - პორტუგალიელმა ჭაბუკებმა ბელგიელი თანატოლები 3:0 დაამარცხეს.

დღეს ტურნირის მეორე ტურია. საქართველო მასპინძელ პორტუგალიას ეთამაშება, ირლანდია კი ბელგიას დაუპირისპირდება.

**დავით ცაბაძე**

# ჯერ ვილაპარაკოთ, მერე განვსაზღვროთ

წესი წესია და მას ეგრე ადვილად ვერ შევცვლითო – გუშინ განაცხადეს ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ მსაჯთა და დამკვირვებელთა სხდომაზე, თასის ერთი ეტაპის ორივე მატჩში არბიტრების ერთი და იმავე ბრიგადის დანიშვნის თაობაზე. წესი 1995 წლიდან მოქმედებს, არც წინა გათამაშებისას გამოუწვევია მას უკმაყოფილება და რა გასაკვირია, ახლაც იგივე თუ გავაკეთეთო.

ერთი სიტყვით მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტმა წესის უცბად შეცვლაზე უარი თქვა, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საკითხია და ჯერ კლუბებთან კონსულტაციების გავლაა საჭიროო. რამდენი ხანი გაგრძელდება კონსულტაციები და როდის განიხილება საკითხი კიდევ ერთხელ, ჯერჯერობით, უცნობია.

# სკონტო ჰოლანდიაშია



დავით გამეზარდაშვილი

**დავით გამეზარდაშვილმა** ლატვიის 13-გზის ჩემპიონ რიგის "სკონტოს" შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდრა. ეს იყო ერთადერთი კითხვა, რომლის მიხედვითაც უნდა მიეღო დათოს გადაწყვეტილება, დარჩებოდა თუ არა გუნდში. 24 წლის მცველს ლატვიურ კლუბთან კონტრაქტი აკავშირებდა და რიგელებს მისი განათხოვრება არ სურდათ. თუმცა თავად სურდა გაეგო, ძირითადის ფეხბურთელად განიხილავდნენ თუ შემცვლელად. საკონტროლო მატჩების შემდეგ კი მიხვდა, რომ წასვლა აღარ მოუწევდა.

გუშინ რიგელები ჰოლანდიაში დასკვნითი მოსამზადებელი შეკრების ჩასატარებლად გაეშურნენ და **პოლ ეშორტმა** სიაში **ზაალ ელიავა** და **დავით გამეზარდაშვილიც** შეიყვანა.

4 მარტს"სკონტო" მოსკოვის "ლოკომოტივს" შეხვდება ამხანაგურ მატჩში. ამის შემდეგ კი 3 მატჩს დაბალი დივიზიონის კლუბებთან ჩაატარებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# გიგაური ჩიხურაში ითამაშებს

თბილისის "დინამოს" მცველი **დავით გიგაური** ზამთრის პაუზისას **დუშან უჰრინის** გუნდს დროებით გამოეთხოვა. გიგაურს კარიერის ლატვიაში გაგრძელების შანსი გამოუჩნდა. ფეხბურთელის გადაბირება "ვენტსპილსს" სურდა. დათო რამდენიმე დღის განმავლობაში ბალტიისპირელთა' გუნდშიც ვარჯიშობდა, მაგრამ საბოლოოდ ტრანსფერი არ შედგა. მიზეზი ისაა, რომ "ვენტსპილსს" ის კამერუნელი მცველი დაუბრუნდა, რომლის შემცვლელადაც გიგაურს მიიჩნევდნენ. სამშობლოში დაბრუნებული მცველი კი თბილისის "დინამომ" მიმდინარე სეზონის ბოლომდე საჩხერის "ჩიხურაში" გაანათხოვრა.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით გიგაური

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს თანამშრომელს, ცნობილ საფეხბურთო სტატისტიკოსს რევაზ შენგელიას.

გამოხმაურება | ლელოს ექსპერიმენტი

# ბავშვთა ფეხბურთის გადასარჩენად

ექსპერიმენტი მრავალნაირია ფორმით და შინაარსით. დღეს ჩვენ, ერთი შეხედვით უცნაური ექსპერიმენტის შესახებ გვინდა ვაუწყოთ "ლელოს" მკითხველებს. გარკვეულწილად ეს სიახლეცაა და უკავშირდება იმ საგანგებო სიგნალს, რომელიც "ლელოს" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში წამოწია დღის წესრიგში ჟურნალისტმა მერაბ მამულაშვილმა.

ვითარება, რომ მართლაც საგანგაშოა, დაგვეთანხმებით. ბავშვთა საფეხბურთო სკოლების საამაყო ტრადიციები დაჩქარებული ტემპით ხდება მილევადი და, ალბათ, ის დროც აღარ არის შორს, როცა ბავშვთა ფეხბურთი საბოლოოდ ისევ ქუჩას და ეზოს დაუბრუნდება. სპორტულ სკოლებს დაფინანსება შეუწყდათ და ეს გახდა განგაშის საბაბი. ყოველდღიურად მცირდება სპორტულ სექციებში მომეცადინე მოზარდთა რიცხვი, რადგან თვითდაფინანსებაზე გადასული სპორტული სკოლების შენახვა, მომეცადინეთა მშობლების ბიუჯეტს დააწვა ტვირთად.

სად არის გამოსავალი? ხსნის ძიებაში დღეს უპირველესად სპეციალისტები არიან ჩაბმულნი, მაგრამ სანუხარი ისაა, ნათელ მომავალს ვერ ჭვრეტენ.

ჩვენც ვცდით და ერთ ექსპერიმენტს ჩავატარებთ. "ლელო" ინტერნეტში განათავსებს შესაბამის ინფორმაციას და მოუწოდებს უცხოელ ინვესტორებს ჩადონ ინვესტიცია საქართველოს ბავშვთა ფეხბურთში ანუ იმ საქმეში, რომელიც მათ უთუოდ მოუტანს მოგებასაც და სახელსაც. ქართული ფეხბურთის წარსული და თანამედროვე ქართველ ლეგიონერ ფეხბურთელთა მაგალითია ამის მტკიცე გარანტი. მომავალი კი...

მომავალი ყველამ ერთად უნდა გადავარჩინოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



კახა მჟავანაძე

# მჟავანაძე ანჟის უბრუნდება

ოდესის "ჩერნომორეცის" მთავარმა მწვრთნელმა **სემიონ ალტმანმა** ერთი თვის წინათ ერთბაშად ორი ქართველი გაუშვა გუნდიდან, მცველები **კახა მჟავანაძე** და **გიორგი შაშიაშვილი**. გიორგი შაშიაშვილი თბილისის "დინამოს" დაუბრუნდა, მჟავანაძე კი დიდხანს ეძებდა სასურველ ვარიანტს და როგორც გუშინ შევიტყვეთ, მიაგნო კიდეც.

საქართველოს ნაკრების ყოფილ ფეხბურთელს უკრაინაში დარჩენა სურდა, თუმცა საბოლოოდ მისმა ყოფილმა კლუბმა მახაჩკალის "ანჟიმ" შესთავაზა დაბრუნება. კახასაც ბევრი არ უფიქრია და მალე გუნდს შეუერთდება. შეგახსენებთ, რომ დაღესტნურ კლუბს ამჟამად **ომარ თეთრაძე** წვრთნის. ინფორმაცია ოდესის "ჩერნომორეცის" ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გაავრცელა.

დაღესტანში მჟავანაძის შესაძლებლობებს კარგად იცნობენ. "ჩერნომორეცში" ქართველი მცველი სწორედ "ანჟიდან" გადავიდა. მანამდე კი მოსკოვის "სპარტაკში" და ბათუმის "დინამოში" თამაშობდა. "ანჟის" შემადგენლობაში მან პრემიერლიგაში 27 შეხვედრა ჩაატარა, 110 კი - რუსეთის პირველ დივიზიონში. "ანჟიში" მჟავანაძე ყველა მწვრთნელის ნდობით სარგებლობდა - **გაჯი გაჯიევს, ანატოლი პისკარიოვს, ალექსანდრ მაკაროვს, ევგენი კუზნეცოვსა** და **დმიტრი გალიამინს** მისი ძირითადში მოხვედრა ეჭვქვეშ არასდროს დაუყენებიათ.

"ანჟიში" მჟავანაძეს ნახევარმცველი **გოჩა ხოჯავა** დახვდება. გოჩამ დაღესტნელთა ბოლო საკონტროლო მატჩში მიიღო მონაწილეობა, სადაც მათ ეკატერინბურგის "ურალი" დაუპირისპირდა. ხოჯავამ თამაში ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 65-ე წუთზე შეცვალეს. "ანჟის" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, მას ბურთის გატანის შესაძლებლობაც ჰქონდა, მაგრამ მომენტით ვერ ისარგებლა.

**მერაბ მამულაშვილი**

# კანკავა ძირითადის კაცია

## ილიჩევეცმა ციმაკურიძე დაადასტურა

ხვალ უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრე განახლდება. უმაღლესი ლიგის გუნდებმა დაკომპლექტება ფაქტობრივად დაასრულეს. დღევანდელი მონაცემებით კიევის "დინამოში" გააგრძელებს კარიერას **კახა ალადაშვილი**. მისი უმთავრესი კონკურენტი **ანდრეი ეშჩენკო** "დინამოს" ხელმძღვანელობამ დნეპროპეტროვსკის "დნეპრს" იჯარით შესთავაზა. კიეველთა პრეზიდენტი **იგორ სურკისი** მიანიშნებს, რომ მას ძირითადში მოხვედრის შანსი არ გააჩნია: *"ეშჩენკოს "დნეპრში" უპრობლემოდ გავუშვებთ. სხვაგვარად მას მხოლოდ დუბლებში ვათამაშებთ და იქ უნდა დაამტკიცოს, რომ ძირითადში მოხვედრას იმსახურებს"*.

ამჟამად კიევის "დინამოს" მარჯვენა ფლანგზე შეუძლია ათამაშოს სერბი **მირან მარკოვიჩი** და ქართველი კახა ალადაშვილი, საჭირო შემთხვევაში კი, უკრაინის ნაკრების ნახევარმცველი **ოლეგ გუსევიც** დაცვაში დაიხევს.

დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" ძირითად შემადგენლობაშიადგილი დაიმკვიდრა **ჯაბა კანკავამ** შეშფოთებას თავდაპირველად მისი შეცვლაზე თამაში იწვევდა, მაგრამ როგორც გაირკვა, ეს იყო გამოწვეული არა მწვრთნელის უნდობლობით, არამედ მცირე ტრავმით. ამჟამად ჯაბა მომჯობინდა და ბოლო საკონტროლო შეხვედრები ძირითად შემადგენლობაში დაიწყო.

გუნდის მთავარ მწვრთნელ **ოლეგ პროტასოვს** გაზეთ "კომანდას" კორესპონდენტი დაეკითხა, თუ რომელ ახალწვეულებს ხედავს ძირითად შემადგენლობაში: *"ძალიან მომეწონა დენისოვი. მოსკოვის ცსკა-დან გადმოსული სამოდინი ჯერ ვერ არის ფორმაში. რაც შეეხება კანკავას, ის ძალიან ნიჭიერი ბიჭია, მომწონს და ალბათ, ძირითადში ვათამაშებ"*.

დაბოლოს, დაკომპლექტება დაასრულა მარიუპოლის "ილიჩევეცმა". გუნდის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით დადასტურდა, რომ ახალწვეულთა შორის ალჩევსკის "სტალისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მოთამაშე **გიორგი ციმაკურიძეა**. იგი ზაპოროჟიეს "მეტალურგში" ისინჯებოდა, მაგრამ მწვრთნელი და პრეზიდენტი მის ტრანსფერზე ვერ შეთანხმდნენ და ფეხბურთელმაც მარიუპოლს მიაშურა.

**მერაბ მამულაშვილი**

| | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| ოლიმპი | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები, ტორპედო) რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია (ამერი), სირბილაძე (დინამო), მიმინოშვილი, მიქიაშვილი, ვ. კვარაცხელია, ხოხონიშვილი (ორივე- ბათუმი), გ. თოდუა (მგლები) | რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი), ნავალოვსკი (დინამო) ჩხარტიშვილი (დინამო ერევანი), ბერუაშვილი (ტორპედო), ქიჭვეიშვილი (სიონი) |
| ვიტ ჯორჯია | დილმელაშვილი, ფეიქრიშვილი (ორივე - დინამო) | კიკნაძე (ბორჯომი), იმერლიშვილი (კახეთი) |
| ამერი | ჩანგელია (უკრაინა) კედელაშვილი (მერანი) | მესხი (ჩიხურა), ნაჭყეპია (ოლიმპი), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) |
| ზესტაფონი | იმედაძე (ტორპედო), თურმანიძე (ბათუმი), განუგრავა, პ. გოცირიძე | რ. ონიანი (ოლიმპი), ლეანდრო, ჟონატასი |
| დინამო | ამბროზიო (გრემიო), ახალაია, ბაბუნაშვილი (სიონი), სტურუა (ჩიხურა), გრიგალაშვილი (ბორჯომი), მახარაძე (ჩიხურა) ნავალოვსკი , ნერგაძე (ბათუმი), გიგაური, ქუცურუა (ჩიხურა), დვალი (ჩიხურა) | დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია) ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრშკო (ჟილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია), სირბილაძე, სპასოევიჩი |
| ტორპედო | ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო) ბერუაშვილი (ოლიმპი) მ. ლონლაძე (ლოკომოტივი) | კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები), კ. კვეტენაძე, მერკვილაძე, ხურცილავა, გ. იმედაძე |
| სიონი | სიჭინავა, შავგულიძე, ბათიაშვილი, ქიჭვეიშვილი | მამალაძე (ჩიხურა), სილაგაძე, დარასელია (შახტიორი ყარაღანდა), ბაბუნაშვილი (დინამო), ექონია (ბათუმი), კორღალიძე, სანიკიძე, ორბელაძე |
| ლოკომოტივი | ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია, მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი | სოსელია, წუწუნავა (ორივე - კახეთი) მალიჩავა, სამხარაძე (გაგრა) |
| ბორჯომი | ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე (ვიტ ჯორჯია), ბენდელიანი, ლაბაძე | კვერნაძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე (ბათუმი) ლ. მერებაშვილი (ჩიხურა) საყვარელიძე, მძინარიშვილი (ორივე დილა), გრიგალაშვილი (დინამო), კაკალაძე (ჩიხურა) |
| მერანი | — | კუტივაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი (ამერი), ა. ნოზაძე |
| ჩიხურა | ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა | სტურუა, დვალი, ქუცურუა, ჩარგეიშვილი, მახარაძე (ყველა დინამო), მ. მიქაძე, დარჩიძე |
| ბათუმი | ა. მუჯირი (ბაქი), კოშკაძე (ბორჯომი), ნაჭყებია | კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2), თურმანიძე (ზესტაფონი), შალამბერიძე (მეშაქრე) |
| დილა | ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი) | ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები), დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია, გონჩაროვი |
| კახეთი | იმერლიშვილი (ვიტ ჯორჯია), ცინაძე, სოსელია, წუწუნავა (ორივე - ლოკომოტივი) | კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი |

ორშაბათიდან!

დაიწყე ახალი კვირა ტონუსით

ტონუსი



მსუბუქი გაზეთი ყველა თაობისათვის №1 (5-18 მარტი) გამოდის ორ კვირაში ერთხელ

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ი. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ასოციაციის თასი

# ბლექბერნმა არსენალი იმსხვერპლა

## ადებაიორს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია, შეიძლება, გაუზარდონ

ოთხშაბათს "არსენალი" ინგლისის ასოციაციის თასს გამოეთიშა. ბლექბერნელმა **ბენი მაკარტიმ** ერთადერთი გოლი გადათამაშებული მერვედფინალის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე გაიტანა. მომდევნო რაუნდის საგზური "ვარდებს" დარჩათ. "მეთოფეებმა" კი მეორე სათასო ტურნირიც ხელცარიელებმა დაასრულეს.

მაკარტი მინდორზე მე-60 წუთზე შევიდა. გადამწყვეტი იერიშისას ის მარცხენა ფლანგზე გაიჭრა, **ფილიპ სენდეროსს** იოლად აურა გვერდი და 25 იარდიდან შორ კუთხეში დასცხო. "არსენალის" ფეხბურთელებმა პირველ ნახევარში ორჯერ მოითხოვეს პენალტის დანიშვნა - პირველად მაშინ, როცა **ბრედ ფრიდელთან** ორთაბრძოლისას **ჟერემი ალიადიერი** წაიქცა და მეორედ, როცა **ბრეტ ემერტონმა ფრედრიკ ლიუნგბერგი** საჯარიმოს კუთხესთან წააქცია. არბიტრმა **გრემ პოლმა** წესების დარღვევა ვერ დაინახა. მეორე ტაიმში ფრიდელმა **ჟულიო ბაპტიშტას** ორი შეტევა მოიგერია. "არსენალმა" ამაზე მეტის გაკეთება ვერ შეძლო. მეოთხედფინალური მატჩები 11 მარტს გაიმართება. ამ რაუნდში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**მანჩესტერ იუნ.-მიდლსბრო**
**ბლექბერნი-მანჩესტერ სიტი**
**ჩელსი-ტოტენჰემი**
**პლიმუთი-უოტფორდი**

"არსენალზე" საუბარს ლიგის თასის ფინალის ამბებით გავაგრძელებთ. მოგეხსენებათ, იმ მატჩში არბიტრმა **ჰოვარდ ვებმა** სამი ფეხბურთელი გააძევა: ჩელსელი **ჯონ ობი მიკელი** და არსენალელები, **კოლო ტურე** და **ემანუელ ადებაიორი**. ამ უკანასკნელს წითელი ბარათი მას მერე აუფრიალეს, რაც **რიკარდო კარვალიოს** ჩასცხო და **ფრენკ ლემპარდს** მუშტი მოუღერა.

ტოგოელის გაძევება თანამსაჯის დამსახურებაა. ვებს ადებაიორის უხამსობის ამბავი მან ამცნო. **არსენ ვენგერმა** ამ არბიტრს მატყუარა უწოდა. საფეხბურთო ასოციაციამ კი მწვრთნელისაგან უმალ ახსნა-განმარტებები მოითხოვა. "არსენალმა" ემანუელის გაძევება გაასაჩივრა. სამშაბათს სააპელაციო კომისიამ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა. დისკვალიფიკაცია ძალაში დარჩა, რის გამოც ფეხბურთელმა "ბლექბერნთან" ვერ იასპარეზა. ადებაიორი კიდევ ორ თამაშს გამოტოვებს, მაგრამ შეიძლება, სასჯელი დაუმძიმონ. იმის გარდა, რომ წითელი ბარათი მიიღო, არბიტრის გადაწყვეტილებას აგრესიით შეხვდა და გაძევების მიუხედავად, რამდენიმე წუთის განმავლობაში მინდორზე დარჩა, რითაც თამაშის მსვლელობას ხელი შეუშალა. საქმის ამ ნაწილის მოსმენა მომდევნო სამშაბათს გაიმართება. კოლო ტურეს განაჩენი გუშინ გვიან ღამით უნდა გამოცხადებულიყო.



უოლკოტის არსენალმა პედერსენის ბლექბერნს გვერდი ვერ აუარა



ფერნანდო ტორესი ლივერპულის სამიზნეშია

ლივერპული. ტრანსფერები

# ბენიტესი ირჩევს: ტორესი თუ ეტოო?

## რაფამ მალაგიდან ესპანური ფეხბურთის მეორე ამომავალი ვარსკვლავი წაიყვანა

"ლივერპულის" თავკაცი **რაფა ბენიტესი** **ფერნანდო ტორესის** შეძენას ეცდება. მწვრთნელმა მთავარი სკაუტი **პედრო კამპოსი** მადრიდს მიავლინა. ეს პატივცემული სენიორი გასულ უქმეებზე დედაქალაქურ დერბის დაესწრო. 23 წლის ტორესი მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახლდათ და საუცხოო გოლიც შეაგდო. ეს მისი მეცხრე გოლი იყო ამ სეზონში. "ატლეტიკო" თავის უპირველეს ვარსკვლავს 27 მილიონ გირვანქად აფასებს. ჯერჯერობით ლივერპულელთა ყველაზე დროის უძვირესი მოთამაშე **ჯიბრილ სისეა**. 2004 წლის აგვისტოში "ოსერს" მის სანაცვლოდ 14 მილიონი გირვანქა გადაუხადეს.

მერსისაიდელთა გარდა ფერნანდოს შეძენა "მანჩესტერ იუნაიტედსაც" სურს. ინგლისური გრანდების გააქტიურება იმას ნიშნავს, რომ "ატლეტიკოს" ფეხბურთელის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება. ამას მადრიდული კლუბის პრეზიდენტი ენრიკე სერესოც აღიარებს: *"ტორესის გაყიდვა არ გვინდა, მაგრამ საბოლოო სიტყვა მას ეკუთვნის. ფერნანდომ შესანიშნავად იცის, რა უნდა. "ატლეტიკო" მისი ოჯახია. ვფიქრობ, აქედან წასვლა ადვილი არ იქნება."*

"ლივერპული" თავდასხმის გაძლიერებაზე ფიქრობს. ტორესი ერთადერთი სამიზნე არ არის. ესპანური სააგენტოები **სამუელ ეტოოს** ტრანსფერსაც რეალურად თვლიან. "ასის" მტკიცებით, "ბარსელონამ" მერსისაიდელებს თვითონ შესთავაზა კამერუნელი ლეგიონერის დათმობა. ამ ინფორმაცია ბენიტესის აგენტიც ადასტურებს. **მანუელ გარსია კილონის** თქმით, კატალონიელებმა ეტოო ინგლისურ გრანდებს შესთავაზეს. შესაბამისი შეტყობინება "ლივერპულმაც" მიიღო. სამუელი ტორესზე 3 მილიონით მეტი, 30 მილიონი გირვანქა ღირს.

გავაგრძელოთ "ლივერპულზე" საუბარი. სენიორ რაფამ ამჯერადაც თავისი გაიტანა და მალაგელი ამომავალი ვარსკვლავი **პედრო ალკალა** "რეალს" ცხვირწინ ააცალა. "ასის" ცნობით, 18 წლის თავდამსხმელმა ინგლისელებთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა და მომავალი სეზონიდან "ენფილდზე" ითამაშებს. ალკალას ტრანსფერი მერსისაიდელთა კიდევ ერთი ესპანელი სკაუტის, **პაკო დე გრასიას** დამსახურებაა. ერთი თვის წინ მალაგიდან "ლივერპულში" გადავიდა კიდევ ერთი თინეიჯერი **ფრანსისკო დურანი**.

იუვენტუსი. ტრანსფერები

# ქალბატონმა ძამბროტა გაიხსენა

## ემერსონი დაბრუნებაზე ოცნებობს, ბრემენიდან ტურინში ოთხ ფეხბურთელს ელოდებიანო

**ჯანლუკა ძამბროტა**, შეიძლება, "იუვენტუსში" დაბრუნდეს. იტალიელ მცველს "მილანიც" ეპატიჟება. ძამბროს კატალონიაში საქმეები შესანიშნავად აეწყო, ის **ფრანკ რიიკაარდის** ამოუწურავი ნდობით სარგებლობს და ძირითადში ადგილი გარანტირებული აქვს, მაგრამ "ბებერ ქალბატონს" შეუძლია საიდუმლო კარტები გამოიყენოს. საქმე ისაა, რომ "ბარსას" ძამბროტასა და **ტურამის** სატრანსფერო თანხები ჯერ არ დაუფარავს. მას "ბებერი ქალბატონისა" ექვსი მილიონი გირვანქა მართებს. ეს თანხა კი სავსებით საკმარისია ჯანლუკას იტალიაში დასაბრუნებლად. მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციაური კომენტარები არ გაკეთებულა.

ძამბროტასი რა მოგახსენოთ, მაგრამ გასულ ზაფხულს "რეალში" გადასულ **ემერსონს** ნამდვილად უნდა ტურინში დაბრუნება. ბრაზილიელმა ნახევარმცველმა "გაძეტა დელო სპორტს" ასეთი კომენტარი მისცა: *"რეალში" ჩემი ფეხბურთი არ ესმით და არ სჭირდებათ. მე, ფაქტობრივად, მომკლეს. გამიხარდა, როცა კაპელომ მადრიდში გადასვლა შემომთავაზა, მაგრამ დღეს ჩემს მდგომარეობას ტანჯვა ჰქვია. მოტივაცია საერთოდ აღარ დამრჩა. ასე გაგრძელება აღარ შემიძლია. საკუთარ თავს გამუდმებით ვეკითხები: განა მიღირს "რეალში" ყოფნა ამ ფასად? იტალია და ტურინი სიგიჟემდე მენატრება. სერია B-შიც კი "იუვენტუსი" მენტალური სიძლიერის სიმბოლოდ რჩება."*

**დავიდ ტრეზეგე** "იუვესთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს. კლუბმა მას უკვე შესთავაზა თანამშრომლობის გაგრძელება, მაგრამ შეთავაზება, ფაქტობრივად, უპასუხოდ დარჩა. დავიდი ფეხს ითრევს. როგორც ჩანს, მას გადაწყვეტილი აქვს "ბებერი ქალბატონის" მიტოვება. სანამ ხელშეკრულებას გააგრძელებდეს, ტრეზეგეს სურს, დარწმუნდეს, თუ რამდენად ამბიციურია კლუბის სამოქმედო პროგრამა. ის ფაქტი, რომ ამ ეტაპისათვის უკვე გადაწყვეტილია ორი ფეხბურთელის, ბაიერნელი **ჰასან სალიჰამიჯიჩისა** და აიაქსელი **ზდენეკ გრიგერას** ტრანსფერები, მას საკმარისად არ მიაჩნია. ორიოდე დღის წინ "იუვეს" თავკაცი **დიდიე დეშამი** თანამემამულეს დახურულ კარს მიღმა ესაუბრა. ეს შეხვედრაც მოთამაშის დაყოლიებას ისახავდა მიზნად.



ძამბროტა ჯერარდის წინააღმდეგ

იტალიური მედია ტურინელთა გეგმებს განსაკუთრებული ენთუზიაზმით განიხილავს. აი, კიდევ ერთი ინფორმაცია ამ თემაზე. "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, "იუვენტუსს" "ვერდერის" ერთბაშად ოთხი ფეხბურთელის შეძენა სურს. გასულ უქმეებზე მიონხენგლადბახის "ბორუსიისა" და "ვერდერის" მატჩს ტურინელი ემისარი დაესწრო. ცნობილია, რომ იტალიელებს **მიროსლავ კლოზეს** გადაბირება უნდათ და საამისოდ 7 მილიონ გირვანქას ამზადებენ. მაგრამ მიროს გარდა, "ქალბატონს" **პერ მერტეზაკერი, ნალდო და ტორსტენ ფრინგსიც** მოსწონს. "მუსიკოსების" რეაქცია უცნობია.

ევრო 2008

# ბილეთების გაყიდვა დაიწყო

## მათი ფასი 45-დან 550 ევრომდე მერყეობს

გუშინ გასაყიდად გაიტანეს საგაისო ევროპის ჩემპიონატის ბილეთების პირველი პარტია. რაოდენობა 330 ათასს შეადგენს. ბილეთების შეძენა ინტერნეტის საშუალებით შეიძლება. გაყიდვა 31 მარტამდე გასტანს. არსებობს წესი, რომელსაც ნებისმიერი მსურველი უნდა დაემორჩილოს. მას ერთ სათამაშო დღეს მხოლოდ ერთ მატჩზე დასასწრები ბილეთების შეძენა შეუძლია. ამავე დროს, აკრძალულია ერთ ადამიანზე ოთხზე მეტი ბილეთის გაყიდვა. თუ რომელიმე კონკრეტულ მატჩზე დასასწრები ბილეთების რაოდენობა მოთხოვნილზე საგრძნობლად ნაკლები იქნება, იღბლიანს გამოავლენს ლატარია, რომელიც აპრილის მიწურულს გათამაშდება. ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი აფრთხილებს გულშემატკივრებს, რომ ბილეთების შეძენის ერთადერთი ადგილია ევრო 2008-ის ოფიციალური ვერგვერდი. სხვა მისამართებზე ან შავ ბაზარზე გადახდილი ფულის შემთხვევაში, კომიტეტი პასუხს არ აგებს.

ბილეთების მორიგი პარტია, საერთო რაოდენობის 38 პროცენტს, იმ 16 ქვეყანას შორის გაანაწილებენ, რომლის ნაკრები გუნდები ფინალური ეტაპის საგზურს მოიპოვებენ. ტურნირის მასპინძელ ავსტრიასა და შვეიცარიაში სტადიონები შედარებით მცირე ზომისაა (ყველაზე დიდი არენა ვენის "ერნსტ ჰაპელი" გახლავთ, რომელიც 50 ათას მაყურებელს იტევს). ამიტომ ორგანიზატორებმა პრიორიტეტულ ამოცანად მიიჩნიეს ბილეთების შეზღუდული რაოდენობის (1 050 000 ცალი) მაქსიმალურად სამართლიანად განაწილება. თითოეულ ბილეთზე დატანილი იქნება მფლობელის გვარი, რაც ხულიგნებს სტადიონებზე მოხვედრას საგრძნობლად გაურთულებს. ფინალური ეტაპის კენჭისყრა დეკემბერში გაიმართება. იმასაც გეტყვით, რომ ბილეთების 29 პროცენტს სპონსორებსა და პარტნიორებს შორის გაანაწილებენ. ამავე რიცხვში შედის საგანგებო სტუმრებისათვის განკუთვნილი ყველაზე ძვირადღირებული ბილეთებიც.

ევროპის ჩემპიონატს რვა ქალაქი უმასპინძლებს. შვეიცარიაში - ბაზელი, ბერნი, ჟენევა და ციურიხი, ხოლო ავსტრიაში - ინსბრუკი, კლაგენფურტი, ზალცბურგი და ვენა. თითოეულ მასპინძელ ქალაქს ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის ერთ მატჩზე 750 ბილეთი ეკუთვნის. ჯგუფურ ტურნირში ბილეთები 45-110 ევრო ეღირება, ხოლო ფლეი ოფებში მაქსიმალური ფასი 550 ევროს მიაღწევს. გაყიდვაში გამოვა ბილეთები სერიიდან - Follow My Team, რაც აბონემენტის მაგივრობას გასწევს და ქომაგებს საშუალებას მისცემს, საყვარელი გუნდის მატჩებს მთელი ტურნირის განმავლობაში დაესწრონ. დასასრულს შეგახსენებთ, რომ ევრო 2008 გაისად, 7-29 ივნისს გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# ტოტი, რომაელთა მომავალი დირექტორი

## ფრანჩესკო ნაკრებში დაბრუნებაზე ჯერ ისევ უარს ამბობს



ფრანჩესკო ტოტი

კვირას ვერონაში **ფრანჩესკო ტოტიმ** დუბლი შეასრულა და "რომას" "კიევოსთან" (2:2) ქულა გადაურჩინა. ნამატჩევს ტელეკომპანია "სქაი იტალიისთვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში კაპიტანმა შარშანდელ ტრავმაზე, მუნდიალზე, სკუდეტოზე, ნაკრებსა და საკუთარ მომავალზე ილაპარაკა. მომავალს რაც შეეხება, ტოტი საკუთარ თავს ვერ **მანჩინის** და ვერც **პლატინის** როლში ხედავს: *"მე არც მწვრთნელი გავხდები და არც პოლიტიკით დავკავდები, როგორც ეს პლატინიმ გააკეთა. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ "რომაში" დირექტორის პოსტზე ვიმუშავებ".*

ჩემპიონატთან დაკავშირებით, "ჯალოროსის" 10 ნომერი თვლის, რომ სკუდეტოს საკითხი პრაქტიკულად დახურულია "ინტერის" სასარგებლოდ: *"წელს ამაზე მეტის გაკეთებას ვერ შევძლებთ. ჩვენ წინაშეა უძლიერესი გუნდი, რომელიც ყველაფერს იგებს და უდიდესი ფეხბურთელები ჰყავს. ჩვენ შესაძლებლობების მაქსიმუმს ვაკეთებთ და იმედი გვაქვს, რომ ჩემპიონატს მეორე ადგილზე დავასრულებთ".* მეორე ადგილის გარდა, ტოტის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულსაც უმიზნებს. კვირას კაპიტანმა მე-16 გოლი გაიტანა (141-ე სერია A-ში) და ბომბარდირთა დავაში მდევრებთან დისტანცია გაზარდა: *"ჩემი მიზანია, რომ კარიერაში 200 გოლი გავიტანო. წინ სულ ცოტა ხუთი წელი კიდევ მაქვს და მინდა, რომ სულ ასეთ დონეზე ვითამაშო. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება? გავიგე, რომ ორი წლის შემდეგ ფინალი რომში იქნება. თითქოს ბედისწერაა, რომ "ლივერპულზე" შური ვიძიოთ. მოედანი იგივე იქნება, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ტოტი ითამაშებს, თან ფორვარდის პოზიციაზე და იმასაც გეტყვით, რომ ორ გოლს გავიტან".*

ამ სეზონში ტოტიმ ცხრა მცდელობიდან ექვსი 11-მეტრიანი გააფუჭა. *"რა ვიცი, იქნებ, იტალია-ავსტრალიის დროს ზედმეტად მომივიდა იმ პენალტზე კონცენტრირება* – ხუმრობს კაპიტანი – *თავდაჯერება არ მაკლია. სამწუხაროდ, ხანდახან შედცომაც მოგივა. ჩანს, რომ ბოლო პერიოდში პენალტებში ნაკლებად მიმართლებს, მაგრამ თავს მაინც "პენალტისტად" ვთვლი. ამ საქმეზე უარის თქმას არ ვაპირებ. იმედი მაქვს, რომ რაც შეიძლება მალე მომეცემა 11-მეტრიანის შესრულების შანსი: დავარტყამ და გავიტან, მერე კი ისევ გავაფუჭებ. სამწუხაროდ, ასეთია ფეხბურთი".* ტოტის ძალიან მოსწონს ცენტრფორვარდის პოზიცია, რომელზეც **სპალეტი** მეორე სეზონია ათამაშებს: *"ბავშვობიდანვე თავდამსხმელების უკან, გამთამაშებლად ვთამაშობდი. შემდეგ, წლებთან ერთად, წინაც გამომცადეს. გულწრფელად გითხრათ, ცენტრფორვარდის როლი ძალიან მომწონს: ამ ადგილზე თავს მშვენივრად ვგრძნობ, გოლები გამაქვს და კმაყოფილი ვარ იმით, რასაც ვაკეთებ, თუმცა, როგორც სპალეტიმ თქვა, მომატება კიდევ შემიძლია".*

კაპიტანმა ერთი წლის წინ მიღებული მძიმე ტრავმა და ოპერაცია გაიხსენა: *"თავიდან შიში მქონდა, რომ ფეხბურთს ძველებურად ველარ ვითამაშებდი. მაგრამ ახლა სიხარულს განვიცდი. სიხარულს, იმიტომ, რომ ყველა დაბრკოლება ჩემით დავძლიე და ამან მეტი თავდაჯერება და ძალა მომცა, უფრო მეტი გავიგე საკუთარი ხასიათისა და პიროვნების შესახებ. ჩემი ტრავმის შემდეგ, სიტუაცია ცოტათი გამოსწორდა, უფრო იშვიათად ვიღებ მტკივნეულ დარტყმებს. მძიმე ტრავმის შემდეგ, ეტყობა, ახლა უფრო მეტი პატივისცემით მეპყრობიან".*

ტოტი ნაკრებში ჯერ ისევ ვერ დააბრუნეს, თუმცა ამასთან დაკავშირებით ამბობს, რომ "საკუთარი სინდისის წინაშე მართალია". *"არასდროს მითქვამს უარი მწვრთნელთან და ნაკრების მენეჯერებთან საუბარზე* – განმარტავს ფრანჩესკო - *ყველას ავუხსენი ის მიზეზები, რომელიც უკვე ყველამ იცის: ოპერაციის შემდეგ კოჭიდან ის ფირფიტა ისევ არ ამომიღია (სექტემბერში ამოუღებენ), ასე კი ნაკრებში თამაში იოლი არ არის. თან ყოველ სამ დღეში ერთხელ ვთამაშობთ და ცოტა დასვენებაც საჭიროა. რაღაცაზე უარი უნდა მეთქვა და უარი ნაკრებზე ვთქვი, მიუხედავად იმისა, რომ "სკუადრა აძურის" მაისურა ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. მაგრამ ამ მომენტში არ შემიძლია, რომ "რომას" არ დავეხმარო, ამიტომ "რომა" ვამჯობინე, თუმცა ესეც რომ არ ყოფილიყო, ნებისმიერ შემთხვევაში, "რომას" ვამჯობინებდი".*

**გოგა ახალაძე**

დორტმუნდი

# მეტცელდერი: იუვე, ინტერი თუ მაინც ბორუსია?

## ყველაფერი მომდევნო კვირაში გაირკვევა...



კრისტოფ მეტცელდერი

პირველი წრის შემდეგ დორტმუნდის „ბორუსია" გასავარდნ ზონიდან 7 ქულით წინ იყო. მართალია, BVB-ს ხელმძღვანელები მეორე ბუნდესლიგაში გავარდნაზე არც შემოდგომაზე ფიქრობდნენ და ამ საკითხზე არც ახლა ნერვიულობენ (მიუხედავად იმისა, რომ 7 ქულა 5 ქულამდე შემცირდა), მაგრამ რეალობა ის არის, რომ კიდევ 2 ნაგებაც და შავ-ყვითლებს უკვე სერიოზულად დაემუქრებათ შავ ზონაში ჩასვლის საფრთხე. გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** ამბობს, რომ გუნდი ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად არ იბრძვის, მაგრამ ფაქტები საწინააღმდეგოს ამტკიცებს: გასავარდნი ზონა გაცილებით ახლოა (5 ქულა), ვიდრე უეფას თასის საგზურის მომტანი მე-5 ადგილი (7 ქულა).

ვატცკეს და სხვა ბოსებს ახლა ყველაზე მეტად საკადრო საკითხები აწუხებთ. გასულ კვირაში ახალი კონტრაქტი გაუფორმეს **კრისტიან ვიორნსს**, სამაგიეროდ, ჯერ კიდევ გასარკვევია **კრისტოფ მეტცელდერის** საკითხი, რომელსაც ხელშეკრულების ვადა ასევე ზაფხულში ეწურება. წესით, მეტცეს ოთხშაბათს უნდა ეთქვა, რჩება თუ არა „ბორუსიაში", მაგრამ 26 წლის მცველი ჯერჯერობით დუმს. გუშინწინ და გუშინ კრისტოფი ლონდონში იმყოფებოდა. ოფიციალური ვერსიით სპონსორებთან საქმიანი შეხვედრები ჰქონდა, არაოფიციალურით კი, „არსენალისა" და „ჩელსის" მესვეურებს შეხვდა. დორტმუნდული კლუბის ხელმძღვანელებმა მას მოსაფიქრებელი დრო თებერვლის ბოლომდე მისცეს, მაგრამ აი, თებერვალიც გავიდა, კრისტოფისგან კი არაფერი ისმის.

დადასტურებულია, რომ მეტცელდერის გადაბირება „იუვენტუსსა" და „ინტერს" სურთ. თუმცა ვატკცე ამბობს, კრისტოფს იმდენად კარგი პირობები შევთავაზეთ, უარის თქმა ძალიან უნდა გაუჭირდესო. თანაც, ეს იმ დროს, როცა „ბორუსიას" არც ფინანსურად ულხინს. მიუხედავად იმისა, რომ ხშირი ტრავმიანობის გამო მეტცელდერი „დორტმუნდს" ძალიან იშვიათად ეხმარებოდა და როცა ეხმარებოდა, მაშინაც ვერ ავლენდა საუკეთესო თვისებებს, მისთვის შეთავაზებული ახალი კონტრაქტი ისეთ ხელფასს ითვალისწინებს, რომელიც კრისტოფს BVB-ს ყველაზე მაღალანაზღაურებად მოთამაშედ აქცევს.

*„ჩვენ მისი შენარჩუნება გვინდა და ეს თვითონ კრისტოფმაც ძალიან კარგად იცის. მომდევნო კვირაში ყველაფერი გაირკვევა."* – ამბობს „ბორუსიის" სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი**. მოკლედ, მთელი დორტმუნდი მეტცეს პასუხს ელოდება...

**გოტფრიდ ლენცი**

პენსია

# მარკუს ბაბელი სახლში მიდის

## გერმანიის ნაკრების ყოფილმა მცველმა მწვრთნელობა გადაწყვიტა



მარკუს ბაბელი

ვეტერანმა გერმანელმა მცველმა **მარკუს ბაბელმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 34 წლის უკანახაზელი ახლა „შტუტგარტში" ირიცხება, მაგრამ მას მერე, რაც ბუნდესლიგის მეორე წრე დაიწყო, ბაბელი არათუ სასტარტო შემადგენლობაში, შვაბური გუნდის განაცხადშიც კი აღარ გამოჩენილა. თვეზე მეტია, რაც შვაბთა თამაშებს ის მხოლოდ ტრიბუნებიდან ადევნებს თვალს. გუშინ „კიკერს" ბაბელმა პირველად გაუმხილა გადაწყვეტილება: *„დიდხანს ვიფიქრე და გადავწყვიტე, ფეხბურთიდან წავიდე."*

ამრიგად, სეზონის დასრულებასთან ერთად მარკუს ბაბელის 16 წლიანი კარიერაც დამთავრდება. ბუნდესლიგაში ჩატარებული აქვს 288 შეხვედრა (12 გოლი), გერმანიის ნაკრებში 51 მატჩი (1 გოლი საქართველოსთან), ინგლისის პრემიერლიგაში 67 თამაში (6 გოლი), ევროტურნირებზე კი 77 მატჩი (6 გოლი). ბაბელმა უკვე იცის, რასაც გააკეთებს აქტიური სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ. „შტუტგარტის" დამრიგებელმა **არმინ ფეჰმა** მას თავის შტაბში შესვლა შესთავაზა. მარკუსი კი ამ წინადადებას დიდი სიამოვნებით თანხმდება, რადგან მწვრთნელობა აქვს გადაწყვეტილი.

მოსალოდნელი ტრანსფერები

# სპალეტი: რომას დონე აკლია

## მწვრთნელი დიდ ფეხბურთელებს ითხოვს



ლუჩანო სპალეტი

მართალია, "რომა" ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, მაგრამ როცა საუბარი თავად კლუბსა და მის დონეზე მიდგება, **ლუჩანო სპალეტი** თვლის, რომ ამ მხრივ "რომა" "მილანზე", "ინტერსა" და "იუვენტუსზე" ერთი თავით დაბლა დგას. *"მე ყოველთვის მესმის საუბრები "ინტერის", "მილანისა" და "იუვენტუსის" შესაძლო ტრანსფერებზე, მათთვის საინტერესო დიდ ფეხბურთელებზე, მაგრამ "რომასთან" მიმართებაში იმავე სახელებს არასოდეს არავინ ახსენებს* – თქვა "ჯალოროსის" მწვრთნელმა – *აქედან გამომდინარე, შემიძლია, ვთქვა, რომ ჩვენსა და ამ კლუბებს შორის განსხვავება კვლავაც ძალიან დიდია".* იანვრის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში "რომამ" ორი ფეხბურთელი დაიმატა, **ფრანჩესკო ტავანო** "ვალენსიიდან" და **კრისტიან ვილჰელმსონი** "ნანტიდან", მაგრამ სპალეტისთვის ეს საკმარისი არ არის. *"ჩვენ სულ ცოტა სამი-ოთხი დიდი ფეხბურთელი გვჭირდება იმისთვის, რომ ევროპაში ყველას კონკურენცია გავუწიოთ"* – თქვა მწვრთნელმა.

ბოლოს ვრცელდებოდა ცნობები, რომ "რომა" **ანატოლი ტიმოშჩუკით** იყო დაინტერესებული, მაგრამ უკრაინელმა ნახევარმცველმა კარიერის სანკტ პეტერბურგში გაგრძელება გადაწყვიტა, მას შემდეგ, რაც "ზენიტმა" მის სანაცვლოდ 20 მილიონი ევრო გადაიხადა.

### ელ ჰაჯი დიუფი კალდერონზე?

გუშინ "ატლეტიკოს" პრეზიდენტმა **ენრიკე სერესომ** "დიარიო ასს" ინტერვიუ მისცა. მადრიდული კლუბის უმაღლესმა ხელისუფალმა საჩემპიონო ამბიციები გააცხადა. გარდა ამისა, სენიორ სერესომ სატრანსფერო დაინტერესებების შესახებაც ისაუბრა. დედაქალაქური გაზეთის საშუალებით ცნობილი გახდა, რომ "როხიბლანკო" **ელ ჰაჯი დიუფს** იწვევს. მოგეხსენებათ, სენეგალელი ფორვარდი ამჟამად "ბოლტონის" ღირსებას იცავს. ინგლისურ კლუბთან ის კონტრაქტით 2009 წლის ივნისამდეა დაკავშირებული. არაოფიციალური ინფორმაციით, "ბოლტონი" დიუფს 9 მილიონ ფუნტად აფასებს. ხელმომჭირნე სერესო, რა თქმა უნდა, ამ თანხის გადახდას არ აპირებს. მოსალოდნელია, რომ მხარეებს შორის დიდი ვაჭრობა გაიმართება.

### ბრაზილიელი ტყუპები მანჩესტერში

"მანჩესტერ იუნაიტედი" ბრაზილიელ ტყუპებს ყიდულობს. **ფაბიო და რაფაელ სილვებმა**, რომლებიც "ფლუმინენსეში" ასპარეზობენ, წინასწარ ხელშეკრულებაზე მოაწერეს ხელი. ისინი 18 წლისანი არიან და ინგლისურ გრანდს მომავალი სეზონიდან გააძლიერებენ. და სილვები დაცვაში თამაშობენ. ფაბიო მარცხენა მცველია, ხოლო რაფაელი - მარჯვენა. ყმაწვილები მანჩესტერში უკვე იმყოფებოდნენ. მათ ძირითად გუნდთან ერთად ივარჯიშეს და ამხანაგურ მატჩშიც კი მიიღეს მონაწილეობა. ფაბიო და რაფაელი სიამაყით აღნიშნავენ, რომ იმავე მინდორზე იდგნენ, სადაც **კრისტიანო რონალდო** და **უეინ რუნი**. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ვარსკვლავებმა თბილად მიიღეს.

ინტერვიუ ფაბიო კანავაროსთან

# მადრიდი მშვენიერია, მაგრამ დავბრუნდებოდი

## სეზონის ბოლოს კანავარო ხელმძღვანელობას შეხვდება და მომავალს გაარკვევს

**ყველაფრის მიუხედავად, ესპანელებს ფაბიო კანავარო მაინც მოსწონთ და უყვართ. ყველაფერში იგულისხმება მისი ამჟამინდელი ფორმა, რომელიც სამუნდიალოსგან ძალიან შორსაა, იგულისხმება შეცდომები, გაფრთხილებები, ერთი სიტყვით, აშკარა ჩავარდნა. "ოქროს ბურთის" პრიზიორი დღეს ის ფეხბურთელია, რომელსაც პრიმერა დივიზიონში ყველაზე მეტი გაფრთხილება აქვს მიღებული: 12 ყვითელი და 2 წითელი 21 შეხვედრაში. შედარებისთვის: მანამდე, ერთ სეზონში 8 ყვითელ ბარათზე მეტი ("პარმაში" 2001/02) არასდროს მიუღია. ამ ყველაფრის მიუხედვად, ესპანელებისთვის ის ისევ გრანდად რჩება – პროფესიონალიზმის, მუდმივი ღიმილის და განსაკუთრებით, გულახდილობისთვის. "ვიცი, რომ "რეალში" ნათამაშები 30 შეხვედრიდან კარგად მხოლოდ სამი თუ ოთხი ვითამაშე" – უთხრა "აძურის" კაპიტანმა ორი დღის წინ ერთ-ერთ ესპანურ ტელეარხს. მადრიდელი გულშემატკივრები მიხვდნენ, რომ იტალიელი ცდას არ აკლებს, ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია. ამიტომ პატიობენ ყველაფერს, განსხვავებით, მაგალითად, ემერსონისგან, რომელმაც მადრიდელების ნდობა კარგა ხანია დაკარგა. სამშაბათს კანავაროს მადრიდში "გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტი ესტუმრა. ინტერვიუ 33 წლის მცველმა ამ სიტყვებით დაიწყო: "მადლობას ვუხდი "რეალს" ნდობისთვის, მაგრამ პირველ რიგში ჩემი თავით უკმაყოფილო თვითონ ვარ. მსოფლიო ჩემპიონატი, პრიზები, მოგზაურობები, ყველაფერი გავლენას ახდენს, მაგრამ ყველას ვთავაზობ, რომ ცოტა გარშემოც მიმოიხედოს. პირლო, გროსო, რიბერი, ანრი, რონალდინიო: პოსტსამუნდიალო ჩავარდნის თვალსაზრისით, კარგ კამპანიაში მოვხვდი. ეტყობა, ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირი რალაცას გიტოვებს შიგნით, არაცნობიერ დონეზე. მახსოვს, რომ ასეთივე მძიმე პერიოდი მქონდა ფრანგული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. "პარმასთან" ერთად გავარდნის საფრთხეც კი გვქონდა".**

**– პრიმერა დივიზიონი თქვენთვის სიურპრიზი აღმოჩნდა?**

- ზოგიერთმა გუნდმა მართლაც გამაოცა. ვგულისხმობ "რეკრეატივოს", რომელიც აქ "ბერნაბეუზე" ჩამოვიდა და ბავშვებივით გაგვაბითურა. ხანდახან მგონია, რომ ისევ იტალიაში ვარ: ათი კაცით დაცვა და მერე წავიდა - ყველა კონტრშეტევაზე. "ბეტისი" ამის საუკეთესო მაგალითია.

**- პრიმერა დივიზიონის ხუთი ფეხბურთელი, ვინც თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა.**

- სინამა პონგოლე, "რეკრეატივოს" თემას რომ არ გავცდე. სხვა გზა არ მრჩება, იძულებული ვარ, ის ამ ხუთეულში შევიყვანო (იცინის). შემდეგ დანი ალვეში, "სევილიის" განაპირა ნახევარმცველი: არ ჩერდება, შეტევაში მიდის, უკან ბრუნდება, ისევ მიდის, ბრუნდება. შემდეგ ინიესტა. დიდი ტალანტი რომაა, ძამბროტამ და ტურამმაც დამიდასტურეს. და ბოლოს, დავასახელებ ვალენსიელ სილვას და ალექსისს, "ხეტაფეს" მცველს.

**- რატომ უჭირს "რეალს" ასე ძალიან?**

- იმიტომ, რომ გუნდში ძალიან ბევრი რამე შეიცვალა, პრეზიდენტით დაწყებული ფეხბურთელებით დამთავრებული. ნებისმიერ ფირმას თუ კომპანიას სჭირდება დრო ადაპტაციისთვის, მაგრამ აქ პირველივე სირთულეზე დიდი დისკუსიის ცენტრში ხვდები. აკლიათ მოთმინების უნარი და არის რისკი, რომ "ინტერის" ბედი გაიზიარონ – გუნდის, რომელიც 10-15 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იცვლებოდა, მუდმივად განახლების პროცესში იყო, ისე, რომ არაფერი მოუგია. მას შემდეგ, რაც მანჩინიზე აქცენტი გააკეთეს, შესანიშნავ შედეგებს აღწევენ. "ინტერი" ნამდვილი ანეკდოტი იყო, ყველას დასცინოდა, დღეს კი სერიოზული და ამბიციური პროექტის მქონე გუნდია.

**- "ვალენსიასთან" "სან სიროზე" ნათამაშები ფრე იმის დასტური ხომ არ იყო, რომ სერია A წელს სუსტი ჩემპიონატია?**

- კი, ასეა, მაგრამ ეს შეურაცხყოფად არავინ უნდა მიიღოს. უნდა ითქვას, რომ ჩემპიონთა ლიგა ძალიან განსხვავებულია. საზღაურს ვიხდით იმისთვის, რაც ზაფხულში მოხდა. დღეს ესპანეთის ჩემპიონატი იმ სერია A-ს მაგონებს, რომელიც 90-იანი წლების ბოლოს იყო, როცა 7 გრანდი გვყავდა. ესპანეთში მეტი კონკურენციაა, ნებისმიერთან შეიძლება წააგო და ტიტულისთვისაც რამდენიმე გუნდი იბრძვის. თუმცა "ინტერი" მაინც უძლიერესია და ისედაც წარმატებით გამოვიდოდა, სკანდალი სულ რომ არ მომხდარიყო და იბრა და ვიეირა ვერ ეყიდა. ინტერისტებმა ბოლოს და ბოლოს მიაგნეს წარმატების ფორმულას.

**- პროგნოზები გავაკეთოთ. ვინ გავა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში?**

- "ლიონი", "არსენალი", "ლივერპული", "რეალი", "მილანი", "ჩელსი", "მანჩესტერ იუნაიტედი" და იმედია, "ინტერი", თუმცა "ვალენსიასთან" შანსები ახლა თანაბარია, ძნელი იქნება.

**- სერია B-ს საბოლოო ცხრილი როგორი იქნება?**

- "იუვენტუსი" და "ნაპოლი" პირველ-მეორე ადგილებზე თანაბარი ქულებით, შემდეგ კი "ჯენოა", "პიაჩენცა", "რიმინი" და "მანტოვა".

**- და სერია A-ში?**

- "ინტერი", "რომა" და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოსთვის, ორი "მილანს", "ფიორენტინასა" და "ლაციოს" შორის. დაკლებული ქულების მიუხედავად, დიდი გუნდების ძალა თანდათან სააშკარაოზე გამოდის.

**- გარედან როგორ აღიქმება იტალიის სტადიონებზე არსებული ძალადობა?**

- ძალიან ცუდად. ნამდვილი კატასრტოფაა. წავიკითხე, რომ ბოლო 40 წელიწადში ფეხბურთის გამო იტალიაში 50 ადამიანი მოკვდა. აბსურდია, სიგიჟეა. ჩვენში სპორტული კულტურის ნაკლებობაა. ფეხბურთელები იმ დონემდე მივედით, რომ ვამბობთ: "ცუდად ვითამაშეთ, სწორია, რომ ტიფოზები ჩვენზე განრისხებულები არიან". საშინელებაა. ადამიანი სტადიონზე ისევე უნდა დადიოდეს, როგორც თეატრში, შვილებთან, ოჯახის წევრებთან ერთად. იქ ტაშს უნდა უკრავდეს, ან კიდევ უსტვენდეს და მერე მშვიდად ბრუნდებოდეს სახლში. ესპანეთში, ისე როგორც ინგლისში, ტიფოზები მაშინაც პატივს გცემენ, როცა აგებ. ეს უკვე პირადად გამოვცადე. ფენომენალურად ნამდვილად არ ვთამაშობ, მაგრამ ხალხისგან საოცარ სითბოს ვგრძნობ. ჩვენთან, წაგება დღეების განმავლობაში არ ავიწყდებათ, მერე გასაკვირი არაა, რომ მთელი ეს აგრესია სადღაციდან გადმოიღვრება ხოლმე. ხალხი იმდენადაა დაავადებული, რომ ფიქრობს, თითქოს გუნდი მოედანზე წასაგებად შეიძლება გავიდეს... საშინელებაა.

**- ყველაზე ხშირად იტალიაში ტელეფონზე ვის ელაპარაკებით?**

- პესოტოს, ფერარას, დელ პიეროს, ბუფონს და სხვებს.

**- და რას გეუბნებიან?**

- ბედნიერი ხარ, უცხოეთში რომ ხარო. მეუბნებიან, რომ იტალიაში ყველგან პრობლემებია, რომ საშინელი მდგომარეობაა. ჩვენ, როგორც ერი, წუწუნის და კრიტიკის სპეციალისტები ვართ, თუმცა ის კი აშკარაა, რომ ეს ესპანური გამოცდილება ძალიან ბევრს მაძლევს: ენა, კულტურა, სიახლის გაცნობა. მადრიდში უმაღლეს დონეზე აქვთ აყვანილი სისუფთავე და უსაფრთხოება. უფრო ზოგადად რომ ვთქვა, მეჩვენება, რომ იტალიაში თითქოს სადღაც გარბიან და ამ სირბილში ყურადღების მიღმა რჩებათ ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხები, როგორებიცაა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, წესების პატივისცემა, მათ შორის ყველაზე მარტივი წესების. ესპანეთში ასე არ არის.

**- რატომ მოანდომეს კასანომ და კაპელომ ამდენი დრო ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას?**

- ვერ გეტყვით, ამ თვეების განმავლობაში ხშირად ლაპარაკობდნენ. რეალობა ისაა, რომ უამრავი პრობლემა გვქონდა, და ალბათ ამან მათ ურთიერთობაზც იმოქმედა. მე ანტონიოს მხოლოდ ერთი რალაც ვუთხარი: უნდა მიხვდე, რომ ძალიან ახალგაზრდა და ძალიან ძლიერი ხარ, ხელი ასე ნაადევად რომ ჩაიქნიო-მეთქი. გარდა ამისა, ნაკლებად იმპულსური უნდა გახდეს.

**- რონალდო "მილანში"- სწორი გადაწყვეტილება იყო თუ მცდარი?**

- ჯერ იმას ვიტყვი, რომ საშინლად მწყდება გული, აქ რომ აღარ არის. მთელი გულით ვუსურვებ წარმატებას და ყველაფერ საუკეთესოს. მასავით ძლიერი ფეხბურთელი გუნდში გვერდით არასდროს მყოლია. მისმა მდგომარეობამ ჩემი თავი გამახსენა, როცა "ინტერში" არ მათამაშებდნენ და ჩემს შესაძლებლობებში ეჭვის შეტანა დაიწყეს. რონალდოს გარემოს შეცვლა სჭირდებოდა.

**- და თქვენ არ გჭირდებათ?**

- მე მადრიდში დარჩენა მინდა. თუმცა ვიცი, რომ, როცა 33 წლის ასაკში ერთ სეზონს ჩააგდებ, კლუბი შემცვლელის ძებნას იწყებს. არ მრცხვენია იმის თქმა, რომ ძალიან მესიამოვნა, როცა იტალიური კლუბების დაინტერესების შესახებ წავიკითხე, პირველ რიგში კი, "იუვენტუსის" დაინტერესებას ვგულისხმობ. ივნისამდე დავიცადოთ, მერე კი ვნახოთ, რა იქნება.

**გოგა ახალაძე**



ფაბიო კანავარო, შეიძლება, ფაბიო კაპელოს გამოეთხოვოს და იუვეში დაბრუნდეს

მოსალოდნელი ტრანსფერი

## კანავარო მილანში მიდის

### იტალიელის მემკვიდრეს რეალი ალექსის რუანოში ხედავსო

ესპანური "დიარიო ასის" თანახმად, ფაბიო კანავარო მომავალი სეზონიდან "მილანში" ითამაშებს, რადგან ეს ის ტრანსფერია, რომელიც "რეალსაც" ძალიან აწყობს და ბერლუსკონის კლუბსაც. "აძურის" კაპიტანი "გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუშიც ლაპარაკობს სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობაზე. "ასის" მიხედვით, კლუბებს შორის პირველი კონტაქტი დაახლოებით ერთი თვის წინ შედგა, როცა "მილანი" და "რეალი" რონალდოს ტრანსფერის თაობაზე მუშაობდნენ. ესპანური გამოცემა წერს, რომ ამ შეხვედრების დროზე მხარეებს საუბარი ჰქონდათ ასევე რობინიოზე და, რალა თქმა უნდა, კაკაზე, პრეზიდენტ კალდერონის ყველაზე დიდ სამიზნეზე, რომელსაც "მილანი" ხელშეუხებლად აცხადებს. "ასის" მიხედვით, "რეალს" კანავაროს მემკვიდრე უკვე ჰყავს შეგულებული. ეს გახლავთ ალექსის რუანო, "ხეტაფეს" ცენტრალური მცველი.

## რომარიო: 992

რომარიო ნანატრ მიზანს უახლოვდება. ოთხშაბათს ბრაზილიის თასზე, "ვასკო და გამამ" სამოყვარულო "ფასტ ქლაბი" გაანადგურა, 6:0. უბერებელმა თავდამსხმელმა ორი გოლი შეაგდო და ოფიციალურ მატჩებში გატანილი გოლების რაოდენობა 992-მდე აიყვანა. 41 წლის ვეტერანს 1 000-გოლიანი ნიშნულისაგან 8 გოლიღა აშორებს.

## ტერი მორიგ გამოკვლევაზე

**ჯონ ტერის** თავის ქალის სკანირება ჩაუტარეს. ინგლისის ნაკრებისა და "ჩელსის" მცველი გასულ უქმეებზე, "არსენალთან" ლიგის თასის ფინალში (2:1) დაშავდა. "არისტოკრატების" კაპიტანმა მეტოქესთან შეჯახებისას გონება დაკარგა და საავადმყოფოში ამოყო თავი. ის იმავე საღამოს საფუძვლიანად გამოიკვლიეს, მაგრამ ხუთშაბათს განმეორებით პროცედურაზე დაიბარეს და განუცხადეს, რომ სრულიად ჯანმრთელია. ამის მიუხედავად, ტერი "პორტსმუთთან" ხვალინდელ შეხვედრას გამოტოვებს და "პორტუსთან" ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მერვედფინალისათვის მოემზადება.

## მილანმა რივერის მეკარე მოიკითხა

"მილანმა" "რივერ პლეიტის" მეკარე **ხუან პაბლო კარისოს** დაადგა თვალი. "როსონერის" ტრანსფერების მენეჯერმა **არიედო ბრაიდამ** არგენტინელი ფეხბურთელის სანახავად სკაუტები მიავლინა. მილანელები ბრაზილიელი **დიდას** შემცვლელს ეძებენ. ამ უკანასკნელს კონტრაქტი უმთავრდება და ბოლო ინფორმაციით, ბარსელონაში გადასვლას აპირებს. კარისო 22 წლისაა და 8 მილიონი გირვანქა ღირს.

ბაიერნი

## აპატიეს და არც აპატიეს...

### ვან ბომელი რეალთან ითამაშებს

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში, „რეალის" კარში გატანილი გოლის შემდეგ გაკეთებული უხამსი ჟესტის გამო, მადრიდული კლუბის ხელმძღვანელები „ბაიერნის" ნახევარმცველ **მარკ ვან ბომელის** დასჯას ითხოვდნენ. უეფას სადისციპლინო კომისიამ ეს საქმე განიხილა და რეკორდმაისტერის ლიდერს ასეთი განაჩენი გამოუტანა: ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია, ოღონდ ერთწლიანი პერიოდით. ანუ, „რეალთან" განმეორებით შეხვედრაში ვან ბომელი აუცილებლად ითამაშებს, თავისი დანაშაულის გამოსყიდვა და კი იმით შეეძლება, რომ უეფას მიერ ორგანიზებულ „ფეარ პლეის" რომელიმე ღონისძიებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა. გარდა ამისა, ვან ბომელი ჯარიმის სახით 6 200 ევროსაც გადაიხდის.

*„ვერ ვიტყვი, რომ უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ კმაყოფილი ვარ. არ მეგონა, საერთოდ თუ დამსჯიდნენ, რადგან ისეთი არაფერი ჩამიდენია. თუმცა, მიხარია, რომ „რეალთან" განმეორებით შეხვედრაში თამაშის უფლება მაქვს."* – განაცხადა „ბაიერნის" 29 წლის ნახევარმცველმა. რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელის, **ოტმარ ჰიტცფელდის** თქმით, უეფას განაჩენი გადაჭარბებულია.

დაბოლოს, „ბაიერნის" შეფებს არგენტინელი **ხოსე სოსას** ტრანსფერი დასასრულისკენ მიჰყავთ. „ესტუდიანტესის" ფლეიმეიქერი მიუნხენურ კლუბთან დღეს-ხვალ 4 წლიან კონტრაქტს გააფორმებს. „ბილდის" ცნობით არგენტინელის წლიური ხელფასი 5 მილიონი ევრო იქნება. „ესტუდიანტესი" „ბაიერნისგან" სოსას სანაცვლოდ 8 მილიონ ევროს მიიღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკე

# გადამწყვეტი ბრძოლა ჰამბურგსა და წარსულთან

## უდიდესი ინტრიგა: გელზენკირხენში ჰუუბ სტევენსი და ფრანკ როსტი ბრუნდებიან!



მირკო სლომკას ვერცხლის სინის დაუფლება ლინკოლნის გარეშეც არ უნდა გაუჭირდეს

**ტრავმირებული ფეხბურთელების გრძელი სია; ლინკოლნი დისკვალიფიცირებულია 5 მატჩით; ფანებს სულ უფრო და უფრო ხშირად ახსენდებათ 2001 წელი, როცა... და სწორედ ამ დროს, ასეთი გაჭირვების ჟამს, გელზენკირხენში, „შალკესთან“ საომრად მიდის „ჰამბურგი“. მიდის ჰუუბ სტევენსთან და ფრანკ როსტთან ერთად. დღეს „აუფ შალკეზე“ ინტრიგებით დახუნძლული მატჩია...**




**ჰამბურგთან მატჩში შალკეს ძირითადის ხუთი ფეხბურთელი არ ეყოლება**

*„იმედი მაქვს, რომ „შალკეს“ დიდი ნერვიულობა აღარ მოუწევს, რადგან სწორედ ასეთ დროს ტყდება ხოლმე. ამ სეზონში გუნდი მართლაც შესანიშნავად თამაშობს და საშინელება იქნება, ახლა მაინც რომ არ გახდეს ჩემპიონი. „შალკეს“ ნამდვილად აქვს საამისო კლასი, რომ ბუნდესლიგის პირველობა იზეიმოს,“* – ეს სიტყვები გელზენკირხენული კლუბის ექსშეფ **რუდი ასაუერს** ეკუთვნის. ამ კაცმა ნამდვილად იცის, რაზეც ლაპარაკობს, რადგან 2001 და 2005 წლებში სწორედ ასაუერი გახლდათ გუნდის მთავარკაცი. ეს ის წლებია, როცა „შალკეს“ საუკეთესო შანსები ჰქონდა, გამხდარიყო გერმანიის ჩემპიონი, მაგრამ ორივეჯერ უაზროდ დაკარგა ლიდერობა. აქედან, პირველ შემთხვევაში ხომ საერთოდ ტრაგიკულად. ფაქტი ის გახლავთ, რომ 2001-შიც და 2005-შიც „შალკეს“ ნერვები არ ჰქონდა წესრიგში და ამიტომაც ვერ მოიპოვა „ვერცხლის სინი“. არადა... 1958 წელი... „ხუმარებმა“ გერმანიის ჩემპიონობა ბოლოს სწორედ 1958-ში იზეიმეს...

„ლევერკუზენთან“ განცდილი ერთობ უილბლო მარცხის შემდეგ ექსპერტებმა „შალკეს“ ძველებური დიაგნოზი დაუსვეს: უკულმართების კოლექტივი. პირველ რიგში იმის გამო, რომ 22-ე ტურში, „ვოლფსბურგთანაც“ უკანასკნელ წუთებზე დაკარგეს სამი ქულა და მერე „ფარმაცევტებთან“, მიუხედავად უხვი საგოლე მომენტებისა, ისევ უაზრო შედეგი: 0:1, როცა მინიმუმ 4:1 უნდა ყოფილიყო. ამას **ლინკოლნის** სულელური გაძევება და დისკვალიფიკაცია დაემატა. სხვათა შორის, მეორე წრეში “შალკეს“ ერთი უპირატესობა ჰქონდა: კონკურენტებთან შედარებით ერთით მეტი თამაში უწევდა საკუთარ მოედანზე. ეს უპირატესობა „ლევერკუზენთან“ განიავდა.

*„არ არსებობს მიზეზი, რის გამოც წყობიდან უნდა გამოვიდეთ და წონასწორობა დავკარგოთ,“* – თანაგუნდელების დამშვიდებას ცდილობს კაპიტანი **მარსელო ბორდონი**, - *„ჩვენ ჯერ კიდევ პირველ ადგილზე ვართ, შესაბამისად, „შალკე“ გერმანიის ჩემპიონობის ნომერი პირველი კანდიდატია.“* მენეჯერი **ანდრეას მიულერი** ბრაზობს იმაზე, რომ „ლევერკუზენთან“ მარცხის შემდეგ ყველამ 2001 წელი და მაშინდელი უიღბლობა გაიხსენა: *„უკვე ისე საუბრობენ, თითქოს ყველაფერი წავაგეთ და მშრალზე დავრჩით. მინდა ყველას შევახსენო, რომ ჯერ კიდევ პირველ ადგილზე ვართ და მდევარს 4 ქულით ვუსწრებთ.“*

ოპტიმისტურადაა განწყობილი **მირკო სლომკაც**: *„თუკი „ჰამბურგს“ მოვუგებთ, 7 ქულით გავიჭრებით წინ და ჩვენს მდევრებსაც უფრო მძიმე წნეხის ქვეშ მოვაქცევთ.“* მწვრთნელი სულაც არ ფიქრობს, რომ მისი შეგირდები ანერვიულებულები და ქაოტურები გახდნენ: *„ასე რომ იყოს, „ლევერკუზენთან“ ძალიან ცუდად ითამაშებდნენ. არადა, პირიქით, შესანიშნავად იბრძოლეს და მხოლოდ იმიტომ დამარცხდნენ, რომ სტუმართა მეკარე ადლერი თამაშობდა არაჩვეულებრივად. პირველ ადგილზე ყოფნა ენით აუწერელი გრძნობაა. ჩვენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ, რათა ლიდერობა ჩემპიონატის ბოლომდე შევინარჩუნოთ.“*

დღევანდელ თამაშში გამარჯვება „შალკესთვის“ ყოველმხრივ მისწრება იქნებოდა, რადგან „ჰამბურგი“ ის გუნდია, რომელსაც **ჰუუბ სტევენსი** წვრთნის – „შალკეს“ ექსმწვრთნელი, რომელიც ასაუერის დროს მოღვაწეობდა გელზენკირხენულ კლუბში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სტევენსმა „შალკე“ ზეპირად იცის (ყოველ შემთხვევაში, იცოდა). 2001 წელსაც, როცა „ხუმარებმა“ ჩემპიონობა ტრაგიკულად დაკარგეს, მათი მწვრთნელი სწორედ სტევენსი იყო.

ჰუუბთან ერთად გელზენკირხენში ბრუნდებიან **მათიას აბელი** და **ფრანკ როსტი**. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს უკანასკნელი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დღეს კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატაროს. გეხსომებათ, რაც გაუკეთა სლომკამ როსტს ნოემბერში და რაოდენ დიდი სკანდალი მოჰყვა მაშინდელ ამბავს. *„დარწმუნებული ხარ, რომ მოედანზე გასვლის ღირსი ხარ?“* – უთხრა „ბაიერნთან“ მატჩის წინ სლომკამ თავის მეკარეს და მაშინ დაიწყო ყველაფერი. მას შემდეგ „შალკეს“ კარი ყველა თამაშში ახალგაზრდა **მანუელ ნოიერმა** დაიცვა. როსტი კი იანვარში „ჰამბურგს“ მიჰყიდეს. ამრიგად, სლომკაზე განრისხებული და შურისძიების სურვილით გაგიჟებული მეკარე დღეს „აუფ შალკეზე“ „თავს მოიკლავს“. გამორიცხული არც ისაა, რომ „აუფ შალკეს“ პუბლიკა მას აპლოდისმენტებით შეხვდეს. ფანებს როსტი ძალიან უყვარდათ, თანაც, ეს უკანასკნელი გელზენკირხენელთა ექსკაპიტანია.

*„კეთილი იყოს მათი დაბრუნება,“* – ამბობს მიულერი, - *„ჩვენ როსტისა და სტევენსის წინააღმდეგ კი არა, „ჰამბურგის“ წინააღმდეგ ვთამაშობთ. ერთმანეთი ნამდვილად არ გვძულს.“* მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ყველამ კარგად იცის, რაც მოხდა „შალკესა“ და როსტს შორის.

ფაქტია, რომ ფრანკ როსტი დასანახად ვერ იტანს სლომკას და „შალკეს“ ხელმძღვანელებს. სამაგიეროდ, ის ასაუერის მეგობარია, იმ ასაუერისა, რომელსაც გელზენკირხენული კლუბის ამჟამინდელმა ხელმძღვანელებმა ფაქტობრივად დემონტაჟი მოუწყვეს, რასაც შემდეგ როსტის დემონტაჟიც მოჰყვა. სამაგიეროდ, ფრანკს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და აქვს „შალკეს“ ამჟამინდელ კარის დარაჯთან.

*„მანუელი ძალიან კარგი ბიჭია და მასთან შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა. ნოიერს დიდი პოტენციალი აქვს და მას მხოლოდ საუკეთესოს ვუსურვებ,“* – აცხადებს როსტი. იმავეს ამბობს ნოიერიც: *„ფრანკთან პრობლემა არასდროს მქონია. პირიქით, მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე.“*

■ ■ ■

ლინკოლნმა ჩადენილი დანაშაულისთვის უკვე ორჯერ მოიხადა ბოდიში. ჯერ თანაგუნდელებს სთხოვა პატიება, მერე კი გულშემატკივრებსაც. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელები და ხელმძღვანელები ბრაზილიელის გაკიცხვას განაგრძობენ და ამბობენ, რომ ლინკოლნი გუნდისგანაც აუცილებლად დაისჯება. *„მიუხედავად იმისა, რომ პროვოკაციას ჰქონდა ადგილი, დარტყმის უფლება არ ჰქონდა. შეეძლო, სამაგიერო სიტყვებით გადაეხადა. მე მას უკვე ვუთხარი ჩემი და საერთოდ მთელი გუნდის მოსაზრება. ვუთხარი, რომ ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს,“* – ეს **კევინ კურანის** სიტყვებია.

ამრიგად, „შალკეს“ უახლოეს 5 შეხვედრაში თავისი გამთამაშებლის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ გელზენკირხენული კლუბის გულშემატკივრებმა ამ კონკრეტული ფეხბურთელის არყოფნის გამო უნდა ინერვიულონ. თუ გახსოვთ, ლინკოლნი პირველ წრეში დაშავებული იყო, მაგრამ „შალკე“ მის გარეშე მაინც იგებდა და მეტიც, უფრო უკეთაც კი თამაშობდა. ამას სტატისტიკაც ამტკიცებს: ლინკოლნის გარეშე გუნდს საშუალოდ ერთ თამაშში 2.17 გოლი გაჰქონდა, ლინკოლნთან ერთად კი მხოლოდ 1.59.

თუ ბოლო სამი სეზონის მონაცემებს შევადარებთ, ასეთივე შედეგს მივიღებთ: ლინკოლნის გარეშე გუნდი უფრო ეფექტური და წარმატებულია.

**შალკე ლინკოლნთან ერთად**

| სეზონი | ქ/1 თ | გ/1 თ |
|---|---|---|
| 2006/07 | 2.12 | 1.59 |
| 2005/06 | 1.66 | 1.31 |
| 2004/05 | 1.94 | 1.74 |
| სულ | 1.87 | 1.55 |

**შალკე ლინკოლნის გარეშე**

| სეზონი | ქ/1 თ | გ/1 თ |
|---|---|---|
| 2006/07 | 2.17 | 2.17 |
| 2005/06 | 2.60 | 1.80 |
| 2004/05 | 1.00 | 0.67 |
| სულ | 2.07 | 1.71 |

**გოტფრიდ ლენცი**




რაფაელ ვან დერ ვაარტი

ჰამბურგი. ინტერვიუ რაფაელ ვან დერ ვაარტთან

# ვიცი, შალკე დაუნდობელი იქნება!

## ჰოლანდიელს HSV-დან წასვლა ჯერ არ უნდა, ისე კი რეალზე ოცნებობს...

**ბურთი მისი საუკეთესო მეგობარია, ბურთთან ერთად ის აკეთებს ყველაფერს, რაც უნდა... რაფაელ ვან დერ ვაარტმა „ჰამბურგი“ ქვესკნელიდან ფაქტობრივად მარტომ ამოიყვანა, გაიტანა რა ბოლო 3 შეხვედრაში 4 გოლი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ სეზონში „ჰამბურგის“ ერთადერთი ნათელი წერტილი სწორედ 24 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველია. თუკი შალკელებს დღევანდელ შეხვედრაში ვინმესი უნდა ეშინოდეთ, პირველ რიგში სწორედ ვან დერ ვაარტისა... გელზენკირხენში გასამართი ამ მეტად საინტერესო შეხვედრის წინ ჰოლანდიელს „ბილდი“ გაესაუბრა.**

**- ჰერ ვან დერ ვაარტ, „ჰამბურგში“ ბოლოს და ბოლოს სიმშვიდემ დაისადგურა. საშინელი პირველი წრის შემდეგ, მდგომარეობა ოდნავ გამოისწორეთ. ზედიზედ სამი თამაში მოიგეთ და გასავარდნი ზონიდან ამოხვედით...**

- როგორც იქნა, თამაშები მოვიგეთ. ასე რომ არ მომხდარიყო, უბრალოდ ჭკუიდან შევიშლებოდით. ახლა ყველანი კარგ ხასიათზე ვართ და თითქოს ყველაფერი გაცილებით იოლად გამოგვდის. ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. მთავარი ერთი თამაშის მოგება იყო, მერე კი ყველაფერი თავისით მოვიდოდა.

**- ახლა „შალკეს“ სტუმრობთ, გუნდს, რომელიც პირველ ადგილზეა და ჩემპიონობისთვის იბრძვის. ზედიზედ მეოთხე მოგების იმედი გაქვთ?**

- ჩვენ ყველამ ვიცით, რომ „შალკე“ ყველაფერს გააკეთებს მოსაგებად. მეტიც, თითოეული გელზენკირხენელი დაუნდობელი იქნება. თუმცა ბრძოლას ჩვენც ვაპირებთ. იოლად ველარავინ დაგვამარცხებს. ამ მატჩს მოუთმენლად ველოდები, რადგან გელზენკირხენში ყოველთვის ნაღდი საფეხბურთო განწყობაა. როცა „შალკეს“ ვსტუმრობთ, ყოველთვის ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემპიონთა ლიგაში ვთამაშობთ.

**- მეტოქეს ლინკოლნი არ ეყოლება. ეს „ჰამბურგს“ უპირატესობას ანიჭებს?**

- არა, მე ასე არ ვფიქრობ. სამაგიეროდ, ვინმე სხვა ითამაშებს. „შალკეს“ ძალიან კარგი, დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს. ლინკოლნის არყოფნით ამ გუნდს ბევრი არაფერი აკლდება.

**- დღესდღეობით შესანიშნავ ფორმაში ხართ, ბოლო დროს მოედანს უგოლოდ აღარ ტოვებთ და მას მერე, რაც გუნდმა მოგებები დაიწყო, ერთ-ერთი საუკეთესო ხართ მთელ ბუნდესლიგაში. ეს როგორ ავხსნათ?**

- მას მერე, რაც „ჰამბურგში“ ვირიცხები, ორი უმძიმესი ტრავმა გადავიტანე. თანაც, პირად ცხოვრებაშიც ბევრი საფიქრალი მქონდა. სილვი ფეხმძიმედ იყო, მერე რთული მშობიარობა ჰქონდა და ა.შ. მიხარია, რომ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა – ტრავმაც მოვიშუშე და პირად ცხოვრებაშიც აღარ მაქვს სანერვიულო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჰამბურგში გადმოსვლის შემდეგ გავიზარდე და პიროვნებად ჩამოვყალიბდი.

**- პირად ცხოვრებაზე რა იგულისხმეთ?**

- ჩემი რვა თვის ვაჟი დამიანი მძიმე ვირუსით დაავადებული დაიბადა. სილვი და მე ყოველ ღამე მის სასთუმალთან, ლოცვაში ვათენებდით და ალბათ იოლი მისახვედრია, რომ ასეთ დროს ადამიანს თავისი შვილის ჯანმრთელობის გარდა არაფერი გახსოვს. ეს იყო პერიოდი, როცა „ჰამბურგზე“ ოდნავადაც ვერ ვფიქრობდი.

**- ახლა, როცა ძველებურად ათამაშდრით, კიდევ უფრო ხშირად გაისმის სპეკულაციები იმის შესახებ, რომ ზაფხულში რომელიმე სუპერგრანდში გადახვალთ...**

- ჰო, ეს მეც ვიცი. მაგრამ ყველამ, ვისაც ჩემი შეძენა მოუნდება, უნდა იცოდეს, რომ „ჰამბურგში“ კიდევ დიდხანს მინდა დარჩენა. მინდა, რომ ამ გუნდთან ერთად რამე მაინც მოვიგო. აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

**- რაზე ოცნებობთ?**

- ცხადია, მინდა, რომ ოდესმე მსოფლიოს რომელიმე გრანდში ვითამაშო. მაგალითად, ვოცნებობ მადრიდის „რეალზე“. დედაჩემი ესპანელია და თუ ოდესმე „რეალში“ გადავალ, მასზე ბედნიერი ადამიანი ამ ქვეყნად არ იარსებებს.

**- „ბარსელონაში“ რომ დაგპატიჟონ?**

- ჩემთვის „ბარსა“ „რეალს“ არაფრით ჩამოუვარდება, მაგრამ „ბარსელონაში“ გადასვლით დედას გავანაწყენებ (იცინის).

**- უკვე 21 თვეა, რაც სილვი ცოლად მოიყვანეთ. ქმრის რანგში თავს როგორ გრძნობთ?**

- შესანიშნავად. თუმცა სილვისგან უკვე ძალიან ბევრი წითელი ბარათი მივიღე. საშინლად უწესრიგო ვარ. ტანსაცმელს ყოველთვის აქეთ-იქით ვყრი ხოლმე. სილვი ამის გამო ხშირად მიბრაზდება. და მერე, საღამოს საძინებლის კარს მაგრად კეტავს ხოლმე. მე კი იძულებული ვხდები, ღამე მისაღებ ოთახში გავათენო...

**გოტფრიდ ლენცი**

ესპანეთის სამეფო თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# სევილიური ვანდალიზმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კანუტეს გოლით სასოწარკვეთილმა ბეტისის ფანმა სევილიის დამრიგებელს თავში ბოთლი გაარტყა. ის რამდენიმე სანტიმეტრით მარჯვნივ რომ წასულიყო, ხუანდე რამოსი მოკვდებოდა...

სევილიური დერბი სკანდალით დასრულდა. შეხვედრა 57-ე წუთზე შეწყდა. "სევილიის" მთავარ მწვრთნელს, **ხუანდე რამოსს**, მეორე, თუ მესამე იარუსიდან წყლით სავსე ბოთლი თავში გაარტყეს. სტუმართა დამრიგებელმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გონებადაკარგული მინდორზე დაეცა. მცირე ხნით ადრე **ფრედერიკ კანუტემ** ანგარიში გახსნა. როგორც ჩანს, ბოთლის მსროლელი გარეწარი გულშემატკივარი სწორედ ამ გარემოებამ ალაშფოთა და სასოწარკვეთილება სრულიად პირუტყვული მეთოდით გამოხატა.

გონებადაკარგული მწვრთნელი, რა თქმა უნდა, უმალ ექიმთა გარემოცვაში მოექცა. მის საშველად არა მარტო "სევილიის", არამედ "ბეტისის" სამედიცინო შტაბიც გაემართა. მედიკოსები მიხვდნენ, რომ სერიოზულ შემთხვევასთან ჰქონდათ საქმე და პაციენტი საკაცით სასწრაფო დახმარების მანქანისკენ გააქანეს. პირველადი დახმარება რამოსს სწორედ რეანომობილში აღმოუჩინეს. სენიორ ხუანდე რამდენიმე წუთში გონს მოვიდა, მაგრამ აუტანელი თავისტკივილი იგრძნო და საშინელი ღრიალი მორთო. ექიმებმა ის საავადმყოფოში მიიყვანეს და კომპიუტერული გამოკვლევა ჩაუტარეს. საბედნიეროდ სევილიელთა დამრიგებელს სიცოცხლისთვის საშიში ტრავმა არ აღმოაჩნდა, თუმცა ექიმები პაციენტის შინ გაშვებას არ ჩქარობდნენ. საქმეში უკეთ გარკვევისთვის, ალბათ უმჯობესი იქნება, კლუბის მთავარი ექიმის, **ადოლფო მუნიოსის** განცხადება გაგაცნოთ: *"დიაგნოსტიკურმა გამოკვლევამ საგანგაშო ვერაფერი დაგვანახა. ამ ეტაპზე მხოლოდ ძლიერ ტვინის შერყევაზე შეგვიძლია ვისაუბროთ, მაგრამ დამშვიდების უფლებას საკუთარ თავს მაინც ვერ მივცემთ. გამორიცხული არ არის, უახლოესი რამდენიმე საათის განმავლობაში მდგომარეობა საგრძნობლად დამძიმდეს. ამიტომ, "კლინიკა საგრადო კორასონის" თანამშრომლები ჩვენს მწვრთნელს ერთი დღე-ღამის განმავლობაში საგულდაგულოდ დააკვირდებიან, თუ 24 საათის შემდეგ საეჭვოს ვერაფერს დაინახავენ, საუკეთესო სურვილებით სახლში გაუშვებენ. ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ იმისთვის, რომ ყველაფერი ასე დასრულდა. ბოთლი რამდენიმე სანტიმეტრით მარჯვნივ რომ მოხვედროდა, იოლი შესაძლებელი იქნებოდა, ტვინის შეშუპება განვითარებოდა და გარდაცვლილიყო. ამის წარმოდგენაც კი არ მინდა. უბრალოდ არ მესმის, რაზე ფიქრობდა ის ადამიანი, რომელიც ამხელა სიმაღლიდან, წყლით სავსე ბოთლს ისროდა. ელემენტარული ფიზიკა მაინც არ უსწავლია სკოლაში?! დიდი სიმაღლიდან ნასროლი ბოთლი ყუმბარის ეფექტს იწვევს. დიახ, რამოსი გადარჩა, რომ თავი არ გაუსკდა."*

მაშინ, როცა ექიმები ხუანდე რამოსის ჯანმრთელობაზე ზრუნავდნენ, "მანუელ რუის დე ლოპერაზე" დისლოცირებული პოლიციელები აქეთ-იქით დარბოდნენ იმისთვის, რომ დამნაშავე ეპოვნათ. სამწუხაროდ, მათ ეს ვერ მოახერხეს, თუმცა იმედი ჯერ არ დაკარგულა. სტადიონის უსაფრთხოების სამსახური და ანდალუსიის დედაქალაქის მუნიციპალური ჟანდარმერია ახლა სათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული მასალის ანალიზს შეუდგებიან. საკმარისია, კადრში თუნდაც უმნიშვნელო დეტალს შეავლონ თვალი, რომ დამნაშავის მონახვა ერთი-ორად გაიოლდება.

### ინციდენტამდე სევილია დომინირებდა

რაც შეეხება უშუალოდ თამაშს, უნდა აღინიშნოს, რომ სანახაობრივი თვალსაზრისით ის დიდად არაფრით გამოირჩეოდა. "ბეტისი" დაცვაზე აკეთებდა აქცენტს. ხოლო "სევილია", შეტევას უფრო დიდ ყურადღებას უთმობდა. პირველი საგოლე მომენტი სწორედ სტუმრებმა შექმნეს. **ალვეშმა** და **ნავასმა** მასპინძლებს სერიოზული პრობლემები შეუქმნეს. მე-19 წუთზე ნავასმა შორეული დარტყმით "ბეტისის" კარის ძელი შეაზანზარა. **ლუის ფერნანდესის** შეგირდებმა მოწინააღმდეგეს 28-ე წუთზე უპასუხეს. ნავასი სევილიელთა საჯარიმოში შეიჭრა, ძლიერად დაარტყა, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა და ბურთი ძელს მოარტყა. იქვე **კაფასაც** მოეცარა ხელი. **ფერნანდოს** კარგი გადაცემის წყალობით, ის ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ არ გაუმართლა. პირველი ნახევრის ბოლო საგოლე მომენტი სტუმრებმა შექმნეს. მოვლენათა ეპიცენტრში კვლავ ნავასი მოექცა. მან კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთის კარში გადაგზავნა სცადა, მაგრამ მეკარემ ეფექტური მოქმედებით დაგვამახსოვრა თავი.

შესვენების შემდეგ ნამდვილ გულშემატკივრებს, ნამდვილი ფეხბურთით დიდი ხნით ტკბობის საშუალება არ მისცემიათ. მათ სულ რაღაც 13 წუთი რჩებოდათ, თუმცა, ბუნებრივია, წინასწარ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ფეხბურთელები გასახდელებიდან დიდი შემართებით დაბრუნდნენ. მხოლოდ ხუთი წუთი იყო გასული, როცა დანიელ ალვეშმა ანგარიშის გახსნის 100-პროცენტიანი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. "ბეტისის" ინჩადამ შვებით ამოისუნთქა, მაგრამ მათი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. რამდენიმე წუთში კანუტემ ყველა ბარიერი გადალახა და "სევილია" დააწინაურა. ამის შემდეგ კი მოხდა ის, რაც მოხდა...



ხუანდე რამოსი: ორი დღის წინ ის უგონო მდგომარეობაში იყო და საავადმყოფოში მოათავსეს. გუშინ სევილიელთა მწვრთნელი სახლში გაუშვეს



### მტრობა უნდა დასრულდეს

ხუანდე რამოსის წინააღმდეგ ჩადენილ ვანდალურ ფაქტს, რა თქმა უნდა, უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ "ბეტისის" ხელმძღვანელობამ მომხდარი ძალიან განიცადა და ვაი გულშემატკივრის საქციელი ერთმნიშვნელოვნად დაგმო. ანდალუსიური კლუბის პოზიცია პრეზიდენტმა **ხოსე ლეონმა** გაახმაურა: *"პირველ ყოვლისა, ნება მიბოძეთ, სენიორ ხუანდე რამოსს ბოდიში მოვუხადო. ასევე ბოდიშს ვუხდით "სევილიის" ხელმძღვანელობასა და ამ გუნდის უკლებლივ ყველა ქომაგს. დიდი იმედი მაქვს, რომ გამოძიება სასურველ შედეგს გამოიღებს და სამართალდამცველები აგრესორის იდენტიფიცირებას შეძლებენ. თუ ის "ბეტისის" სოსიო აღმოჩნდება, პირობას გაძლევთ, რომ კლუბის მანდატს ჩამოვართმევთ და "მანუელ რუის დე ლოპერაზე" შესვლას სამუდამოდ ავუკრძალავთ. ასეთ ადამიანებს სტადიონზე არაფერი ესაქმებათ, მათი ადგილი ციხეშია. ვწუხვარ, რომ საშინელი ფაქტი მოხდა. უსაფრთხოების დაცვას უდიდეს ენერგიას, ყურადღებასა და ფინანსებს ვახმართ. სამწუხაროდ, შეუძლებელია, თითოეული გულშემატკივარი გააკონტროლო. როცა ფიქრობ, რომ ადამიანს ტრიბუნაზე წყალი წყურვილის დასაოკებლად შეაქვს, თურმე სასტიკად ცდები. შესაძლოა, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა იფიქროს, რომ კარგი იქნება, თუ ქომაგებს უალკოჰოლო სასმელების შეტანას ავუკრძალავთ. ჩემი აზრით, აგრესიის ალბათობა ამ შემთხვევაშიც არ შემცირდება. ბოთლებს თუ ჩამოვართმევთ, სკამს მოგლეჯენ და ისვრიან. ან მოწინააღმდეგეს მონეტებსა და სანთებელებს დაუშენენ. ადამიანს შინაგანი კულტურა, დისციპლინა უნდა ჰქონდეს და ხვდებოდეს, რომ 21-ე საუკუნის მოქალაქისთვის ცხოველური ინსტინქტებით მოქმედება დიდი სირცხვილია. საუბრის ბოლოს ფეხბურთელებისა და მწვრთნელების თხოვნას შევასრულებ, ისინი პატიებას ითხოვენ. იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება და სენიორ რამოსს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ შეექმნება."*

მიმომხილველები ფიქრობდნენ, რომ "სევილიის" პრეზიდენტი **ხოსე მანუელ დელ ნიდო** ამ ამბავს მოსისხლე მტრებთან ანგარიშსწორებისთვის გამოიყენებდა. მოგეხსენებათ, ამ გუნდების წინა დაპირისპირებაც სკანდალური გამოდგა. მაშინ დელ ნიდომ "ბეტისის" მფლობელი **მანუელ რუის დე ლოპერა** პედერასტად შერაცხა. შეურაცხყოფილმა მილიარდერმა ბიზნესმენმა ხმამაღლა განაცხადა, დელ ნიდოს ჩვენს სტადიონზე ცხვირსაც აღარ შემოვაყოფინებთო. სიტუაცია მართლაც უაღრესად დაძაბული გახლდათ. რომ არა, ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის მაღალჩინოსანთა ჩარევა, კონფრონტაცია კიდევ უფრო გაღრმავდებოდა. ფედერაციის პრეზიდენტის, **ანხელ მარია ვილიარის** უშუალო ჩარევით კონფლიქტი მოგვარდა და დაპირისპირებული მხარეები შერიგდნენ. მიუხედავად ამისა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბატონი დელ ნიდო ხუანდე რამოსის მიმართულებით ნასროლი ბოთლის თემას "ბეტისის" დასაკნინებლად გამოიყენებდა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ვარაუდი არ გამართლდა. აი, რა განაცხადა მან: *"უაღრესად დასანანია, რომ ასეთი რამ მოხდა. შეუძლებელია, საღად მოაზროვნე ადამიანი შოკირებული არ დარჩენილიყო. დარწმუნებული გახლავართ, "ბეტისის" მესვეურები ჩვენზე არანაკლებ შეწუხებულები არიან. ხოსე ლეონმა ბოდიში მოიხადა. ბოდიში მიღებულია, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს არ არის ხელმძღვანელობისა და პატიოსანი ქომაგების დანაშაული. ყველაფერზე იმ ერთმა არაადამიანმა უნდა აგოს პასუხი. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინათ ფანების უხამსობის გამო ჩვენი "სანჩეს პისხუანიც" ოთხი თამაშით დაიხურა. ასე რომ, არაფერი გვიკვირს. სამწუხაროდ, ფეხბურთს ყველა ვერ იგებს. ზოგს ის არასრულფასოვნების კომპლექსებთან დაკავშირებული აგრესიის გამოსახატავად სჭირდება. "სევილიის" ინჩასებს მოვუწოდებ, რომ შურისძიებაზე არ იფიქრონ. ვგონებ, დადგა დრო, როცა ამ ორმა გუნდმა ზავი უნდა დადონ და მშვიდობამ დაისადგუროს. დაე, უპირატესობა საფეხბურთო მოედანზე, კარგი თამაშით დამტკიცდეს. თუ შესაბამისი ინსტანციები მატჩის გადათამაშებას გადაწყვეტენ, არანაირ პრობლემას არ შევქმნით. "რუის დე ლოპერაზე" კიდევ ერთხელ მოვალთ და ნახევარფინალში გასვლას შევეცდებით."*

გუშინ საღამოს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა საზოგადოებრივ ტელევიზიას მოკლე ინტერვიუ მისცა. ანხელ მარია ვილიარმა განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში სადისციპლინო კომიტეტი შეიკრიბება და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს. ესპანელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ "სევილიას" ტექნიკურ გამარჯვებას ჩაუთვლიან.

### ბარსა: ზედიზედ მეორე გამარჯვება

მიუხედავად იმისა, რომ "ბარსელონას" "ლივერპულთან" სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე განმეორებითი მატჩის გამართვა უწევს, **ფრანკ რიიკაარდი** ესპანეთის სამეფო თასის მეორე მეოთხედფინალურ დაპირისპირებას მთელი სერიოზულობით მოეკიდა. ჰოლანდიელი სპეციალისტი რისკზე წავიდა და "ლა რომარედაზე", ფაქტობრივად, საუკეთესო შემადგენლობა გამოიყვანა. ყოველ შემთხვევაში, **რონალდინიო** მოედანზე იყო. **სამუელ ეტოომ** კი პაექრობა ძველ ტრავმასთან დაკავშირებული უმნიშვნელო პრობლემების გამო გამოტოვა. როგორც ჩანს, რიიკაარდი კამერუნელის ზედმეტად დატვირთვას გაუმართლებლად მიიჩნევდა. ფაქტია, ეტოოს სასურველი ფიზიკური კონდიცია ჯერაც არ აღუდგენია. ამასთან, "ბარსას" ის "ლივერპულთან" უფრო დასჭირდება.

კატალონიური გრანდის გულშემატკივრები უზომოდ გახარებულები დარჩნენ. შეგახსენებთ, რომ "კამპ ნოუზე" "სარაგოსასთან" გამართული პირველი შეხვედრა არაგონელთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა. გადატვირთული კალენდრიდან და საჩემპიონთალიგო ციებ-ცხელებიდან გამომდინარე, ინჩასები ფიქრობდნენ, რომ "ბარსელონა" "ლა რომარედაზე" სათადარიგო შემადგენლობით იასპარეზებდა და სამეფო თასს უფრო მნიშვნელოვანი ტურნირების სამსხვერპლოზე მიიტანდა. როგორც ხედავთ, ასე არ მოხდა. კატალონიურმა გიგანტმა საუცხოო შეხვედრა ჩაატარა. ის ნახევარფინალის საგზურს დაეუფლა.

რიიკაარდმა ტაქტიკა აგრესიულ შეტევაზე ააგო. სტუმრები დაცვაში სამი კაცის იმედად იყვნენ. შეტევაზე კი რონალდინიო, **მესი** და **ჟიული** ზრუნავდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე სეზონში "ბარსელონას" ამ ტაქტიკით არასოდეს უასპარეზია. არაორდინალურმა გადაწყვეტილებამ ჩინებული შედეგი გამოიღო. 25-ე წუთზე სტუმრები უკვე 2:0-ს იგებდნენ. თავი **ჩავიმ** და **ინიესტამ** გამოიჩინეს. **ვიქტორ ფერნანდესის** ბიჭებმა მხოლოდ ერთი ბურთი გაქვითეს, ისიც მეორე ტაიმში და წონასწორობის აღსადგენად დრო არ ეყოთ. **ხორკერას პიკემ** გაუტანა.

ფრანკ რიიკაარდი მიღწეული წარმატებით აღფრთოვანებული დარჩა: *"უდიდესი გამარჯვება მოვიპოვეთ. "ლივერპულთან" განცდილი მარცხი ჩვენთვის დიდი ტკივილი იყო. მივხვდით, რომ გლოვის დრო არ გვქონდა. უმალ დავირაზმეთ და ზედიზედ ორი შთამბეჭდავი გამარჯვება ვიზეიმეთ. ბედნიერი ვარ, რომ ესპანეთის სამეფო თასს არ გამოვეთიშეთ. იმედია, "ენფილდზეც" მოვიგებთ და ჩემპიონთა ლიგაში ბრძოლას გავაგრძელებთ. მოედანზე მხოლოდ სამი მცველი გამოვიყვანეთ. შევეცადეთ, ოპონენტები გაგვეოცებინა. ვგონებ, ისინი არ ელოდნენ, რომ ამ ტაქტიკით ვიასპარეზებდით. სასიხარულოა, რომ გეგმამ გაამართლა. მას შემდეგ, რაც ორი ბურთით დავწინაურდით, "სარაგოსამ" დიდი ძალებით შემოგვიტია, მაგრამ საქმე გამარჯვებამდე მივიყვანეთ. რა თქმა უნდა, ხარვეზებიც გვქონდა. ბურთს ხშირად ვკარგავდით."*

პრესკონფერენციის მიწურულს, რიიკაარდს ჰკითხეს, ლივერპულშიც ანალოგიური სქემით თამაშს ხომ არ აპირებს. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ჟურნალისტს ირონიულად უპასუხა: *"მომეცით ბენიტესის მობილურის ნომერი და თქვენს თვალწინ ანგარიშს ჩავაბარებ. რა თქმა უნდა, "ლივერპულთან" მატჩის სტრატეგიულ დეტალებს არ გავამხელ. ყველაფერს უშუალოდ თამაშის დაწყების შემდეგ გაიგებთ".*

### ბრძოლას დეპორტივო და ხეტაფე გააგრძელებენ

სამეფო თასის კიდევ ორ მეოთხედფინალურ წყვილს რაც შეეხება, მოგახსენებთ, რომ ბრძოლას "ხეტაფე" და "დეპორტივო" აგრძელებენ. მადრიდელებმა "ოსასუნასთან" განმეორებითი პაექრობა მინიმალური ანგარიშით, 0:1 დათმეს, მაგრამ პირველი რაუნდი სოლიდური სხვაობით, 3:0 ჰქონდათ მოგებული. ამიტომ, **ბერნდ შუსტერის** გუნდს პამპლონური წაფორხილება განწყობას ვერ წაუხდენდა. გერმანელმა სპეციალისტმა პრესკონფერენციაზე ხმამაღლა განაცხადა, რომ ქვეყნის თასი მისი მთავარი სამიზნეა.

"დეპორტივომ" კი "ვალიადოლიდის" ბარიერი გადალახა. სეგუნდა დივიზიონის ლიდერი პირველ თამაშში "რიასორზე" 1:4 განადგურდა. ამიტომ, კასტილიელები სასწაულზე არც კი ფიქრობდნენ. "ხოსე სორილიაზე" გუნდები საყაიმო შედეგით (1:1) დაშორდნენ ერთმანეთს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი

# დაიწყო, დღეს პირველი ტურია!



შარშანდელი ჩემპიონი ნინო ხურციძე

გუშინ, თბილისის ჭადრაკის სასახლის 37-ე ოთახში საქართველოს ქალთა ჩემპიონატის მონაწილენი, მსაჯები და ფედერაციის ხელმძღვანელები შეიკრიბნენ. მიზეზი საქართველოს ქალთა 64-ე ჩემპიონატის დაწყება და წილისყრა იყო. ჩემპიონატში 12 ქალბატონი ერთმანეთს წრიული სისტემით შეხვდება. მოგეხსენებათ ამ ტურნირამდე რამდენიმე შესარჩევი ეტაპი შედგა. ბოლო პირველი ლიგა იყო, საიდანაც ექვსმა მონინავემ მიიღო მთავარ ტურნირში თამაშის უფლება. ესენი იყვნენ: **ნინო ბაციაშვილი, თამარ წერეთელი, მაკა ფურცელაძე, სოფიკო ხუხაშვილი, ინგა ჭარხალაშვილი და მირანდა მიქაძე**. რეიტინგის მიხედვით უმაღლეს ლიგაში პირდაპირ დაუშვეს **ნანა ძაგნიძე, ნინო ხურციძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფიო გვეტაძე, სალომე მელია და მაია ლომინეიშვილი.**

ტურნირის მთავარმა მსაჯმა **ევგენი მელიქსეთ-ბეგმა** დებულება და გათამაშების პირობები გააცნო დამსწრეთ: თამაში ფიდეს წესებით, 11 ტურად ჩატარდება, დროის კონტროლი - 90 წუთი, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. ყოველი ტური 12 საათზე დაიწყება.

საქართველოს ჩემპიონატი წლის უმთავრესი და ძალზედ მნიშვნელოვანი ტურნირია, ამიტომ მასში გამარჯვება თავისთავად დიდი წარმატებაა, მაგრამ მოჭადრაკეებს სხვა მოტივაციაც ექნებათ: პირველ ორ ადგილზე გასულნი საქართველოს ნაკრებში დაიბევებენ ადგილს და მაისში, რუსეთის ქალაქ ეკატერინბურგში ქალთა გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრებიან. ეს ტურნირი, სხვათა შორის, პირველად იმართება.

საპრიზო სამეულში მოხვედრილები ფედერაციის მიერ მთლიანად იქნებიან დაფინანსებული ევროპის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატზე, რომელიც 2-16 აპრილს ჩატარდება გერმანიის ქალაქ დრეზდენში. ამას გარდა პრიზიორები ფულად ჯილდოსაც მიიღებენ: ჩემპიონი 2200 ლარით შეივსებს ბიუჯეტს, მეორეადგილოსანი - 1050 ლარით გამდიდრდება, ხოლო მესამეზე გასულს 730 ლარი შეხვდება.

პირობების გაცნობის შემდეგ გაიმართა წილისყრა და დადგინდა პირველი ტურის განრიგიც. მონაწილეებმა ნომრები თავად ამოირჩიეს, ნომრები 12 სუვენირში იყო ჩადებული. პირველი არჩევანი რეიტინგით უმაღლესმა ნანა ძაგნიძემ გააკეთა.

ცხადია, ყველა ინტერესით მიადევნებს ამ ტურნირს თვალს. ასეთ დროს, რთულია თავი შეიკავო პროგნოზებისგან, თუ ვინ გახდება საუკეთესო და ვინ გახდება სამეულის წევრი. ამ მიზნით პროფესიონალებს მივმართეთ და ვთხოვეთ, დაესახელებინათ სავარაუდო სამეული, თანმიმდევრობის გათვალისწინებით - ჩემპიონი, მეორე და მესამე ადგილოსანი.

შედეგები საინტერესო გამოვიდა, მაგრამ ვიდრე მათ გაგაცნობდეთ, აღვნიშნავთ ერთ უცნაურ ფაქტს: ცნობილ საჭადრაკო მოღვაწეთაგან ძალიან ბევრმა უარი განაცხადა, ლიად გაეკეთებინა პროგნოზი. აქაოდა, ვილაცას ეწყინება, "ისე ვერ გამიგებსო" და მისთანანი.

### საქართველოს ჩემპიონატი

**ნანა ძაგნიძე (2463)**
**ნინო ხურციძე (2451)**
**ლელა ჯავახიშვილი (2421)**
**სოფიო გვეტაძე (2416)**
**სალომე მელია (2400)**
**მაია ლომინეიშვილი (2399)**
**თამარ წერეთელი (2334)**
**სოფიკო ხუხაშვილი (2320)**
**ინგა ჭარხალაშვილი (2316)**
**ნინო ბაციაშვილი (2310)**
**მაკა ფურცელაძე (2308)**
**მირანდა მიქაძე (2248).**

**დღეს, პირველ ტურში:** ლომინეიშვილი-ძაგნიძე, ჯავახიშვილი - ხურციძე, მელია-ხუხაშვილი, ფურცელაძე-ჭარხალაშვილი, ბაციაშვილი-წერეთელი, გვეტაძე-მიქაძე

გამოკითხვაში სულ თხუთმეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, აქედან ორმა ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, ამიტომ მათ პროგნოზს არ გაგაცნობთ.

აშკარაა, რომ ფავორიტებად ისევ "ძველი გვარდიის" წარმომადგენლები მიიჩნევიან. ჩემპიონობის უმთავრეს პრეტენდენტად რესპონდენტებს საქართველოს მრავალგზისა და ბოლო ორი წლის ჩემპიონი **ნინო ხურციძე** მიაჩნიათ. ნინო მხოლოდ ერთმა არ დაასახელა სამეულში და 12 ხმა მიიღო- 8 პირველი, 3 მეორე და 1 - მესამე. ხმათა რაოდენობით მეორე ადგილზე **ლელა ჯავახიშვილია**: 1 პირველი, 6 მეორე და 4 მესამე, თუმცა ლელას პირველი ადგილის რაოდენობით **ნანა ძაგნიძე** უსწრებს, სანაცვლოდ ძაგნიძე მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხმათა საერთო რიცხვით - ოთხით ნაკლები, 7 ხმა აქვს.

გამოკითხვაში სულ 8 მოჭადრაკე მოხვდა. მომდევნო ხუთიდან საუკეთესო შედეგი **მაია ლომინეიშვილს** აქვს - 3 ხმა, **მაკა ფურცელაძემ** ორი ხმა მიიღო, ორი - **სოფიკო ხუხაშვილმა, სალომე მელიამ** და **სოფიო გვეტაძემ** - თითო.

სანამ გამოკითხვის შედეგებს გაგაცნოდეთ, გეტყვით, რომ პირველმა ტურმა უკვე დააწყვილა რამდენიმე ფავორიტი: **დღეს ლომინეიშვილი ძაგნიძეს ხვდება, ჯავახიშვილი - ხურციძეს.**

ზვიად **შათირიშვილი**

### პროგნოზები

**ხვიჩა სუპატაშვილი** (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი): **ხურციძე, ჯავახიშვილი, ძაგნიძე**

**გოგი მაჭარაშვილი** (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი): **ძაგნიძე, ჯავახიშვილი, ხურციძე**

**გოგი ხომერიკი** (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი): **ხურციძე, ძაგნიძე, მელია**

**ვალერიან გაფრინდაშვილი** (დიდოსტატი, ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი): **ხურციძე, ძაგნიძე, ჯავახიშვილი**

**მიხეილ ქანთარია** (საერთაშორისო ოსტატი, ფედერაციის ვებ-პროგრამისტი): **ჯავახიშვილი, ხურციძე, ხუხაშვილი**

**ხვიჩა ბახტაძე** (ეროვნული ოსტატი. ბავშვთა მწვრთნელი): **ხურციძე, ჯავახიშვილი, გვეტაძე**

**ირაკლი ცქიტიშვილი** (ფიდეს ოსტატი, მწვრთნელი): **ძაგნიძე, ხურციძე, ჯავახიშვილი**

**თამაზ მგელაძე** (მოჭადრაკე): **ხურციძე, ჯავახიშვილი, ლომინეიშვილი**

**შალვა ხაბურზანია** (მწვრთნელი): **ხურციძე, ჯავახიშვილი, ფურცელაძე**

**მაკა ხანთაძე** (ბავშვთა მწვრთნელი): **ხურციძე, ლომინეიშვილი, ჯავახიშვილი**

**თემურ ხანთაძე** (ბავშვთა მწვრთნელი): **ლომინეიშვილი, ძაგნიძე, ჯავახიშვილი**

**თამაზ შანავა** (ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწე): **ხურციძე, ჯავახიშვილი, ძაგნიძე**

**კარლო თოფურიძე** (ვეტერანი მოჭადრაკე) **ფურცელაძე, ხურციძე, ხუხაშვილი**

### შანსი ჩიხლაძისთვის

**ჩოგბურთი.** შვეიცარიის ქალაქ ლოიგერნის ხალიჩაზე მიმდინარეობს 10-ათასიანი ტურნირი, რომელშიც მეშვიდე ნომრად **ლადო ჩიხლაძეა** (565) განთესილი. მეორე წრეში ქართველის მეტოქე იყო 19 წლის შვეიცარიელი **რობინ რომარდი** (782), რომელიც ორგანიზატორებმა "უაილდ ქარდით" დაუშვეს. ლადო იოლად გაუსწორდა გამოუცდელ მეტოქეს - 6:1, 6:2. მეოთხედფინალში ჩიხლაძის მეტოქე კიდევ ერთი შვეიცარიელია, ისიც "უაილდ ქარდით" მიწვეული - 20 წლის **ალექსანდერ სადლეცკი** (837). ტურნირზე შემორჩენილთაგან ყველაზე კარგი რეიტინგი ლადო ჩიხლაძეს და იტალიელ **ალბერტო ჯირაუდოს** აქვთ.

### მეოცეზე დარჩნენ

**ფიგურული ციგურაობა.** გერმანულ ობერსდორფში გრძელდება ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. სპორტულ ცეკვებში ქართული წყვილი, **ეკატერინა ზაიკინა-ოთარ ჯაფარიძე** ასპარეზობს. სავალდებულო ცეკვის შემდეგ ჩვენები 27 მონაწილეში მე-20 ადგილზე იყვნენ. გუშინ, ორიგინალურ ცეკვაში ჯაფარიძემ და ზაიკინამ მე-19 შედეგი აჩვენეს, თუმცა საერთო ჩათვლაში მეოცე ადგილზე დარჩნენ უკანასკნელი დისციპლინის, თავისუფალი პროგრამის წინ. დღეს ფინალში 24 საუკეთესო წყვილი ისრიალებს.

ნიკოლოზ **ნეფარიძე**

## მხატვრული ტანვარჯიში

ინტერვიუ ნელი სალაძესთან

# დასვით წერტილი!

**სამწუხაროდ, საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის შიში ახდა და წლის პირველი გრანპრი, რომელიც ორიოდე დღეში დაიწყება მოსკოვში, ჩვენი წამყვანი ტანმოვარჯიშეების გარეშე ჩაივლის. მართალია, მხატვრულ და ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნულ ფედერაციებს შორის არსებული ორწლიანი უთანხმოება ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება, მაგრამ, ჯერჯერობით, პრობლემები ისევ არსებობს. გვესაუბრება საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი ნელი სალაძე.**

- სამწუხაროდ, მთელი ორი წლის განმავლობაში არსებული უთანხმოება ჩვენსა და ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციას შორის, რომელმაც ქართულ ტანვარჯიში ძალიან აზარალა, ბოლომდე ვერ ამოიწურა. ახლახან, გავაფორმეთ ხელშეკრულება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტთან, რომლის თანახმადაც, პეკინის ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ ციკლში, ქართულ ტანვარჯიშს მე უნდა ვუხელმძღვანელო. მე ამ პასუხისმგებლობას ვილებ საკუთარ თავზე და დეპარტამენტმაც, თავის მხრივ, ყოველგვარი თანადგომა აღგვითქვა. თუმცა, სულ ახლახან განმეორდა ის, რაც მთელი ორი წელი გრძელდება.

საქმე ეხება წლის პირველ დიდ ტურნირს, მოსკოვურ გრანპრის, რომელზეც ჩვენი წამყვანი ტანმოვარჯიშეები უნდა გაგვეშვა. საერთოდ, ასეთ შეჯიბრებებზე, წესით, საქართველოს ჩემპიონი ან მეორე-მესამე ნომრები უნდა მიდიოდნენ. თუმცა ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნულმა ფედერაციამ იმდენი მოახერხა, რომ ჯერ დაგვიმალა მოსკოვიდან მოწვევა, მერე კი ჩვენი, სპორტის დეპარტამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაჟინებული თხოვნით, დოკუმენტაცია გადმოგვცა, მაგრამ ეს პროცესი საკმაოდ გაჯანჯლდა და ვიზების მიღება ველარ მოესწრო. საბოლოოდ, მოსკოვში გაუშვეს მხოლოდ **მზევინარ სამუკაშვილი**, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატზე საერთოდ არ უასპარეზია და როგორც ტანმოვარჯიშეს, საერთოდ არ ვიცნობ. ჩემი ინფორმაციით, იგი ჩვენს ლიდერებს – **ქეთი ხატიაშვილს, თათია დონაძესა** და **ელენე გავარდაშვილს** ნამდვილად არ სჯობია. თუმცა, უკეთესიც რომ იყოს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასეთ შეჯიბრებებზე მხოლოდ ქვეყნის პირველობაზე თავგამოჩენილები მიდიან ხოლმე.

ასე, რომ წლის პირველი დიდი შეჯიბრება გამოვტოვეთ. არადა, წლეულს პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებისთვის გადამწყვეტი სეზონია და თითოეული შეჯიბრება ჰაერივით გვჭირდება. მიუხედავად ამისა, მაინც გვაქვს იმედი, რომ პეკინის მიღმა არ დავრჩებით.

**- მოსკოვის ამბავი გასაგებია. წლეულს კიდევ რა შეჯიბრებები გაქვთ?**

- ამ დროისათვის, მხოლოდ 4 მოწვევა მოგვცეს, მაგრამ, მგონი, მეტი მოწვევა უნდა იყოს. ის შეჯიბრებები, რომლებზეც აუცილებლად წავალთ არის: მარტის ბოლოდან აპრილამდე გასამართი კიევის მსოფლიო თასის ეტაპი, პორტიმაუს მსოფლიო თასი და ბურგასისა და მინსკის გრანპრის გათამაშებები. ჯერჯერობით, გაურკვეველია, წავალთ თუ არა კორბელესონის გრანპრიზე.

ევროპის ჩემპიონატი ივნისში გაიმართება ბაქოში უფროსებსა და იუნიორებს შორის. უფროსებში, ყველაფერი გასაგებია – იქ ხატიაშვილი, დონაძე და გავარდაშვილი მიგვყავს და ასეც უნდა იყოს. რაც შეეხება იუნიორებს, აქაც პრობლემას წავაწყდით ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციისგან. საქმე ის არის, რომ იუნიორთა ჯგუფურ ვარჯიშზე საერთოდ არაფერი სცოდნიათ და რომ ვკითხეთ, გაუკვირდათ, იუნიორებიც გამოდიანო? ვთხოვეთ ევროპის ჩემპიონატის წესდება და ალბათ მოგვაწვდიან, მაგრამ ნამდვილად ვიცით, რომ იუნიორთა ჯგუფური ვარჯიში აუცილებლად იქნება. საერთოდ, მრავალი წლის მანძილზე, უფროსებში ჯგუფურ ვარჯიშზე არ გამოვსულვართ და გვინდა, იუნიორებით დავიწყოთ ამ დისციპლინის რეაბილიტაცია...

არ მინდა, ისე გამიგოთ, თითქოს მუდამ პრობლემებზე წუწუნი მსიამოვნებდეს და ვინმეს ვეჩხუბებოდე. ყოველთვის ვცდილობ, რომ მაქსიმალურად თავშეკავებული ვიყო, მაგრამ ისე ვითარდება ხოლმე მოვლენები, რომ ძნელია, გაჩუმდე და გულგრილად უყურო ყველაფერს. მე თუ რამეს ვაკეთებ, მხოლოდ ქართული ტანვარჯიშის წინსვლისთვის. კარგად გამიგეთ, მთელი ცხოვრება ამ საქმეს ვემსახურები და ხშირად მითქვამს, ტანვარჯიშის გარდა, არაფერი ვიცი მეთქი. ჰოდა, მინდა, ამხელა გამოცდილება ჩემს ქვეყანას, ჩვენს ტანვარჯიშს მოვახმარო და ვისაც არ უნდა გვერდში დამიდგეს, ხელს მაინც ნუღა მიშლის. თავის დროზე, უნივერსიტეტში ფიზიოლოგიის კურსს რომ გავდიოდით, ივანე ბერიტაშვილის ასისტენტი ასე გვმოძღვრავდა: იცოდეთ წერტილის დასმა! ჰოდა, ვინც ხელს გვიშლის, მეც წერტილის დასმას და თანამშრომლობას ვთავაზობ.

კობა **ხატისაშვილი**

## უკვე მესამე ნომერი




ჩვენში მიზნობრივი სპორტული ჟურნალის მომზადება-გამოცემის მისაბაძ მაგალითს იძლევა შპს "ქართული ჩოგბურთი", რომელიც ამავე სახელწოდების ყოველკვარტალურ ილუსტრირებულ, ფერად ჟურნალს ბეჭდავს. ამ დღეებში მკითხველმა ჟურნალის მიმდინარე წლის პირველი (დაარსებიდან რიგით მესამე) ნომერი მიიღო.

სამაგალითოა, რომ ვამბობთ, მხოლოდ ფორმა არ იგულისხმება. ჩოგბურთის სამყარო, საერთოდ, მრავალმხრივიცაა და ეგზოტიკურიც. მთავარია, რომ ეს კარგად ჩანს გამოცემის შინაარსში. აი, რას ამბობს **მარკ კერი**: *"ჩოგბურთმა შემძინა უამრავი მეგობარი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც"*. ეს კაცი საქართველოში აშშ-ის საელჩოს მრჩეველი და იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსის ხშირი სტუმარია. ახლა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს **ვალერი ჩეჩელაშვილს** მოვუსმინოთ: *"ჩემთვის ჩოგანი და ვიოლინო ერთი და იგივე იყო, მაგრამ პირველი დღიდან, რომ იტყვინა, მოვინამლე ჩოგბურთით და მას შემდეგ ჩოგანი ხელიდან არ გამიშვია"*.

დიახ, "ქართული ჩოგბურთი" არა მხოლოდ პროფესიონალ ჩოგბურთელთა, არამედ მოყვარულთათვის საინტერესო გამოცემად იქცა. ბუნებრივია, მის ფურცლებზე პროფესიულ დონეზე შუქდება სხვადასხვა ტურნირები, რომელთა მომრავლება საქართველოში აშკარად შესამჩნევია. აქვე შეხვდებით წერილებს ვეტერან და დამწყებ ჩოგბურთელებზე.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალი გამართული ქართულითაა გაწყობილი (რედაქტორი **მურმან ჩაჩუა**). დასტამბულია შპს "სეზანში".

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემკვიდრეობა



რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **გურამ საღარაძე**

# იმერეთის ფალავნები

**საქართველოში** ყველა კუთხე გამოირჩევა, როგორც თავისი გმირული წარსულით, ისე კოლორიტით, ბუნებითა და ხალხით, ადათით და წეს-ჩვეულებით... ყველგან, სადაც საქართველოა, ადამიანებს ქართული სული აერთიანებს და ადუღაბებს. მერე რა, რომ მშობლიურ სიმღერებსაც კი განსხვავებულად მღერიან. მაგრამ, განა ვინმე იტყვის, რომ ღრმა ეროვნული არ არის როგორც კახური, ისე იმერული მრავალჟამიერი, მხედრული თუ სხვა სიმღერები? ასეა სპორტის ეროვნულ სახეობებშიც. ქართულ ჭიდაობასა და ლელოზე, ცხენოსნობასა თუ სხვა ხალხურ თამაშობებზე აღზრდილ თაობებში გენიდან გენში გადადიოდა რაინდული თვისებები, სხეულისა და სულის ჰარმონია. საქართველოს ფალავნები დუნიას რომ აოცებენ, სულაც არაა შემთხვევითი. წერილებში, რომლებიც ქვეყნდება რუბრიკით "მემკვიდრეობა", შევეცადეთ, წარმოგვეჩინა საქართველოს ყველა კუთხის მოჭიდავეთა მიღწევები, მათი ღვაწლი და დამსახურება სამშობლოს წინაშე...

**დღეს** იმერეთის ფალავნებზე ვისაუბრებთ. საქართველოს ამ თვალწარმტაცი მხარის ათლეტებს ყველა დონისა თუ რანგის სპორტულ ასპარეზობებში აქვთ მოპოვებული უმაღლესი ჯილდოები. როცა ვლაპარაკობთ იმერეთის დიდ სპორტსმენებზე, არ გვავიწყდება, ვისი გორისანი არიან ისინი, როგორი სულიერად ამაღლებული წინაპრები ჰყავდათ მისაბაძ მაგალითად. თხრობას, იმერეთის ცნობილ ფალავნებზე, დავიწყებ ამ ქვეყნიდან უკვე წასული ათლეტებით და უპირველესად, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სახელოვან წარმომადგენლებს გავიხსენებ.

ყველასთვის ცნობილი **ილია ბობოხიძე** (სსრკ ჩემპიონი), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **თემურ აფხაზავასა** და სხვა მრავალი ჩემპიონის აღმზრდელი. **გიორგი ბოგდანოვი, გიორგი (ჟორა) სინაურიძე, ჯუკა ჩლიქაძე, გურამ გობეჯიშვილი, მურად დოხტურაშვილი, ჯემალ კოსტავა, ზაურ შეყრილაძე, როლერი ლეკვეიშვილი, ჯემალ (მენჯალა) ღვინერია, ჯიმშერ სიხარულიძე, მურთაზ ასათიანი, შოთა შაშუაშვილი, დავით ქოსაშვილი, ერუში ერგემლიძე, კუკური მეძმარიაშვილი, თენგიზ მეფარიშვილი, ზაურ მჭედლიძე, ლიოვა პესტოვი, ჯუმბერ სხირელი, აკაკი სხირელი, აკაკი ნუცუბიძე, ჯონდო დათოსანი, ძმები ნიჟარაძეები, ოტო ასათიანი, ზურაბ მირიანაშვილი, შალვა ჩიხლაძე, ვარდენ აბზიანიძე, რამაზ (ძელენძი) კუპრაშვილი, ზურაბ და ავთანდილ ჩიხლაძეები, ელდარ და ზურაბ ბობოხიძეები, რომან დოლონაძე, გიორგი ოდიშარია, ზურაბ ედიბერიძე, მამუკა კოპალიანი, ნუგზარ აფხაზავა, თამაზ ასათიანი, საშკა შეყრილაძე.**

ამჟამად, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას სწორედ იმერეთის საჭიდაო ტრადიციებზე აღზრდილი **კახა გეწაძე** უდგას სათავეში. წარმოშობით, ის ძირძველი რაჭველია - ამბროლაურის რაიონის სოფელ იწადანაა. მისი წინაპრები გადმოსულან და დასახლებულან ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირში. კახა ბავშვობიდანვე ნაზიარებია ჭიდაობასთან და მასში სპორტის ამ სახეობის დიდმა სიყვარულმა განაპირობა ის, რომ გახდა ჭიდაობის "დიდი ოჯახის" თავკაცი.

ვაგრძელებ რა თხრობას ქუთაისელ ფალავნებზე, უპირველესად, ბერძნულ-რომაულ მოჭიდავეთა ამქრის ღირსეულ წარმომადგენელს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **თემურ აფხაზავას**, უზადო ტექნიკის მოჭიდავეს დავასახელებ. შემდეგ მოდიან **ესტატე გოგლიჩიძე** - სსრკ-ისა და მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი. საქართველოს, სსრ კავშირისა და მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულები და პრიზიორები: **თემურ ხითარიშვილი, ჯუმბერ ბაქრაძე, ჯემალ ბალანჩივაძე, მირზა საკანდელიძე, გიგლა ესებუა, აკაკი ჩიხლაძე, გიორგი ჭეიშვილი, ჯემალ ხეჩინოვი, ვიტალი ალავიძე, თემურ ქურციკიძე, ბაქსანი ლეკვეიშვილი, ნუგზარ სირბილაძე, დიმიტრი ნარსია, ამირან ალავიძე, ლერი ხვადაგიანი, ნოდარ ზვიადაძე, გივი გუდაძე, ომარ თავართქილაძე, მანუჩარ მამაგეიშვილი, შაქრო ბერძენიშვილი, აკაკი მელაძე, რამაზ მეტონიძე, მევლუდ სულაკაძე, მურთაზ ჭეიშვილი, თამაზ ბაბუხადია, ემზარ ლელაძე, სოსო ქარაზანიშვილი, გურამ კანდელაკი, გოდერძი ჯოხაძე, გიორგი ლევიძე, ელგუჯა ჩუბინიძე, ამირან ზურაბიანი, ზურაბ შალიკიანი, დავით ჭოლაძე, ელგუჯა მარუაშვილი, გიორგი ჯინჭველაშვილი, უშანგი თევდორაძე, აბესალომ ტურაბელიძე, თენგიზ კოლუაშვილი, მათე სვანიძე, გია ჭონიშვილი, დავით კორძაძე, გია ფოცხვერია, თეიმურაზ ჭეიშვილი** (ამჟამად, პარლამენტარი), **თემურ გაბუნია, გრიგოლ სანებლიძე, ავთანდილ გუბელაძე, გელა გოქსაძე, მურთაზ კუჭავა, ვასილ ნემსაძე, ვასო ონიანი, აკაკი ჯანგავაძე, ტარიელ ძოწენიძე, შმაგი გოქაძე, კახაბერ ცირამუა, ლაშა გვადიბაძე**. მკითხველს შევახსენებ, რომ ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **გიორგი კოლუაშვილი** ძირძველი ქუთაისელია. ამჟამად, ის მოსკოვში მოღვაწეობს და რუსეთის ნაკრების უფროსი მწვრთნელია ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. აგრეთვე ძირძველი ქუთაისელები არიან ძმები **დათო** და **გიორგი სალდაძეები**, რომლებიც, კარგა ხანია, უკრაინის სახელს იცავენ. **შიო გოგლიძე** საბერძნეთშია, მამა-შვილი **ავთანდილ (კეკელია)** და **ლევან კეზევაძეებიც** მოსკოვში მოღვაწეობენ. სხვათა შორის, ლევანი რუსეთის ბერძნულ-რომაულ მოჭიდავეთა ნაკრების წევრია. ყურადღებას იმსახურებენ პერსპექტიული ქუთაისელი მოჭიდავეები: **ლაშა გოგიტაძე, ანტონ მამაგეიშვილი, სერგო ნინუა, გიორგი ლვინიაშვილი, ბესო სიხარულიძე, გიორგი მესხი, მირიან ნიშნიანიძე.**



მიხეილ სალაძე

რაც შეეხება თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს, ამ მხრივ, ქუთაისი მეტოქეობას უწევდა ქვეყნის დედაქალაქს. საქართველოს ნაკრებში ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან ქუთაისელები. ცხადია, გულშემატკივრებს კარგად ეხსომებათ ჩემპიონები და პრიზიორები: **ვალიკო გიგიაძე** - სსრ კავშირისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. აქ აიდგეს ფეხი ოლიმპიურმა ჩემპიონმა **დავით გობეჯიშვილმა, ზაურ შეყრილაძემ**, რომელიც განუმეორებელი ტექნიკით გამოირჩეოდა. ძლიერი სპორტსმენი იყო ზაურის ძმა - **გიტო შეყრილაძე**. დავასახელოთ ნიჭიერი და საკუთარი ხელწერის მოჭიდავეებიც: **ალიმი დათეშიძე, როლანდ მოსეშვილი, მურად ცნობილაძე, ლევან ცნობილაძე, ომარ მიქელთაძე, იური მელაძე, არამ მნაცაკანიანი, ლუტუშა ხარაბაძე, ალექსანდრე ცხოვრებოვი, რომან გელაშვილი, თემურ ერემეიშვილი, ლერი კაკუშაძე, ანდრო სულაქველიძე, ავთანდილ მგელაძე. რევაზ კუნჭულია, ვანო სვანიძე, ზურაბ თადუმაძე, მევლუდ ლიპარტელიანი, გიზო ლომსიანიძე, ომარ სინატაშვილი, ბონდო თუნგია, როინ ირემაძე, ბორის რუხაძე, რამაზ ჩაკვეტაძე, ავთანდილ ჩუბინიძე, ნოშრევან ქოიავა, ფრიდონ ჩხარტიშვილი, ავთანდილ გოდუაძე, პაატა ნოზაძე, ბიძინა ნიშნიანიძე.**

ღირსეულად უნდა მივაგოთ პატივი ქუთაისელ მწვრთნელებს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში: ესენი არიან: **ელგუჯა მარუაშვილი** - საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; **ზაზა ლოლაძე, ლევან ცნობილაძე, ვიტალი ალავიძე** - საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; **ლერი ჩეჩელეშვილი, გია კოსტავა, ავთო ნემსაძე, აკაკი ჯანგავაძე, მიშა გრძელიძე, ხვიჩა გოგიტაძე, გიორგი დევიძე.**

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მწვრთნელები არიან: **გიტო შეყრილაძე, ანდრო სულაქველიძე, კობა ახვლედიანი, რამაზ ჩაჩხიანი, როლანდ მოსეშვილი, თემურ მურღულია, გიული კიკვაძე** - საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; **გიზო ლომსიანიძე, გოგი ჭეიშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი, კახა ჭელიძე, ალუდა სილაგაძე.** სამწვრთნელო საქმიანობას შეუდგა საქართველოს ნაკრების სტაჟიანი და ღვაწლმოსილი წევრი **გოჩა კირკიტაძე**. ჩვენო ძვირფასო ქუთაისელო მოჭიდავეებო! იმედია, მომავალშიც გვასახელებთ და სახელოვან ტრადიციებს გააგრძელებთ.

იმერეთის რეგიონის თორმეტი რაიონიდან გამოირჩევიან სამტრედიელი მოჭიდავეები. აქ ძირითადად თავისუფალი სტილის მოჭიდავეები დომინირებენ. ვინ არ იცნობს საქვეყნოდ ცნობილ **ვახტანგ ბალავაძეს** - თავისუფალი ჭიდაობის ვირტუოზს, პარიზში ჭიდაობის "პროფესორად" აღიარებულს. ძირძველი სამტრედიელები არიან მამა-შვილი - **ზურაბ** და **გიორგი ნიკურაძეები** (გიორგი მზარდი, პერსპექტიული მოჭიდავეა, ჭიდაობის სპეციალისტები იმედის თვალით უყურებენ), **რამაზ თელია, ბადრი შენგელია, აკაკი გაბედავა, გელა კეკელია, იური ლეჟავა**, ძმები - **ჯემალ და ჯონი ლორიები** (ჯონი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელია, პერსპექტიული მოჭიდავეების აღმზრდელი). ძმები - **ემზარ და თამაზ კიკაბიძეები, გენო ნიკურაძე, აკაკი გაბედავა, მალხაზ ჩხეიძე**, ძმები - **დათო** და **თემურ ბელთაძეები, ბესო შენგელია, ნუკრი ჭკუასელი.**

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თავი გამოიჩინეს და ამ კეთილ საქმეში დღესაც აქტიურად არიან ჩაბმული: **ლადო ადეიშვილი** (ამჟამად თბილისში მოღვაწეობს), ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელია; მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი **აკაკი ჩაჩუა, რევაზ გვენცაძე** - შესანიშნავი მწვრთნელი და აღმზრდელი (აკაკი ჩაჩუას მწვრთნელი); **კობა ჭიჭეიშვილი** - ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში; **გენადი გოგიშვილი.** წარმოშობით სამტრედიელია საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი **ვაჟა კრავეიშვილიც**, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში **გურამ სტურუა**. თბილად მოვიხსენიებ და კიდევ ერთხელ მივაგებ პატივს პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში **დავით (ამურ) ციმაკურიძეს** (წარმოშობით ზესტაფონის რაიონ სოფელ ოფჩედანაა). ზესტაფონელთა და არა მხოლოდ მათ სიამაყედ იქცა მსოფლიო ჩემპიონი **მიხეილ სალაძე** - მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე ქვემძიმე წონაში; ძმები - **თემურ** და **მალხაზ ლეჟავები** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). ხარაგაულში თავისუფალი ჭიდაობის შესანიშნავი სკოლა შექმნა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **ანზორ მაღრაძემ**. მისი აღზრდილები არიან ძმები - **ნოდარ** და **ოთარ ებანოიძეები, გიორგი ვეფხვაძე, დავით გელაშვილი, ვახტანგ მაღრაძე, დავით** და **ვახტან კვინიკაძეები** (დავითი სპორტის აკადემიის ჭიდაობის კათედრის წამყვანი სპეციალისტია), **გიორგი კვინიკაძე, გელა თხელიძე, ვახტანგ ინასარიძე, გულადი ვეფხვაძე, მამუკა არევაძე, მამუკა გურგენიძე, იუზა შერგელაშვილი, მერაბ იჩქიტიძე, გელა გოლებიანი, შალვა შარიქაძე, გელა კიკნაძე, ვალოდია კაპანაძე, ელდარ გიორგაძე, ზურაბ და ელვარდი გიორგაძეები**, ძმები - **ბორის და სოსო გოგნაძეები**. წარმოშობით ძირძველ საჩხერელს, **თამაზ მაჭავარიანს**, უამრავი თაყვანისმცემელი და მეგობარი ჰყავს. ის სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონია, ამასთან, მისაბაძი ვაჟკაციცაა. ასეთივე პიროვნებაა **ვასიკო ცუხიშვილი** (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი), **ზაზა თურმანიძე** - მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე მძიმე წონაში, დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი, გამოირჩევა კორექტულობითა და სამართლიანობით. **თენგიზ ლამბაშიძე**, იგივე "სეიფურა". ეს სახელი მას ირანელ მოჭიდავესთან მსგავსების გამო შეარქვეს. ირანელი **სეიფური** ერთ-ერთი უძლიერესი იყო მსოფლიოში. თენგიზი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, მრავალი ჩემპიონისა და პრიზიორის აღმზრდელია: **რაიდი აბრამიშვილი** - ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სსრკ-ს ჩემპიონი ლამაზი სტილის მოჭიდავე; **თემურ ტყემალაძე, სოსო ბუხნიკაშვილი, მიხეილ ლამბაშიძე** - საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულები, ყველასთვის სამაგალითონი არიან.

ბაღდადელია მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებში (თავისუფალი ჭიდაობა) **ლევან ებანოიძე**. მან სუმოშიც ისახელა თავი და 1999 წელს მსოფლიო ჩემპიონიც გახდა. გაბედული სტილის მოჭიდავეები იყვნენ **ავთო გურგენიძე, აქვსენტი თავხელიძე, კახა ჯაბიძე, ვახტანგ გუმბერიძე, ვახტანგ ჭუმბაძე** - ისინი დღესაც გვერდში უდგანან ახალგაზრდებს. პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი სპორტულ სარბიელზე თერჯოლელებმა - **ლევან** და **შოთა ქავთარაძეებმა**, ყველასთვის ცნობილმა მძიმეწონოსანმა **მირიან გიორგაძემ**, ვანელმა **ზაზა** და **კობა ტყეშელაშვილებმა**. კარგად ჭიდაობდა **ზურაბ გვენეტაძეც**. წყალტუბოს რაიონის სოფელ საყულიადან იყვნენ ძმები - **შოთა** და **თენგიზ ლომიძეები**. შოთა, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალით. მას ვერ უმკლავდებოდნენ ისეთი გამოჩენილი მოჭიდავეები, როგორებიც იყვნენ ლეგენდარული **ალექსანდრ ივანიცკი** და **ალექსანდრ მედვედი**, მიუხედავად იმისა, რომ შოთა მათზე გაცილებით ნაკლები წონისა იყო. ის ფიზიკურად ჯაბნიდა მათ და აშკარად აცხადებდა პრეტენზიას სსრ კავშირის ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად. ხონში ნაყოფიერად მუშაობს **მიშიკო ბალავაძე**. ასე რომ, იმედია, იმერეთში ღირსეულად გააგრძელებენ წინაპართა ტრადიციებს.



მარცხნიდან: ვახტანგ ბალავაძე, გიორგი სხირტლაძე, დავით (ამურ) ციმაკურიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### ქართველები NBA-ში

# ორლეანთან არ უნდა აგებდნენ

როგორც ჩანს, "ატლანტა ჰოქსი" წელსაც ფლეი ოფის გარეთ დარჩება. ჯორჯიელებს 58 მატჩიდან 22 აქვთ მოგებული და აღმოსავლეთი კონფერენციის ერთ-ერთი აუტსაიდერები არიან. "ჰოქსი" მომდევნო ეტაპზე გასვლაზე სერიოზულად რომ ფიქრობდეს, "შარლოტის" და "ნიუ ორლეანის" დონის კლუბებთან არ წააგებდა. ბოლო მატჩში ზაზას თანაგუნდელებმა ორლეანელებთან ვერაფერი გააწყვეს - 100:107.

*"ჩემი შეგირდები ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ, გამარჯვების შანსს უკანასკნელ წუთებამდე ვინარჩუნებდით, მაგრამ ქრის პოლისა და ტაისონ ჩენდლერის გაუვნებლება ბოლომდე ვერ მოვახერხეთ".* - აღიარა "ატლანტას" მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა**.

პოლმა 24 ქულა და 13 პასი მიითვალა, ჩენდლერმა 18 ქულა და 13 მოხსნა. ტაისონის წინაალმდეგ მოთამაშე ზაზა ფაჩულიამ შეტევაში კი ივარგა (13 ქულა დააგროვა), მაგრამ დაცვაში ცოტა გაუჭირდა - სამი მოხსნიდან ორი შეტევაში მოაგროვა.

**ნიუ ორლეანი-ატლანტა 107:100**

27:30, 32:20, 18:26, 30:24

**ნიუ ორლეანი:** პოლი (37 წთ. 24 ქ. 13 პ. 5 მ. 4 ჩ), დევინ ბრაუნი (26 წთ. 19 ქ. 1 მ), ჩენდლერი (34 წთ. 18 ქ. 13 მ. 4 დ. 1 ჩ), დევიდ უესტი (35 წთ. 17 ქ. 14 მ. 3 პ), მეისონი (35 წთ. 16 ქ. 3 მ. 2 პ. 1 ჩ) – რ. ბატლერი (13 წთ. 4 ქ. 4 მ. 1 პ. 1 ჩ. 1 დ), პარგო (10 წთ. 4 ქ. 1 მ. 1 პ. 1 ჩ), ბ. ჯექსონი (21 წთ. 3 ქ. 4 მ. 2 პ), მ. ჯექსონი (6 წთ. 2 ქ. 1 პ), ლ. ჯონსონი (14 წთ. უქულოდ, 1 მ), ჰ. არმსტრონგი.

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (44 წთ. 27 ქ. 8 პ. 2 ჩ. 1 მ. 1 დ), ჯოშ სმიტი (43 წთ. 17 ქ. 9 მ. 9 პ. 5 დ), მერვინ უილიამსი (26 წთ. 12 ქ. 8 მ. 1 პ. 1 დ), კლექსტონი (22 წთ. 6 ქ. 4 პ. 1 მ. 1 ჩ), ლ. რაიტი (13 წთ. უქულოდ, 4 მ. 1 პ. 1 დ) – ე. ჯონსონი (29 წთ. 15 ქ. 3 პ. 2 მ), **ზაზა ფაჩულია (29 წუთი, 13 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება, 1 შეცდომა, 4 ფოლი)**, ჩილდრესი (26 წთ. 7 ქ. 3 მ. 1 ჩ), ს. სტაუდმაიერი (1 წთ. 3 ქ), შელდენ უილიამსი (4 წთ. უქულოდ, 1 მ. 1 პ).

| I მეოთხედი | |
|---|---|
| 05:13 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 04:13 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (19:15) |
| 02:53 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (21:19) |
| 01:55 | ფოლი: 1 (ჩენდლერზე დაჯარიმდა) |
| 01:11 | პასი: 1 (მ. უილიამსი, 2 ქ. 26:25) |
| 01:04 | დაფარება: 1 (მეისონს დაუფარა) |
| 00:23 | შეცდომა: 1 (პოლმა ჩაუჭრა) |

| II მეოთხედი | |
|---|---|
| 11:37 | ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (32:27) |
| 09:58 | ფაჩულიაზე ჰ. არმსტრონგი დაჯარიმდა |
| 09:58 | საჯარიმოები: 2/1 (7 ქ. 34:31) |
| 07:59 | ორქულიანი: რ. ბატლერმა დაუფარა |
| 04:11 | ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა |

| III მეოთხედი | |
|---|---|
| 09:47 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 09:36 | ფოლი: 2 (ჩენდლერზე დაჯარიმდა) |
| 08:54 | ფოლი: 3 |
| 07:47 | ფაჩულიაზე დ. ბრაუნი დაჯარიმდა |
| 07:47 | საჯარიმოები: 2/2 (9 ქ. 62:63) |
| 07:12 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 06:13 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 04:58 | ორქულიანი ტყორცნა: 11 ქ (66:69) |
| 03:18 | ფაჩულია მ. უილიამსმა შეცვალა |

| IV მეოთხედი | |
|---|---|
| 10:47 | ფაჩულიამ მ. უილიამსი შეცვალა |
| 10:34 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 10:33 | მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1) |
| 10:32 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 03:31 | მოხსნა: 3 (შეტ: 2, დაც: 1) |
| 03:31 | ფაჩულიაზე ჩენდლერი დაჯარიმდა |
| 03:31 | საჯარიმოები: 2/2 (13 ქ. 86:92) |
| 00:32 | ფოლი: 4 (დევიდ უესტზე დაჯარიმდა) |
| 00:26 | ფაჩულია ს. სტაუდმაიერმა შეცვალა |

**ზაზა ფაჩულია:** 55 მატჩი, 28 წუთი, 11.7 ქულა, 6.7 მოხსნა, 1.4 პასი, 1.0 ჩაჭრა, 0.5 დაფარება, 2.1 შეცდომა, 3.7 ფოლი; **ატლანტა ჰოქსი:** 58 მატჩი, 22 მოგება, 36 წაგება, ბოლო ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-12 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში; **მომდევნო მატჩი:** ატლანტა – ვაშინგტონი (2 მარტი)



### გორდონ ჰერბერტი:

# ქართველებს იმედი უნდა გავუმართლოთ!

ევროლიგის საიტზე ნებისმიერ ქომაგს ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული "პო ორტეზის" მწვრთნელის, გორდონ ჰერბერტისთვის ელფოსტით კითხვების გაგზავნის საშუალება ჰქონდა. გუშინ ამავე ვებ-გვერდზე პასუხები გამოქვეყნდა. მათგან ქართველი მკითხველისთვის საინტერესოები შევარჩიეთ.

**- მისტერ ჰერბერტ, ოთხი წლის წინათ "ფრანკფურტ სკაილაინერზთან" ერთად ევროლიგაზე ასპარეზობდით. მას შემდეგ ამ ტურნირში რა ცვლილებებს ხედავთ?**

- 2001-02 წლების სეზონში, როცა გერმანული კლუბი ევროლიგაზე გავიყვანე, ცვლილება მართლაც მოხდა - გუნდების რაოდენობა 32-დან 24-მდე შემცირდა, რამაც მეტი სიმწვავე შეიტანა. საერთოდაც, ბოლო 10 წელიწადში ევროპულმა კალათბურთმა სერიოზული პროგრესი განიცადა. მინდა აღვნიშნო, რომ სადღეისოდ ევროპაში ამერიკაზე არანაკლებ ნიჭიერი ახალგაზრდები თამაშობენ. საქმე ისაა, რომ მათი უმეტესობა 21-22 წლისაა და უმაღლეს დონემდე მისასვლელად კიდევ 3-4 წელი სჭირდება.

**- ევროლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე რას იტყვით?**

- ტოპ-16 ურთულესი რამაა. შინ ერთი წაგებაც საკმარისია პირველობაზე მოხვედრის შანსის დასაკარგად. "პო ორტეზმა" შინ "ტაუსთან" წააგო და უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

**- რა ხერხით დაამარცხეთ ცსკა?**

- ცსკა-ს თამაში ევროლიგურ გუნდებს შორის ყველაზე მეტად მომწონს. ეტორე მესინა დიდი მწვრთნელია, ხოლო მისი გუნდების მთავარი მახასიათებელი დაცვაში კარგი თამაშია. რაც შეეხება ცსკა-ს ძლევას, ამას უმთავრესად იღბალს დავაბრალებდი. საფრანგეთში ქომაგებით სავსე ტრიბუნების თვალწინ ჩემს კალათბურთელებს ყველაფერი გამოუვიდათ.

**- "პო ორტეზი" წლევანდელი ევროლიგის სიურპრიზია. როდის შეგვეძლება იმავეს თქმა საქართველოს ნაკრებზეც? მითუმეტეს, რომ მდიდარი არჩევანი გაქვთ - სტეფანია, ფაჩულია, ბოისა, ცქიტიშვილი, მარკოიშვილი...**

- ძალიან, ძალიან ახალგაზრდა ნაკრები გვყავს. წამყვანი მოთამაშეები სასაკი 18-დან 23 წლამდე მერყეობს. ვლადიმერ ბოისა ერთადერთია, რომელიც ამ ასაკს სცილდება, იგი 26 წლისაა. რამდენადაც შემადგენლობაა ახალგაზრდული, იმდენად საინტერესო და მიმზიდველია იგი. აქვე აღვნიშნავ, რომ ქართველებს სპორტი ძალიან უყვართ და კალათბურთის ფედერაციაშიც ჭკვიანი ხალხი მუშაობს. ძალიან მინდა მათი იმედები გავამართლო და ამ ზაფხულს ნაკრები A დივიზიონში გადავიყვანო.

**- ქართველთა შანსებზე რას იტყვით?**

- ზედა ლიგაში მოხვედრის დიდი შანსი გვაქვს. ამ ზაფხულს ორი მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს - ისლანდიაში და თბილისში ფინეთთან. ამასთან ავსტრიისა და ლუქსემბურგის ეროვნულ გუნდებსაც უნდა ვეთამაშოთ. ჩემი აზრით, ნამდვილად შეგვიძლია ოთხივე მატჩი მოვიგოთ. თუმცა, მანამდე, სასურველ კონდიციებში ჩასადგომად სერიოზული შეკრება უნდა გავიაროთ...

**- მუშაობდით ფინეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, საფრანგეთსა და საქართველოში. დედამიწაზე თუ დარჩა ქვეყანა სადაც მოღვაწეობის გაგრძელებას ისურვებდით?**

- "პო ორტეზში" თავს კარგად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვაპირებ. აქაური ორგანიზაციაც მომწონს და ქვეყანაც. თუმცა, ადგილი სადაც მომავალში მუშაობას ვისურვებდი, შეიძლება ესპანეთი იყოს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ძიუდო

# ქართულ-იაპონური მეგობრობის დარბაზი



მაცუკირო კონო და დილარ ხაბულიანი — ნუგზარ სუარიძის ფოტო

გუშინ იაპონიის კულტურის ცენტრში საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ იაპონურ მხარესთან გააფორმა ხელშეკრულება ძიუდოს ცენტრალური დარბაზის სარეაბილიტაციოდ გრანტის გამოყოფის თაობაზე.

ესაა იაპონიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამა, რომლის ფარგლებშიც იაპონელები ხუთ პროექტს აფინანსებენ. ერთი მათგანი ვაკეში მდებარე ძიუდოს ცენტრალური დარბაზის რემონტს ითვალისწინებს, რომელსაც ამიერიდან „იაპონია-საქართველოს მეგობრობის დარბაზი" ეწოდება. სხვა პროექტები გორსა და ოზურგეთში შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანთა ცენტრების რეაბილიტაციას, მარნეულში მოსავლის აღება-დაბინავების ტექნოლოგიური ციკლის დანერგვას და სოფელ ყარაჯალაში საშუალო სკოლის შენობის გაჭიანურებული მშენებლობის დამთავრებას.

გუშინდელ შეხვედრაზე იაპონური მხარის წარმომადგენელმა, საელჩოს პირველმა მდივანმა **მაცუკირო კონომ** აღნიშნა, რომ ასე განსხვავებული სფეროები საგანგებოდ შეარჩიეს. ყარაჯალაც ასევე საგანგებოდ აურჩევიათ, როგორც ეროვნული უმცირესობით დასახლებული რეგიონი. *„წარმოდგენილი პროგრამები ქართულ-იაპონური კულტურების დაახლოებას და საქართველოში ცხოვრების დონის ამაღლებას ითვალისწინებს, ეს ყველაფერი კი უფლის ნებით ხდება".* - აღნიშნა კონომ.

ძიუდოს პროექტს ქართული მხრიდან ხელი ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა **დილარ ხაბულიანმა** მოაწერა. ასეთი თანამშრომლობა მან დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ძიუდოს ცენტრალური დარბაზი შედარებით კეთილმოწყობილია, მაგრამ თანამედროვე სტანდარტებამდე მისაყვანად სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი. მისივე თქმით, არც ახალი პროექტებზე თანამშრომლობაა გამორიცხული. მათ იაპონელებისთვის უკვე შეუთავაზებიათ რამდენიმე პროექტი. ერთ-ერთი მათგანი რეგიონებში ძიუდოს დარბაზების მშენებლობას ითვალისწინებს. ფედერაცია ცდილობს, აზიელთა დახმარებით ის მხარეები მოიცვას, რომლებიც ამჯერად საპრეზიდენტო პროგრამაში ვერ მოხვდნენ და დარბაზები არ გაკეთებულა.

**ირაკლი თავაძე**

# სარეიტინგო ორთაბრძოლები

**პროფესიული კრივი.** საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის დარბაზში გუშინ გაიმართა მორიგი ოთხი სარეიტინგო ორთაბრძოლა. დღის პირველ შეხვედრაში, **გიორგი ყველაშვილს** (54 კგ) ბოლო მომენტში შეეცვალა მეტოქე და **გიორგი გაჩეჩილაძის** ნაცვლად, **უშანგი რურუასთან** ჩხუბი ერგო. რურუამ პირველ რაუნდშივე, ნოკაუტით მოუთავა საქმე მეტოქეს.

ორი შეხვედრა შედგა 66 კილოგრამში. **ალექსანდრე ბენიძეს გიორგი ზალკალიანის** დასამარცხებლად სრული 6 რაუნდი კი დასჭირდა, მაგრამ აშკარა უპირატესობას ფლობდა. მეოთხე რაუნდში, მან ნოკდაუნშიც გაუშვა ზალკალიანი, საბოლოოდ კი ქულებით გამარჯვებას დასჯერდა. **გიორგი გოგებაშვილი** და **მიხეილ ხუციშვილი** კი დაახლოებით ერთი დონის მოკრივეები არიან, რაც მათი შეხვედრის შედეგმაც (ფრე) დაადასტურა.

დღის ბოლო შეხვედრას რაც შეეხება, აქ **ნუგზარ მარგველაშვილი** (62 კგ) ერთი თავით სჯობდა **ნიკა ავეტისიანს** როგორც სიმაღლით, ასევე ოსტატობით. შესაბამისად, ქულათა დიდი სხვაობით, გამარჯვება დარჩა მარგველაშვილს.

შემდეგი კვირიდან ორთაბრძოლები უფრო დაძაბული და ეშხიანი იქნება, რადგან დაიწყება ყველა წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონატის გათამაშება. რაღა თქმა უნდა, ჩემპიონატისთვის ყველაზე მაღალრეიტინგიანები იბრძოლებენ.

**კობა ხატისაშვილი**



ლევან ახვლედიანი — ნუგზარ სუარიძის ფოტო

**პლაჟბურთი.** წლევანდელი სეზონი საქართველოს პლაჟბურთელებისთვის პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი იქნება. გასული წლის ბოლოს ვაჟ პლაჟბურთელთა წყვილს ქალთა დუეტიც შეემატა. ახლახან ქალთა მწვრთნელად ბრაზილიის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი პლაჟბურთელი **მონიკა როდრიგესი** დაინიშნა. ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ახვლედიანმა** გუშინ პრესკონფერენციაზე განაცხადა:

# როდრიგესი ჩვენი მწვრთნელია

- მონიკა როდრიგესი ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი და მსოფლიოს 1993-94 წლების ჩემპიონია. ამას გარდა, მას უამრავი სხვა ტიტულიც აქვს მოპოვებული. პლაჟბურთის თამაშს თავი 2004 წელს დაანება. მანამდე მას 10 წელი კლასიკური ფრენბურთიც უთამაშია და საკმაოდ წარმატებითაც. მონიკა დღესდღეობით სამწვრთნელო პრაქტიკითაა დაკავებული. ძირითადად ახალგაზრდებთან მუშაობს. ჩვენს წინადადებას ხალისით დათანხმდა. თუ კი ჩვენი წყვილი, **საქა-რთველო** წარმატებას მიაღწევს, ეს მისი სამწვრთნელო კარიერისთვის დიდი ბიძგი იქნება. იმედი გვაქვს, მისი გამოცდილება ჩვენს გოგონებს სასარგებლოდ წაადგება. ცხადია, მთავარი მიზანი ჩვენთვის პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებაა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# უძაღლო აღმოსავლეთში შაქს აყეფებენ

აღმოსავლეთში საფლეიოფო საგზურებისთვის ბრძოლაში საბოლოოდ ის გუნდები დარჩებიან მოგებულნი, ვისაც ფინიშის სწორზე ნაკლები ტრავმირებული მოთამაშე ეყოლება. ეს არ ეხება "დეტროიტსა" და გარკვეულწილად, "ჩიკაგოს", რადგან ერთსაც და მეორესაც შემადგენლობა იმდენად დაბალანსებული აქვთ, რომ თუნდაც ერთი რომელიმე ლიდერის მწყობრიდან გამოსვლა, გადაუჭრელ პრობლემას არ წარმოადგენს.

აი, დანარჩენი ადგილებისთვის კი დიდი და ძნელად პროგნოზირებადი ბრძოლა მიდის. "კლივლენდი", რომელმაც რეგულარული ძალიან კარგად დაიწყო, ნელ-ნელა იფუშება და ნურც იმას გამორიცხავთ, რომ **ლებრონ ჯეიმსის** გუნდს, ფლეი ოფის პირველ წრეში საკუთარი მოედნის უპირატესობაც არ ჰქონდეს.

"ატლანტის" შანსებზე საუბარს მოვერიდებით, რადგან მორიგი წარუმატებლობის მერე, "ჰოქსის" პერსპექტივა უკვე ძალიან ფერმკრთალია, ხოლო "მილუოკის" კი, კონფერენციაში ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობის (**მაიკლ რედი, მო უილიამსი, ენდრიუ ბოგუტი, ჩარლი ბელი, ერსან ილიასოვა, ბრაიან სკინერი, ჩარლი ვილიანოვა, რუბენ პატერსონი**) მიუხედავად, ჯანმრთელი ლიდერები ახლალა დაუბრუნდნენ და შექმნილი ჰანდიკაპის აღმოფხვრა არარეალურია.

ალბათ, უპრობლემოდ გავა პირველ რვა გუნდში "პეისერზი", წესით, არ უნდა გაუჭირდეს უსუსტესი დივიზიონის მოგება "რეპტორზს", მერე კი ისეთი ამბებია, დედა შვილს არ აიყვანს ხელში.

**დუეინ უეიდის** გარეშე დარჩენილმა "მაიამი ჰიტმა", ზედიზედ მეორე შეხვედრაში მაქსიმალურად დატვირთა ბებერი, მაგრამ ჯერაც ჯანზე მყოფი **შაკილ ონილი** და "დიზელმაც" ფარქვეშეთში ძველებურად დომინირებით, ფლორიდელებს იმის იმედი ჩაუსახა, რომ ფლეი ოფი უეიდის გარეშეც რეალური უნდა იყოს.

მოქმედ ჩემპიონებს მოგება-წაგების უარყოფითი ბალანსი კი აქვთ, მაგრამ "ჰიტს"დარჩენილი მატჩებიდან უმეტესობა შინ აქვს გასამართი, რაც, ცხადია, **პატ რაილის** ბიჭებს დიდ უპირატესობას ანიჭებს.

"ვაშინგტონი" კი აგრძელებს სამარცხვინო მატჩების სერიას. უფრო სწორად, სამარცხვინოდ **გილბერტ არენასმა** თამაშობს, რომელსაც ბოლო სამ მატჩში სროლა ფატალურად არ მისდის. 8-დან 8 სამქულიანს რომ გააფუჭებ და გუნდს ბოლომდე შენი იმედი აქვს, ბევრზე აღარაფერზეა საუბარი. არენასის კოშმარულ სროლას კი **ბატლერ-ჯეიმისონის** არყოფნაც დაერთო და "ჰიტმა" მართალია, ოდნავ გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოახერხა შეხვედრის გამარჯვებამდე მიყვანა.

უნდა გენახათ, რა დღეში ჩააგდო შაკმა თავისი ოპონენტი - **ბრენდან ჰეივუდი.** "მაიამის" ცენტრი მეტოქეს სამწამიანში უშანსოდ ტოვებდა, ხოლო როდესაც გადაღლილ ბრენდანს რომელიმე სხვა დედაქალაქელი ეხმარებოდა, ონილს დროულად გადაჰქონდა ბურთი პერიმეტრზე, სადაც "უიზარდსის" ბომბარდირებას "ჰიტის" უკანახაზელები იწყებდნენ. **ჯეისონ უილიამსმა** 10 სამქულიანიდან 5 ზუსტად შეასრულა და შაკთან ერთად მატჩის მთავარ გმირადაც იქცა, ანტიგმირზე კი მანამდე გესაუბრეთ.

მესამე მეოთხედის ბოლოდან, უკანასკნელი 12-წუთეულის სასტარტო 6 წუთის ჩათვლით, "მაიამის" 12 ქულა მიჯრით ონილმა დააგროვა. შაკმა საბოლოოდ, 23 ქულით მიმდინარე რეგულარულის პირადი რეკორდი დაამყარა. შეგახსენებთ, რომ დევკაცმა სეზონის სტარტი, კონკრეტულად კი, 39 მატჩი ერთბაშად რამდენიმე ტრავმის გამო გამოტოვა.

შაკი, რომელსაც 6 მარტს 35 წელი შეუსრულდება, დარწმუნებულია, რომ მის გუნდს ფლეი ოფში გასვლა კი არა, კონფერენციის პირველ ოთხეულში შესვლაც შეუძლია.

*"ჯერ ძალიან ადრეა. ჩემი პატარა ძმა არ გვეყოლება, მაგრამ დუეინის გარეშეც დიდი ძალა ვართ. არავისი გვეშინია, აქეთ ეშინოდეთ ჩვენი"*, - ამბობს ონილი, რომელმაც საჯარიმოები ამჯერადაც კატასტროფულად შეასრულა და 7 სროლიდან 6 ვერ გამოიყენა.

"ვაშინგტონი" კი ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა და "ჰიტთან" მანამდე თითქოსდა უზარმაზარი ჰანდიკაპი კიდევ უფრო შემცირდა. თუ ბატლერი და ჯეიმისონი დროულად არ ჩადგებიან მწყობრში, მაშინ "მაიამის" "უიზარდსის" გადასწრება და ავტომატურად, პირველ ოთხეულში მოხვედრა არ უნდა გაუჭირდეს.

■ ■ ■

დღის და ალბათ, მთელი კვირის მთავარი სენსაცია ფილადელფიაში დაფიქსირდა, სადაც "სიქსერზს" ლიგის ერთ-ერთი გრანდისთვის - **სტივ ნეშის** "სანზისთვის" მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობა წამითაც არ დაუნებებია, საბოლოოდ, კი არიზონელებს ერთი ლამაზი რეკორდის დამყარებამდე ამ ერთადერთი შეხვედრის მოგება დააკლდათ.

საქმე ის არის, რომ "სიქსერზთან" მატჩამდე, ნეშსა და კომპანიას მიმდინარე რეგულარულში აღმოსავლეთის გუნდებთან გასვლაზე 14-ვე მატჩი ჰქონდა მოგებული და ალბათ, არავის ეგონა, რომ ამ დიდებულ სერიას გუნდი ფილადელფიაში დაასრულებდა.

"ფინიქსს" ტრავმების გამო არ ჰყოლია **შონ მერიონი** და **ბორის დიაო**, ხოლო **ანდრე იგუოდალამ** კი ერთხელაც დაამტკიცა, რომ ამ ეტაპზე იგი ერთ-ერთი გამორჩეული უნივერსალი და სწორედ ის მოთამაშეა, ვის გარშემოც "სიქსერზის" ბოსებმა მომავალში გუნდი უნდა ააშენონ. მასპინძლებმა მოხსნებში 50:37 აჯობეს ოპონენტს და ამასთან ერთად, "ფილადელფიამ" 18-ივე საჯარიმო სროლა გამოიყენა.

**ზურაბ თალაკვაძე**

**ვაშინგტონი-მაიამი 83:92**

20:27, 25:19, 20:23, 18:23

**ვაშინგტონი:** სტივენსონი (19 ქ. 5 პ), არენასი (15 ქ. 7 მ. 4 პ), ჰეიესი (10 ქ. 9 მ).

**მაიამი:** შ. ონილი (23 ქ. 10 მ. 4 პ. 3 დ), ჯეისონ უილიამსი (23 ქ), ე. ჯოუნსი (13 ქ. 6 მ), ჰასლემი (12 ქ. 16 მ), კაპონო (7 ქ. 8 პ. 5 მ).

**ფილადელფია-ფინიქსი 99:94**

35:23, 19:26, 19:15, 26:30

**ფილადელფია:** იგუოდალა (24 ქ. 7 მ. 7 პ), უ. გრინი (20 ქ. 6 მ), კორვერი (16 ქ. 6 მ), ა. მილერი (12 ქ. 6 პ), დალემბერი (6 ქ. 12 მ. 2 ჩ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (31 ქ. 14 მ), ნეში (23 ქ. 9 პ. 5 მ), რ. ბელი (13 ქ), ბარბოსა (11 ქ. 5 პ. 4 მ. 4 ჩ), კურტ ტომასი (4 ქ. 10 მ).

**ბოსტონი-ნიუ იორკი 102:94**

27:19, 30:18, 20:36, 25:21

**ბოსტონი:** ელ ჯეფერსონი (26 ქ. 9 მ. 5 პ. 2 დ), პირსი (24 ქ. 5 მ. 4 პ), ჯ. გრინი (21 ქ), სკალაბრინი (14 ქ. 3 დ).

**ნიუ იორკი:** კ. რიჩარდსონი (24 ქ. 8 მ), მარბერი (23 ქ. 6 პ), კარი (16 ქ. 7 მ), ჯეფრიზი (16 ქ. 6 მ).

**მემფისი-იუტა 88:104**

25:17, 24:27, 22:33, 17:27

**მემფისი:** გასოლი (28 ქ. 13 მ), მ. მილერი (17 ქ. 4 მ. 4 პ), უორიკი (13 ქ).

**იუტა:** ჰარპრინგი (25 ქ. 2 ჩ), ბუზერი (24 ქ. 16 მ. 3 პ), ოქური (16 ქ. 5 მ), დ. უილიამსი (14 ქ. 10 პ).

**ჩიკაგო-გ. სტეიტი 113:83**

31:28, 31:30, 33:11, 18:14

**ჩიკაგო:** გორდონი (22 ქ. 6 პ. 5 მ), სეფოლოშა (19 ქ), ა. გრიფინი (17 ქ), ტაირუს ტომასი (14 ქ. 6 მ. 2 ჩ), დენგი (13 ქ. 6 პ. 5 მ), ჰაინრიხი (12 ქ).

**გოლდენ სტეიტი:** აზუბუიკე (23 ქ. 2 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (17 ქ. 6 მ), მ. ელისი (16 ქ), ელ ჰარინგტონი (10 ქ. 4 პ).

**ჰიუსტონი-ტორონტო 90:106**

21:27, 26:40, 21:12, 22:27

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (22 ქ. 6 მ. 5 პ), ბეტიე (16 ქ. 4 მ. 4 პ), ალსტონი (12 ქ), ჰეიესი (10 ქ. 8 მ).

**ტორონტო:** ბარნიანი (20 ქ. 2 მ. 1 ჩ), ტი. ჯეი. ფორდი (16 ქ. 6 მ. 6 პ), ჰამფრიზი (16 ქ), კალდერონი (14 ქ. 6 პ. 2 ჩ), ბოში (13 ქ. 9 მ. 6 პ), დიქსონი (11 ქ).

**დენვერი-ორლანდო 111:101**

22:21, 24:23, 35:32, 30:25

**დენვერი:** აივერსონი (34 ქ. 7 პ. 5 ჩ. 4 მ), ენტონი (23 ქ. 6 მ. 2 ჩ), ნახერა (17 ქ. 5 მ), კლეიზა (15 ქ), ნენე (12 ქ. 8 მ. 4 პ), კემბი (10 ქ. 7 მ. 6 პ. 5 ჩ. 3 დ).

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (23 ქ. 12 მ. 3 პ), ნელსონი (16 ქ. 6 პ), დულინგი (14 ქ), თურქოღლუ (12 ქ. 5 პ), მილიჩიჩი (10 ქ. 8 მ. 2 ჩ. 2 დ).

**საკრამენტო-შარლოტი 135:120**

31:28, 31:30, 34:30, 39:32

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (36 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), ბიბი (30 ქ. 5 პ. 2 ჩ), სალმონსი (15 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), ბ. მილერი (14 ქ. 6 პ. 5 მ), გარსია (14 ქ. 2 დ).

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (31 ქ. 9 პ. 6 მ. 4 ჩ. 2 დ), ფელტონი (22 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ), კეროლი (19 ქ), დ. ანდერსონი (12 ქ. 5 პ), ბ. ნაიტი (12 ქ. 5 პ), ბრეუეცი (11 ქ).

**კლიპერსი-სიეტლი 96:91**

26:19, 25:24, 23:32, 22:16

**კლიპერსი:** ბრენდი (18 ქ. 9 მ. 7 პ. 3 დ), მაგეტი (18 ქ. 5 მ. 4 პ), კასელი (16 ქ. 5 მ. 5 პ), ტიმ ტომასი (13 ქ), მობლი (11 ქ), კამანი (10 ქ. 6 მ).

**სიეტლი:** რ. ლუისი (21 ქ. 7 მ. 4 პ), რ. ალენი (19 ქ), უოტსონი (19 ქ. 5 პ. 3 ჩ), კოლისონი (6 ქ. 12 მ).

**ნ. ორლეანი-ატლანტა 107:100**

27:30, 32:20, 18:26, 30:24

**ნიუ ორლეანი:** პოლი (24 ქ. 13 პ. 5 მ), დევინ ბრაუნი (19 ქ), ჩენდლერი (18 ქ. 13 მ. 4 დ), დევიდ უესტი (17 ქ. 14 მ. 3 პ), მეისონი (16 ქ).

**ატლანტა:** ჯ. ჯონსონი (27 ქ. 8 პ), ჯოშ სმიტი (17 ქ. 9 მ. 9 პ. 5 დ), ე. ჯონსონი (15 ქ), ფაჩულია (13 ქ. 3 მ. 1 პ. 1 დ), მ. უილიამსი (12 ქ. 8 მ).



აივერსონმა (ბურთით) დუაიტ ჰოვარდს აჯობა



ფედერერს მესამე ოსკარის შანსი აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსკარები

# ნომინანტები ცნობილია

1 აპრილს, ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში, 2006 წლის სპორტული სეზონის ლაურეატები გამოვლინდებიან. Laureus-ის სპორტული აკადემიის ჯილდოებს, მეორენაირად სპორტულ ოსკარებსაც უწოდებენ.

ეს პრესტიჟული ცერემონიალი 2000 წლიდან ტარდება და წელს, საუკეთესო სპორტსმენებს მერვედ დააჯილდოებენ.

ლაურეატების გამოვლენის წესი ასეთია: თავდაპირველად, 80 ქვეყნის სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად, თითოეულ ნომინაციაში 6-6 პრეტენდენტი სახელდება. ამის შემდეგ, თავად აკადემიის წევრთა ფარული კენჭისყრით გაირკვევა წლის საუკეთესო სპორტსმენებისა და გუნდის ვინაობა.

აკადემიის წევრები არიან წარსულში ლეგენდარული სპორტსმენები - **ფრანც ბეკენბაუერი, ბობი ჩარლტონი, პელე** (ფეხბურთი), **ბორის ბეკერი, მარტინა ნავრატილოვა, ჯონ მაკინროი, მონიკა სელეში** (ჩოგბურთი), **სერგეი ბუბკა, სებასტიან კოე, მაიკლ ჯონსონი, ედვინ მოზესი** (მძლეოსნობა), **ნადია კომენეჩი** (ტანვარჯიში), **მიგელ ინდურაინი** (ველოსპორტი), **მაიკლ ჯორდანი** (კალათბურთი), **მარკ სპიცი** (ცურვა), **ალბერტო ტომბა** (სამთო თხილამურები), **კატარინა ვიტი** (ფიგურული სრიალი), **იასუჰირო იამასიტა** (ძიუდო) და სხვები.

გუშინ, აკადემიამ 10 კატეგორიაში ნომინანტთა სიები გამოაქვეყნა. ძირითად კატეგორიებში პრეტენდენტთა ჩამონათვალი ამგვარი გახლავთ:

**წლის სპორტსმენი (მამაკაცი)**

ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, ფორმულა 1)
ფაბიო კანავარო (იტალია, ფეხბურთი)
როჯერ ფედერერი (შვეიცარია, ჩოგბურთი)
ასაფა პაუელი (იამაიკა, მძლეოსნობა)
მიხაელ შუმახერი (გერმანია, ფორმულა 1)
ტაიგერ ვუდსი (აშშ, გოლფი)

**წლის სპორტსმენი (ქალი)**

ჟუსტინ ანენი (ბელგია, ჩოგბურთი)
ელენა ისინბაევა (რუსეთი, მძლეოსნობა)
კაროლ. კლუფტი (შვედეთი, მძლეოსნობა)
ლორ მანოდუ (საფრანგეთი, ცურვა)
ამელი მორესმო (საფრანგეთი, ჩოგბურთი)
მარია შარაპოვა (რუსეთი, ჩოგბურთი)

**წლის გუნდი**

ახალი ზელანდია (რაგბი)
ბარსელონა (ფეხბურთი)
ევროპის ნაკრები (გოლფი)
იტალია (ფეხბურთი)
რენო (ფორმულა 1)
ესპანეთი (კალათბურთი)

შარშან, წლის საუკეთესო სპორტსმენები შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი** და ხორვატი სამთომოთხილამურე - **იანიცა კოსტელიჩი** გახდნენ. წლის გუნდად კი, ფორმულა 1-ის ფრანგული საჯინიბო - "რენო" დასახელდა.

სხვათა შორის, მამაკაცთა სიაში მოხვედრილი ფედერერი, შუმახერი და ვუდსი ორ-ორჯერ იყვნენ სპორტული ოსკარების მფლობელები. ქალებს შორის კი, ეს პრიზი ორჯერ არავის მოუგია.

კალათბურთი

## შჩერბიაკმა სეზონი დაასრულა

"ბოსტონ სელტიქსის" წამყვანი ფორვარდი **უოლი შჩერბიაკი** სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს. 8 მარტს, კალათბურთელს ტრავმირებულ ფეხზე ოპერაცია ელის, ხოლო სარეაბილიტაციო პროცესი დაახლოებით ორი თვე გაგრძელდება. ამ ინფორმაციას სააგენტო "როიტერი" ავრცელებს.

ეს ტრავმა შჩერბიაკმა 20 თებერვალს, "საკრამენტოსთან" მატჩში მიიღო.

## ოლ სტარტს საფრთხე დაემუქრა

2008 წლის "ყველა ვარსკვლავის მატჩის" გამართვა საფრთხის ქვეშაა. ეს შეხვედრა მომავალი წლის თებერვალში ნიუ ორლეანში უნდა გაიმართოს. მაგრამ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეთა პროფკავშირის თავმჯდომარის, **ბილი ჰანტერის** თქმით, ქარიშხალ "კატრინას" შემდეგ, ეს ქალაქი ძალიან ნელი ტემპებით უბრუნდება ჩვეული ცხოვრების რიტმს. ამიტომაც, NBA-ში შიშობენ, რომ დაბალი ორგანიზაციისა და არასათანადო უსაფრთხოების პირობების გამო, ნიუ ორლეანი ვერ შეძლებს "ოლ სტარის" უიქენდის მასპინძლობას. *"ნიუ ორლეანში უბრალოდ პოლიციელები არ ჰყოფნით"*, - ამბობს ჰანტერი.

მომავალ კვირას, NBA-ის კომისარი **დევიდ სტერნი** ნიუ ორლეანს ეწვევა, რათა ადგილზე შეაფასოს ქალაქის მთავრობის მზადება. თუ სტერნს პირობები არ დააკმაყოფილებს, მაშინ საგაისო "ოლ სტარტს" სხვა ქალაქში გადაიტანენ.

ჰოკეი

## სენტ ლუისმა მეკარე დაკარგა

ოთხშაბათს, "სენტ ლუის ბლუზის" ძირითადმა მეკარე **მენი ლეგასმა** მუხლზე ართროსკოპიული ოპერაცია გაიკეთა. ამის გამო, ის დაახლოებით 4-6 კვირა ვერ შეძლებს ყინულზე გასვლას.

შეგახსენებთ, რომ ლეგასმა ამ დღეებში "სენტ ლუისთან" ახალი ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

მძლეოსნობა

## დღეს ევროპის ჩემპიონატი იწყება

პარასკევს, ინგლისის ქალაქ ბირმინგემში სტარტს აიღებს დახურული დარბაზებისთვის ევროპის ჩემპიონატი. გუშინ, ტურნირის ორგანიზატორებმა მონაწილეთა განაცხადების მიღება დაასრულეს. როგორც ირკვევა, ბირმინგემში 45 ქვეყნის 587 ათლეტი (315 მამაკაცი და 272 ქალი) შეიკრიბება.

მონაწილეთა შორისაა ევროპის წინა ჩემპიონატის 13 გამარჯვებული. 2005 წელს კონტინენტის პირველობას ესპანეთის დედაქალაქმა მადრიდმა უმასპინძლა.

ფორმულა 1

## რალფმა ზურგი დაიზიანა

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ბაჰრეინში მიმდინარე ტესტებისას სერიოზულ ავარიაში მოყვა "რენოს" ფინელი დებიუტანტი **ჰეიკი კოვალაინენი**. საბედნიეროდ, ახალგაზრდა პილოტი არ დაშავებულა. ამ ინციდენტიდან მეორე დღეს კი, ტრასიდან გადავარდა "ტოიოტაში" მოასპარეზე გერმანელი **რალფ შუმახერის** ბოლიდი.

შუმახერმა ზურგის ტრავმა მიიღო, თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, დაზიანება არც ისე სერიოზულია.

მსოფლიო ჩემპიონატი

# ფინელები ესტაფეტაში უსწრაფესნი არიან

საპოროში მიმდინარე, მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, ფინელმა ბარის მოთხილამურეებმა ოქროს მორიგი მედალი მოიპოვეს - ამჯერად მათ ბადალი არ ჰყავდათ ქალთა შორის 4x5 კილომეტრზე ესტაფეტაში.

ფინელებმა აქცენტი თავიდანვე დაწინაურებაზე გადაიტანეს და პირველ მუხლზე გუნდის ლიდერი, **ვირპი კოიტუნენი** გამოუშვეს, რომელმაც მასზე დაკისრებულ ამოცანას შესანიშნავად გაართვა თავი - მან 21.9 წამით აჯობა უშუალო კონკურენტს, ნორვეგიელ **ვიბეკე სკოფტერუდს**.

მის მიერ მოპოვებული უპირატესობა მეორე მუხლზე კიდევ უფრო გაზარდა **აინო კაისა საარინენმა**, ვისაც ასპარეზობამ სახელოვანი ნორვეგიელის, **მარიტ ბიორგენის** წინააღმდეგ მოუწია. ორი მუხლის შემდეგ, ფინელთა უპირატესობა 48.8 წამი იყო.

ბოლო ორ მუხლზე, **რიიტა ლიისა რაპონენსა** და **პირიო მანინენს** ისღა დარჩენოდათ, რომ თანაგუნდელთა მიერ თითქმის გაკეთებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ და მათ ამ ამოცანას იოლად გაართვეს თავი.

ნორვეგიელებმა კი მეორე ადგილის შენარჩუნებაც ველარ მოახერხეს. მათ მეღუზე სპრინტში მსოფლიოს ახალი ჩემპიონი, **ასტრიდ იაკობსენი** იყო, მაგრამ ფინიშამდე ნახევარი კილომეტრი რომ რჩებოდა, მას გერმანელმა **ევი ზახენბახერ შტელემ** გაასწრო, რომელმაც გერმანიის კვარტეტს ვერცხლის მედალი მოაპოვებინა.

შეგახსენებთ, რომ გერმანიამ ტურინის ოლიმპიადაზეც ესტაფეტაში ვერცხლის მედალი მოიპოვა და მაშინაც გუნდის კვარტეტში ზახენბახერ შტელე შედიოდა. მოკლედ, ნორვეგიელებმა ვერ შეძლეს წინა ჩემპიონატზე მოპოვებული ტიტულის შენარჩუნება და ოქრო ბრინჯაოზე გაცვალეს. ხელი მოეცარათ ოლიმპიურ ჩემპიონ რუსებს, რომლებიც ამჯერად მეშვიდე ადგილს დასჯერდნენ.

შეგახსენებთ, რომ საპოროში მსოფლიოს ჩემპიონატი მეორედ ტარდება. პირველად იაპონიის ამ სამთო კურორტმა მსოფლიოს უძლიერეს მოთხილამურეებს 1972 წელს უმასპინძლა, ოღონდ მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატი ოლიმპიურ თამაშებს დაემთხვა. ჰოდა, მას შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა მსოფლიოს ჩემპიონატს (ცალკე და არა რომელიმე სხვა დიდ ტურნირთან ერთად) აზიური ქალაქი მასპინძლობს.

საპორო (იაპონია).
ქალები. ესტაფეტა (4X5 კმ)

**1. ფინეთი (ვირპი კოიტუნენი, აინო კაისა საარინენი, რიიტა ლიისა რაპონენი, პირიო მანინენი) 54:18.6; 2. გერმანია +11.89; 3. ნორვეგია +15.69; 4. შვედეთი +31.69; 5. ჩეხეთი +44.29; 6. იტალია +56.09...**



მარცხნიდან: პირიო მანინენი, რიიტა ლიისა რაპონენი, აინო კაისა საარინენი და ვირპი კოიტუნენი

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# კაროლინა ფლეი ოფის მიღმა?

**ოტავა-კაროლინა 2:0**

1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰიტლი-38 (სპეცა-38, ფილიპსი-14), 2:0 სპეცა-27 (რედენი-22, მეზაროში-24).

მეკარე **რეი ემერის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით, "ოტავამ" ბოლო 9 მატჩში მერვედ მოიგო და აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. ემერიმ 27 დარტყმა მოიგერია და სეზონში მეხუთე, კარიერაში კი, მერვე შატაუტი შეასრულა.

რაც შეეხება სტენლის თასის მფლობელ "კაროლინას", მას რთული ბრძოლა უწევს ფლეი ოფის საგზურის მოსაპოვებლად. მართალია, ამ კლუბმა ბოლო 10 მატჩში 6 შეხვედრა მოიგო, მაგრამ ჯერჯერობით, "ჰარიკეინზი" მეცხრე ადგილზეა აღმოსავლეთში და ერთი ქულით ჩამორჩება "მონრეალს". თანაც, მეათე ადგილზე მყოფ "ტორონტოს", რომელიც "კაროლინასთან" ერთ ქულას აგებს, ორი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

**სან ხოსე-ნეშვილი 3:4 (ბ)**

2:1, 0:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ბერნიე-12 (მ. მიხალეკი-27, მ. კარლი-21), 1:1 ფიდლერი-9 (კ. ტიმონენი-34, ჟიდლიცკი-24), 2:1 მ. კარლი-9 (ერჰოფი-17, ჯ. ტორნტონი-65), 2:2 ერატი-14 (კ. ტიმონენი-35, ფორსბერგი-31), 2:3 რადულოვი-12 (მ. უებერი-20, სატერი-15), 3:3 ვლასიჩი-3.

**ბულიტები გაიტანეს:** რადულოვი (ნეშვილი), პაველსკი (სან ხოსე), დუმონი (ნეშვილი).

"ნეშვილმა" რეგულარულ ჩემპიონატში 43-ე გამარჯვება მოიპოვა და ამ მაჩვენებლით ლიგის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. თუმცა "პრედატორზი" ერთ ქულას აგებს აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერ "ბაფალოსთან. სწორედ ამ ორ გუნდს შორის მიმდინარეობს რეგულარული ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა.

ბოლო დღეებში, "სან ხოსემ" და "ნეშვილმა" მნიშვნელოვნად გააძლიერეს შემადგენლობები. "პრედატორზში" **პიტერ ფორსბერგის** გადასვლის შესახებ ბევრს ვწერდით. გუშინ, ვეტერანმა შვედმა ერთი საგოლე პასი გააკეთა და ახალ კლუბში გამართულ ექვს მატჩში თავისი მონაგარი სამ ქულამდე აიყვანა.

რაც შეეხება "სან ხოსეს", მისი რიგები **ბილ გერინმა** შეავსო, რომელიც **ჯო ტორნტონისა** და **ჯონათან ჩიჩუს** პარტნიორი გახდა, მაგრამ ამ სამეულმა "ნეშვილის" კარში გოლის გატანა ვერ მოახერხა.

შეხვედრის ერთ-ერთი გმირი სტუმართა ჩეხი მეკარე **ტომაშ ვოკოუნი** გახდა. მან ძირითად დროსა და ოვერტაიმში 27 დარტყმა მოიგერია, ხოლო ბულიტების სერიაში ოთხიდან სამჯერ შეძლო თავისი გუნდის გადარჩენა.

"სან ხოსემ" ბოლო რვა მატჩში მეექვსე მარცხი განიცადა და მნიშვნელოვნად გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა. ეს გუნდი დასავლეთ კონფერენციაში მეექვსე ადგილამდე ჩამოქვეითდა. წესით, "შარქსს" არ გაუჭირდეს ფლეი ოფის საგზურის მოპოვება, ვინაიდან მე-9 ადგილზე მყოფ "ედმონტონს" 11 ქულას უგებს, მაგრამ სტენლის თასზე საკუთარი მოედნის უპირატესობა მას აღარ ექნება.

**კალგარი-მინესოტა 2:1 (ბ)**

0:0, 0:0, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 დემიტრა-19 (როლსტონი-27, კ. იონსონი-16), 1:1 რეგერი-2 (ჰუსელიუსი-33, ბ. სტიუარტი-11).

ამ მატჩის ბედიც ბულიტების სერიაში გადაწყდა, სადაც ფავორიტი, წესით, "მინესოტა" უნდა ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ ამ სეზონში, "კალგარის" მეკარე **მიკა კიპრუსოფს** ოთხჯერ მოუწია მატჩისშემდგომ ლატარიაში მონაწილეობა და ოთხივეჯერ დამარცხდა, მაგრამ ამჯერად, ფინელმა მინესოტელთა ოთხივე პენალტი მოიგერია და თავის გუნდს გაამარჯვებინა.

ეს მოგება "კალგარისთვის" უმნიშვნელოვანესი იყო. მისი წყალობით, "ფლეიმზმა" ჩრდილო-დასავლეთ დივიზიონში "მინესოტას" გაასწრო და პირველადგილოსან "ვანკუვერს" გაუთანაბრდა.

## TV სპორტი

**2 მარტი. პარასკევი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**09:33** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**10:07** სპორტინფორმი.
**10:24** ფიტნესი.
**10:56** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**11:26** სპორტინფორმი.
**11:42** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. ბეტისი-სევილია.
**13:32** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. აკაპულკო. მექსიკა.
**16:42** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
**17:42** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. სარაგოსა-ბარსელონა.
**19:29** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**19:59** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:30** სპორტინფორმი.
**20:44** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. მიმოხილვა.
**21:19** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:18** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**21:40** სპორტინფორმი.
**23:05** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**23:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰამბურგი (LIVE).
**01:25** სპორტინფორმი.
**01:37** კრივი. რინგ-საიდი.
**02:34** სპორტინფორმი.
**02:50** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**04:01** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**04:30** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ანაჰაიმი (LIVE).
**07:06** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. მიმოხილვა.
**07:41** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**08:07** სპორტკლუბი.

**EUROSPORT**

**09:30** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ესტაფეტა 4x10 კმ. მამაკაცები. საპორო. იაპონია (LIVE).
**11:00** ციგაობა. მსოფლიო თასი. სიგულდა. ლატვია.
**11:30** ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ინდივიდუალური. ლაჰტი. ფინეთი.
**13:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ესტაფეტა 4x10 კმ. მამაკაცები. საპორო. იაპონია.
**14:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS100. კვალიფიკაცია. საპორო. იაპონია (LIVE).
**16:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. კომბინაცია - სლალომი. ტარვიზიო. იტალია (LIVE).
**17:15** ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
**18:45** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. დოჰა. კატარი (LIVE).
**20:00** მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ბირმინგემი. ინგლისი (LIVE).
**23:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS100. კვალიფიკაცია. საპორო. იაპონია.
**00:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. მოსკოვი. რუსეთი.
**01:00** პოკერი. ევროპის ტური. ბარსელონა. ესპანეთი.
**02:00** საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
**02:30** ექსტრემალური სპორტი.
**04:00** საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
**04:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS100. კვალიფიკაცია. საპორო. იაპონია.
**05:30** სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. ტრამპლინიდან ხტომა. HS100.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. II მატჩი. კილი (გერმანია)-ვეუპრემი (უნგრეთი).
**14:00** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მილანი. იტალია.
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** ლაკროსი.
**18:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. II მატჩი. კილი (გერმანია)-ვეუპრემი (უნგრეთი).
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
**20:45** ახალი ამბები.
**21:30** ექსტრემალური სპორტი.
**22:00** სნოუბორდი.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**23:30** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მილანი. იტალია.
**00:30** კიკბოქსინგი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**02:45** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**03:15** ახალი ამბები.
**03:30** რესტლინგი.

## ჩოგბურთი

ტურნირები

**ATP**

**დუბაის ჩემპიონატი**

დუბაი (საემიროები). 26 თებერვალი-3 მარტი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 401 250 დოლარი

**1/8 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-დანიელე ბრაჩიალი (იტა) 7:5, 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:2, 3:6, 7:6 (2); **ოლივიე როხუსი (ბელ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 3) 4:6, 6:4, 6:2; **ტომი ჰაასი (გერ, 5)**-ფლორან სერა (საფ) 7:6 (5), 6:3; **მიხაილ იუჟნი (რუს)**-ტომას ბერდიხი (რუს, 6) 7:6 (6), 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 7)**-რაინერ შუტლერი (გერ) 7:6 (5), 6:3; **ფაბრის სანტორო (საფ)**-ჟილ სიმონი (საფ) 6:4, 6:2; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ) 6:3, 7:5.

**აბიერტო მექსიკანო**

აკაპულკო (მექსიკა). 26 თებერვალი-3 მარტი. თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 757 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 1)**-ლუკას დლოუჰი (ჩეხ) 6:3, 7:6(2); **აგუსტინ კალერი (არგ, 2)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 4:6, 6:3, 6:3; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 3)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:1, 4:6, 7:6(2); **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 4)**-ნიკოლა დევილდერი (საფ) 6:0, 6:4; **გასტონ გაუდიო (არგ, 5)**-ხუან პაბლო გუსმანი (არგ) 1:6, 6:3, 6:2; **ნიკოლას მასუ (ჩილ, 6)**-სტეფანო გალვანი (იტა) 7:6(2), 6:3; **ხოსე აკასუსო (არგ, 7)**-ირჟი ვანეკი (ჩეხ) 6:1, 6:2; **კარლოს მოია (ესპ, 8)**-დიეგო ჰარტფილდი (არგ) 6:3, 7:5.

**ტენის ჩენელის ღია**

ლას ვეგასი (აშშ). 26 თებერვალი-3 მარტი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 416 00 დოლარი

**II ჯგუფი**

**სემ კერი (აშშ)**-ჟულიან ბენეტო (საფ, 6) 6:2, 7:6(3).
**სატურნირო მდგომარეობა:** კერი - 1 მოგება/0 წაგება; ბენეტო - 1/1; გოლდსტეინი - 0/1.

**III ჯგუფი**

**იურგენ მელცერი (ავსტრია, 4)**-მიხაელ ლოდრა (საფ) 6:4, 2:6, 7:5;
**სატურნირო მდგომარეობა:** კაპდევილე - 1 მოგება/0 წაგება; მელცერი - 1/0; ლოდრა - 0/2.

**IV ჯგუფი**

**ბენჯამინ ბეკერი (გერ, 8)**-გუსტავო კუერტენი (ბრა) 6:4, 6:3;
**სატურნირო მდგომარეობა:** ჰერნიჩი - 1 მოგება/0 წაგება; ბეკერი - 1/1; კუერტენი - 0/1.

**V ჯგუფი**

**ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 5)**-დანაი უდომჩოკე (ტაილ) 6:1, 5:7, 6:2.
**სატურნირო მდგომარეობა:** ვერდასკო - 2 მოგება/1 წაგება; მატიო - 1/1; უდომჩოკე - 0/2.

**VI ჯგუფი**

**იგორ კუნიცინი (რუს)**-სტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:2, 6:2.
**სატურნირო მდგომარეობა:** საფინი - 1 მოგება/0 წაგება; კუნიცინი - 1/0; კუბეკი - 0/2.

**VII ჯგუფი**

**ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ნიკოლა მაუ (საფ) 3:6, 6:3, 7:6(3).
**სატურნირო მდგომარეობა:** ჰენმანი - 1 მოგება/0 წაგება; ლოპესი - 1/0; მაუ - 0/2.

**VIII ჯგუფი**

**ტომას იოჰანსონი (შვედ)**-ლუ (ტაივ) 6:0, 6:1.
**სატურნირო მდგომარეობა:** ჰიუიტი - 1 მოგება/0 წაგება; ტ. იოჰანსონი - 1/0; ლუ - 0/2.

**WTA**

**კატარის ღია**

დოჰა (კატარი). 26 თებერვალი-3 მარტი. ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 340 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)**-ალისია მოლიკი (ავსტრა) 6:2, 7:6(9); **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)**-ჯული გორჯესი (გერ) 7:5, 6:1; **მარტინა ჰინგისი (შვეიც, 3)**-მარია კირილენკო (რუს) 6:2, 6:2; **იელენა იანკოვიჩი (სერ, 4)**-მარია ელენა კამერინი (იტა) 6:0, 6:1; **პატი შნიდერი (შვეიც, 5)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 6:3, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 6)**-ელენი დანილიდუ (საბ) 6:7(4), 6:3, 6:3; **კატერინა ბონდარენკო (რუს)**-სანია მირზა (ინდ) მირზას უარი; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 8)**-მარა სანტანჯელო (იტა) 4:6, 7:6(6), 1:0 სანტანჯელოს უარი.

**აბიერტო მექსიკანო**

აკაპულკო (მექსიკა). 26 თებერვალი-3 მარტი. თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 180 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ჯულია შრუფი (გერ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 1) 6:0, 6:4; **ტატიანა გარბინი (იტა, 2)**-სოფია გუბაჩი (უნგ) 6:4, 3:0 გუბაჩის უარი; **ემილი ლუა (საფ)**-მარტინა მიულერი (გერ, 3) 6:2, 6:2; **ალიზ კორნე (საფ)**-სევერინ ბრემონი (საფ, 4) 7:6(3), 6:2; **ფლავია პენეტა (იტა, 5)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:0, 6:2; **გიზელა დულკო (არგ, 6)**-ლაურა პოუს ტიო (ესპ) 7:6(2), 7:6(7); **სარა ერანი (იტა)**-კაია კანეპი (ესპ) 1:6, 6:3, 6:4; **მელისა სანდოვალი (მექ)**-ევა ბირნეროვა (ჩეხ) 6:4, 6:2.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**როიალლიგა**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ბრონდბიუ-ბრანი | 3:0 |
| ვოლერენგა-ჰელსინგბორგი | 1:2 |

**ფინეთის ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| მიუპა-ვიკინგიიტი | 2:3 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| გენჩლერი-ფენერბაჰჩე | 0:1 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| არისი-ბენეტონი | 79:80 |
| მაკაბი-პო ორტეზი | 74:70 |
| ოლიმპიაკოსი-ცსკა | 64:85 |

**ჰოკეი**

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-აკ ბარსი | 1:2 |
| სიბირი-მეტალურგი (ნ) | 4:2 |
| მეტალურგი (მ)-კრილია | 7:2 |
| ს. იულაევი-ტრაქტორი | 3:2 |
| სევერსტალი-ლადა | 2:2 |
| ნეფტეხიმიკი-დინამო | 1:2 |
| ხიმიკი-ამური | 2:4 |
| მედ-სკა | 2:2 |
| ცსკა-ვიტიაზი | 1:1 ო.ბ. 2:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| იოკერიტი-ლუკო | 6:1 |
| კერპეტი-პელიკანსი | 6:1 |
| კიეკო-სეი პა | 0:3 |
| ტაპარა-იუევასკიულა | 4:0 |
| ტპს-ილვესი | 3:2 |
| ჰპკ-ჰიფკ | 1:0 |
| ესეტი-კალპა | 4:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. დუბაი**

| | |
|---|---|
| ნადალი-იუჟნი | 6:7, 3:6 |
| სიოდერლინგი-სანტორო | 6:1, 6:7, 6:0 |
| ფედერერი-ჯოკოვიჩი | 6:3, 6:7, 6:3 |
| ჰაასი-ო. როხუსი | 6:0, 6:2 |

**ATP. ლას ვეგასი**

| | |
|---|---|
| კუერეი-გოლშტეინი | 6:4, 1:6, 6:4 |
| მელცერი-კაპდევილე | 6:2, 6:2 |

**WTA. დოჰა**

| | |
|---|---|
| ჰინგისი-ჰანტუხოვა | 6:1, 4:6, 4:6 |
| იანკოვიჩი-ბონდარენკო | 6:3, 6:3 |
| კუზნეცოვა-სკიავონე | 6:3, 6:4 |
| ანენი-შნიდერი | 3:6, 6:4, 7:5 |

# ბასკო ლეგენდაა



სენ ტროპე ძალიან ლამაზიაო, ასე ამბობენ. თევზს ამზადებენ თურმე იქაურ რესტორნებში საუცხოოდ და გოგოებიც გასაგიჟებელი ყოფილა. მე არ ვყოფილვარ ჯერჯერობით, რადგან ისიც მითხრეს, რომ საკურორტო ზონაა და ძალიან ძვირია ყველაფერი, განსაკუთრებით ტურისტებისთვის.

დავფიქრდი ამაზე და გადავწყვიტე რომ არ წავალ, სანამ უკეთესი ხელფასი არ მექნება და სანამ ჩემი ფრანგულით გაქცეულ სენტროპელ გოგოს თუ ვერ მოვაბრუნებ, დამდგარს მაინც არ გავაქცევ. პაატა ნაცვლიშვილს ვუთხარი ამის შესახებ და იდეა მომიწონა - ეგრე ჰქენიო. პაატა ჩემი მასწავლებელია და დიდად ვენდობი, ასე რომ, სურვილიც არ გამჩენია, მისი რჩევა ყურად არ მეღო. პაატამ იმდენი რამ მასწავლა, ვერ დავთვლი: მასწავლა, რომ არ უნდა ვიხმარო ტერმინი "ცნობადი სახეები" და ბევრი ვნებითი გვარი, ამიხსნა, როგორ კეთდება გაზეთი, სტატია, რა არის დაკაბადონება, გამაგებინა ვინ იყო მიხეილ კაკაბაძე... მოკლედ მისი დიდად მადლობელი ვარ...

გასულ ზაფხულს, ყაზბეგში ყოფნისას ისევ ამეკვიატა სენ ტროპეზე ფიქრი და ზღვა მომინდა საშინლად. საბედნიეროდ, ჩემმა ბათუმელმა მეგობარმა ნიკა ჩხატარაშვილმა დამირეკა და შემიჩხიკინა - რას დაიბლოტები მაგ მთებში ჯიხვივით, ჩამოდი ბათუმში, იქნებ გიშველოთ რაცხაო. ჩავედი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ბათუმი ბევრად მაგარია, ვიდრე სენ ტროპე, მარსელი ან ნიცა და ჩემი აღტაცება ტაქსიში ხმამაღლა გამოვხატე.

ტაქსისტმა ღიმილით მომხედა და მითხრა:

- ადრე რომ გენახა, უკეთესი იყო, მაშინ ბასკო გვყავდა.

მერე დაამატა, - თქვენ რომ დაგინახეთ (ჩემი და ნიკას სიმაღლეა 202 და 205 სმ) ასე მეგონა, ბასკოში ისევ თამაშიაო. როგორც სტანდარტულ ჰოლივუდურ ფილმებში მოსდით ხოლმე გმირებს, ისე დამემართა: გამახსენდა ჩემი "მართვე 1" და ბათუმში "ბასკოს" დუბლებთან პირველი გასვლა.

დიდუბის მანეჟში ჩვენს დარბაზს ზოგი ფანჯარა არ ჰქონდა, იატაკი და ფარები მორყეული იყო, შხაპზე საუბარიც არაა, სამაგიეროდ გვქონდა წვიმა - როგორც გარეთ, ისე შიგნით და თოვლიც, ოღონდ სეზონურად (ახლაც იგივე მდგომარეობაა დაახლოებით და სამწუხაროდ). ბასკოში კი დაგვხვდა ლამინირებული იატაკი, შელდის მშვენიერი ფარები, მყუდრო ბუფეტი როიალით, ანა კურნიკოვასა და კალათბურთელების სურათებით, შხაპი და ზღვა ფანჯრებსიქით. მაშინ ვერ გავიგე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მეტისმეტი საკალათბურთო კომფორტისგან დაახლოებით "სპორტული ორგაზმი" განვიცადე და ისე აღვფრთოვანდი, რომ პირველად ჩავტენე კალათში. მერე, აზოტი - ბასკოს თამაშისას პირველად ვნახე გადაჭედილი დარბაზი და ისევ აღვფრთოვანდი. მანამდე არ მენახა საქართველოს უმაღლესი ლიგის თამაშზე ამდენი მაყურებელი, რომელმაც წაგებული გუნდი მაინც დიდი ტაშით გააცილა.

- ასეთი საკალათბურთო დარბაზი საქართველოში არსადაა! - მეუბნება ნიკუშა, სტაჟიანი ბასკოელი, რომელმაც ორჯერ მოასწრო "ბასკოს" მაისურით გაჩემპიონება.

- ასეთი დარბაზი არაა, მაგრამ საჭიროც აღარაა მგონი - აწი აქ მარტო ცეკვებილა იმართება, სადღაა კალათბურთი! - დაამატა კიდევ ერთმა ბიჭმა, რომლის სახელი არ მახსოვს და ისეთი მიატენა, რომ ფანჯრებმა ზანზარი დაიწყეს. საინტერესოა, ასე მძაფრად აჭარის დედაქალაქში როგორ გაილღვიძა ბრაზილიურ-არგენტინულმა სულმა და როგორ შეუყვარდათ ბათუმელებს ლათინო-ამერიკული ცეკვები ისე, რომ სამბა-რუმბა-ჩაჩაჩამ კალათბურთის ადგილი დაიკავა.



დავფიქრდი ამ კითხვაზე, მაგრამ საკუთარ თავს პასუხი რომ ვერ გავეცი, მეც ბურთი ავიღე და საშუალო მანძილიდან სროლა დავიწყე.

ივლისში ბათუმში შეკრებაზე სომხეთის ახალგაზრდული ნაკრები იყო ჩამოსული. სომხეთის გუნდის ხელმძღვანელმა ბათუმელ მწვრთნელებს ადგილობრივ გუნდთან ამხანაგური მატჩის გამართვა შესთავაზა. ბათუმელები სიამოვნებით დათანხმდნენ და იმ დროს ქალაქში მყოფი 20 წლამდე ასაკის ყველა ყოფილი ბასკოელი გამოიძახეს. როგორც სტუმარს, პატივი მცეს და თამაშის ნება მეც დიდსულოვნად დამრთეს.

მეგონა, მაყურებელი არ მოვიდოდა და შევცდი.

თამაშის წინ "ბასკო" ისევ გაივსო. ბათუმელებს კალათბურთი ისე უყვართ, რომ მატჩის არაოფიციალურმა სტატუსმა, მონაწილეების ასაკმა და 40-გრადუსიანმა სიცხემაც ვერ შეაჩერა და პლაჟის ნაცვლად თამაშის საყურებლად მოვიდნენ.

გულშემატკივრობამ გვარგო: სომეხი ბიჭები კარგა ჯანიანები კი იყვნენ, მაგრამ თამაში დიდად ვერ გამოსდიოდათ. სამაგიეროდ, ჩვენ გავილაღეთ და თუ სწორად მახსოვს, 74:25 მოვუგეთ. ჩვენს სტუმრებს მფრინავი ნიკა ჩხატარაშვილისა და სხვების ცქერით მგონი კისერი დაელალათ - ბათუმელებმა იმდენი ბურთი ჩაუტენეს, სათვალავი ამერია. ექვსიოდე ქულით და ამდენივე მოხსნა-გადაცემით გუნდს მეც წავეხმარე. მიხაროდა, მაყურებელიც კმაყოფილი იყო. დარწმუნებული ვარ ყველას ძველი დრო გაახსენდა, როცა ტომარაძის, გოოგეს ან კანდელაკის "ბასკო" გულს ძალზე ხშირად უხარებდათ.

ბათუმში დაახლოებით ასე ფიქრობენ: კარგი იქნება თუ პოლიტიკა სპორტს გაემიჯნება და რაღაც გაუგებრობების გამო ბასკოსნაირი გუნდები აღარ მოისპობა. "ბასკოს" გაქრობით ბათუმს და მთლიანად ქართულ სპორტს ძალიან ბევრი რამ დააკლდა. აუცილებელია, რომ ბათუმში დიდი კალათბურთი დაბრუნდეს და რაც მალე, მით უკეთესი!

თამაშიდან რომ ვბრუნდებოდით, დარბაზს გავხედე და ნიკას ვუთხარი - "ბასკო" ახლა ისეა, როგორც მკვდარი მეომრის ფარ-ხმალი-მეთქი (ღმერთო, დაიფარე ყველა ბასკოელი!). ნიკა დამეთანხმა და ყველაზე ლამაზ კენჭებიან პლაჟზე წავედით. ორივეს "ბასკოს" მაისურები გვეცვა და ყველა თვალს გვაყოლებდა. არ ვიცი, "ბასკოს" ფორმა ასე გვიხდებოდა თუ არა, მაგრამ ვხედავდი და ვგრძნობდი, რომ ბათუმელებს კალათბურთი ენატრებოდათ. "ბასკო" ლეგენდაა.

**ალექსანდრე ნებულიშვილი**



სპორტული გაზეთი
მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვემაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეზანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა